# მ ა ტ ი ა ნ ე

ჟურნალი გამოდის 1989 წლიდან, 22 დეკემბერი, 2021 წ., № 3-4 (37-38)

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება
„საქართველოს ჰელსინკის კავშირი –
– ეროვნული აღორძინების"
თავისუფალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური
ჟურნალი







ჯვარი – ეს არის სიცოცხლის ხე!
ჯვარის ტოტებზე ნამდვილად იბადება სიცოცხლე!
ის არსებობდა კაცობრიობის დასაბამიდან!
ჯვარი სამყაროს შემოქმედმა დაგვიტოვა, როგორც სიცოცლის გასაღები და შემდგომ ცივილურმა ადამიანმა აღმოაჩინა იგი !
ჯვარი თავადაა უკვდავების ხე.
იესო ქრისტემ, ,,რომელი ჯვარს ეცვა ჩვენთვის, კაცთათვის და ჩვენისა ცხოვრებისათვის...“ ამით მან ადამის შვილებს ცხოვრების ხესთან მისასვლელი გზა გაუხსნა.
და რადგან ჯვარი არის უკვდავების ხე, მასზე დამსჭვალვის შედეგად მაცხოვარი აღდგა და ამაღლდა. ამის გამო ყოველმა, ვისაც სურს ცხონება, ეს გზა უნდა გაიაროს. ამ გზაზე დადგომა ნიშნავს ქრისტესთან, მის სიკვდილთან, ,,მასში სიკვდილთან“ ზიარებას, წილის დადებას.
ეს იდეალი კი, მართლმადიდებელთა რწმენით, ეკლესიის მეშვეობით ხორციელდება.




აი, ნამდვილი და სამართლებრივი ძეგლი 9 აპრილისა,
9 აპრილის ძეგლი თანამედროვე „დიდგორისა“ და
დამოუკიდებლობის გამოცხადებისა!
ეს არის ქვეყნის სიმბოლო, მისი სულიერების, ეროვნულობის,
სარწმუნოების, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და
თავისუფლებისა!

# ინტერვიუ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - - ეროვნული აღორძინების“ ერთ-ერთ ლიდერთან - ბატონ ნუკრი ბაღდავაძესთან

## გაგრძელება – ნაწილი II

(დასაწყისი იხილეთ ჟურნალი „მატიანე“, № 1-2 (35-36), 7 აპრილი, 2021 წელი)



ინტერვიუს უძღვება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – - ეროვნული აღორძინების“ პრეზიდიუმის წევრი, ჟურნალ „მატიანეს მთავარი რედაქტორი და პრესცენტრის ხელმძღვანელი ბატონი ნოდარ კიკნაძე



*__13__. მოგესალმებით ბატონო ნუკრი! ნება მომეცით გავაგრძელოთ ჟურნალ „მატიანეს“ წინა ნომერში დაწყებული ინტერვიუ თქვენთან!*

*წინა ინტერვიუმ საკმაოდ დიდი გამოხმაურება და ინტერესი გამოიწვია, ცოტა შურიც, ცოტა სიყვარულიც, საერთო ჯამში კი დადებითი რეზულტატი დაგვიტოვა. ბატონო ნუკრი, თანახმა ხართ გავაგრძელოთ ინტერვიუს ფორმატში საინტერესო, აქტუალური ამბებისა და აზრების მოყოლა?*

სიამოვნებით, ვისაუბრებ მანამ, სანამ მკითხველს არ მოვბეზრდები. სურვილი მაქვს ბევრ ისეთ საკითხებზე შევაჩერო მკითხველთა ყურადღება, რომლებზეც ჯერ არ უსაუბრიათ, ან ეს აზრები და ამბები სხვა კუთხით დაუნახავთ მხოლოდ. ასევე, კარგი იქნება, თუ კიდევ ერთხელ, ახლებურად თვალს გადავავლებთ ზოგადად საქართველოს ისტორიის გაყვითლებულ ფურცლებს და ჟამ–კარ არეული ქართველების მედროვეთა დროზეც ვისაუბრებთ. თქვენის ნებართვით პირდაპირ წარმოდგენილ თემაზე გადავალ ისე, რომ წაკითხულსა და ციტირებულს არც კი გავალამაზებ.

ყველას თუ არა, ისტორიას მაინც კარგად ახსოვს, როცა 1850 წელს სანკტ–პეტერბურგში დამტკიცდა და გამოიცა „ბარხატნაია კნიგა“ („ხავერდოვანი წიგნი“), სადაც ოფიციალურადაა დაფიქსირებული ქართველ თავად–აზნაურთა გვარები. ქართველ თავად–აზნაურთა გვარების ისტორიის უფრო სრული ვერსია შედგენილი ყოფილა ქართლ–კახეთის უკანასკნელი მეფის, გიორგი XII–ის შვილის, იოანე ბაგრატიონის (1768–1830) მიერ. მისი ნაშრომი კი არის დასათაურებული, როგორც „შემოკლებითი აღწერა თავადთა და აზნაურთა გვარებისა“, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს – მასში მოცემულია საქართველოს სამეფოს 300–ზე მეტი გვარის ეტიმოლოგია. იოანე ბაგრატიონის ნაშრომი კი, პირველად გამოაქვეყნა ილია ჭავჭავაძემ 1884 წელს ჟურნალ „ივერიაში“.

ადრე გასაქანი თავადურ–აზნაურული ტიტულების ყიდვაში გვქონდა, ხეირი იქ იყო, ახლა კიდევ იგივეს ვაკეთებთ პარტიების შექმნასა და აფერისტულ ლაქლაქში, სწორედაც 300–მდე პარტია და პოლიტიკურ–საზოგადოებრივი ორგანიზაცია ჩამოყალიბდა დამოუკიდებლობის დღიდან დაწყებული.

თუ მივუბრუნდებით ჩვენ სვესა და ბედს, რომელიც ხან წაღმა დატრიალდება ხოლმე, ხან უკუღმა, ხან ისე, ხან ასე, ხან კიდევ იმნაირად, საერთოდ რომ ვერ გაგვიგია, რა ხდება ჩვენს თავს. დღეს გვიკვირს, რატომ გვაქვს ქართველებს აგრერიგად არეული ჟამთაკარი?! რატომ გველაპარაკებიან ავაზაკნი პატიოსნებაზე, მოღალატეები პატრიოტობაზე, ყაჩაღები კორუფციაზე, უცოდინარნი ფილოსოფიაზე, მედროვენი პოლიტიკაზე და ქვეყნის აღმშენებლობაზე?!

მოდით, ისევ გადავხედოთ ე. წ. „ბარხატნაია კნიგას“. გადავიკითხოთ, მართლა წარჩინებულ გვარებთან ერთად, კიდევ რომელ გვარებს აქვთ მინიჭებული თავად-აზნაურობა და კიდევ ერთხელ მივხვდებით, რატომ არის ამ ჩვენს ქვეყანაში ღირებულებები აღრეული.

როცა იყო მეფობა, იყო ბატონ-ყმობა, იყო ფეოდალიზმი, იყვნენ ჩინიანნი, იყვნენ უჩინონი, ეს იყო მდგრადი წყობილება, ასე იმართებოდა არა მხოლოდ საქართველოჲ, არამედ მთელი მსოფლიოჲ. როგორც ყველას, იმ პერიოდისათვის, ჩვენც გვყავდნენ დიდგვაროვანნი და ეს გახლდათ ოფიციალურად აღიარებული, სიგელ-გუჯრებითა და ჟღარუნ-ჟღურუნებით გამაგრებულნი ... მაგრამ, ისმის კითხვა, ყველაზე არ ითქმის, მაგრამ გვარად გიჟიმყრელნი რანაირად უნდა ყოფილიყვნენ ამ ქვეყანაში მმართველი დიდგვაროვანი?! ვფიქრობთ, აქ ვხედავ ღირებულებათა აღრევას, თვითნებობას, თახსირობას და მაიმუნობას. ალბათ, ვინმე განსწავლულიც გამოჩნდება, რომელიც იტყვის, შეიძლება ბატონმა გიჟიმყრელმა რამე საგმირო საქმე ჩაიდინა, თავი გასწირა, მამული გადაარჩინა და მეფემ დიდგვაროვნობა მიანიჭაო, ყმებიც უბოძაო, მიწებიცაო, სოფლებიცაო. დიახ, არაა გამორიცხული ასეც ხდებოდა კიდეც. მართლაც განსაკუთრებულია და ღრმად შესასწავლ-შესაფასებელია რა მოხდა და რატომ მოხდა ის, რაც მოხდა დაახლოებით XIV – XV საუკუნეებში. ზემოთთქმულიდან გამომდინარე, პირველ ვერსიასთან ერთად, აქვე არსებობს მეორე ვერსიაც: მაგალითად, საქართველოში არსებობდნენ დიდებული აზნაურები, რომლებიც ჩვეულებრივ აზნაურებზე უფლებრივად და ეკონომიკურად მაღლა იდგნენ. დიდებულ აზნაურებს ჰყავდათ ვასალი აზნაურები. XV საუკუნეში დიდებული აზნაურები ცალკე ფენად (თავადთა წოდების სახით) საბოლოოდ ჩამოყალიბდა და შეიქმნა გაბატონებული კლასის ორი წოდებრივი კატეგორია – თავადთა და აზნაურთა წოდება, ოღონდ ეს ის წარჩინებული აზნაურები როდი იყვნენ. ასეთი დაკნინებული აზნაურები ჰყავდათ აგრეთვე მეფეს (სამეფო აზნაურები) და ეკლესიას (საეკლესიო აზნაურები).

გვიჩნდება გონივრული ეჭვი, რომ ჩვენ სათავადაზნაურო ტიტულებს ვყიდულობდით. დიახ, აქაც ვყიდულობდით და როცა შანსი გაჩნდა, რუსეთში ხომ ვყიდულობდით და ვყიდულობდით! მეტიც, ერთი ხანობა ჩვენი დიდგვაროვნები ატყდნენ, აქაურები არ გახლავართო, ჩვენი სისხლი და ჯილაგი სულ სხვა კონტინენტებიდან მომდინარეობსო. ზოგი ამტკიცებდა, ჩვენი წინაპრები „კიტაიიდან“ იყვნენო, ზოგი იძახდა – ეთიოპიიდან, იტალიიდან, სპარსეთიდან და სომხეთიდანო. მერე დადგა დრო, ყველას ფრანციცულობა მოუნდა. წავიდოდნენ ჩვენი ახალგაზრდები „პარიჟში“, ნახავდნენ იქაურ სენტიმენტალურ ცხოვრებას, დაბრუნდებოდნენ და იყო ერთი ამბავი, მიმდინარეობდა იკლიკანტური მიეთ-მოეთი სალონებში, თეთრი ხელთათმანების სროლა, ცრემლების ღვარღვარი, დამბაჩების სროლა ჰაერში, გულის ფიცარზე მჯიღების ცემა და ასე შემდეგ. ეეეჰ... ძაან მძიმე დღეები გვაქვს გავლილი ქართველებს, ხან სპარსელები ვიყავით, ხან „კიტაიელები“, ხან ესპანიელები, ხან ფრანციცულები და სანამ ინგლისურენოვანნი გავხდებოდით, რუსულენოვანებიც კი ვიყავით. დიახ, ვიყავით, თანაც მთელი 70 წელიწადი... თუმცა არა, უფრო მეტი, ჩვენ ეს ამბავი, თუ არ ვცდები, 1801 წლიდან 1990 წლამდე უნდა მოვითვალოთ და გამოდის 189 წელიწადი. იმასაც ამბობენ, 200 წლის განმავლობაში ვიყავით მონებიო. კაი, ჰო, შეგვიძლია დავამრგვალოთ კიდევაც, ბევრი არაფერი იცვლება. ამ საკითხს დეტალურად თუ განვიხილავთ, რუსებმაც კი შემოიტანეს რაღაც ნაძირლური ელემენტები, მაგრამ ქართველები თავს ვიმშვიდებდით, რომ თითქოს, გლობალური თვალსაზრისით მაინც ვითომ გვიხსნესო საბოლოო განადგურებისგან. აღა-მაჰმად-ხანის მიერ გაპარტახებულ საქართველოს საერთოდ აღარ ჰქონდა ფეხზე წამოდგომის უნარი. აი, სწორედ აქ დადგა ჟღარუნ-ჟღურუნებისა და ეპოლეტების მოყვარულთა დრო, ანუ მედროვეთა დრო!

მოდით ისიც ვთქვათ, რატომ სწუნობდნენ ქართველი ახალდიდგვაროვნები თავიანთ ქართველობას, რატომ ამტკიცებდნენ, რომ მათი წინაპრები იყვნენ „კიტაიიდან“, „ფრანციიდან“, ან კიდევ ეთიოპიიდან? როგორც ისტორიკოსები ამტკიცებენ, ფეოდალური ხანის თითქმის ყველა ქვეყანაში ყოველი დაწინაურებული გვარი თავისი წინაპრების უცხო სახელმწიფოთა რომელიმე წარჩინებული გვარის ნათესავად წარმოჩენის სურვილით იყო შეპყრობილი. მაგალითად, რუსეთის ზოგიერთი დიდგვაროვანი ცდილობდა დაესაბუთებინა, თითქოს მისი მოდგმა ვარიაგებისაგან (ვიკინგებისაგან) მოდიოდა. უნგრელი წარჩინებულები (გრაფები: ჰადიკები, ზიჩები და სხვ.) კი ცდილობდნენ ქართველების თავიანთ სისხლით ნათესავებად გამოყვანას.

შორს რომ არ წავიდეთ, ამტკიცებენ კიდეც, საქართველოში ბაგრატიონები თავიანთ შთამომავლობას მიაკუთვნებდნენ ებრაელთა მეფეებსო – ბიბლიურ იესეს, დავითსა და სოლომონს. ცნობილია, რომ ორბელიანები ჩინელებს აცხადებდნენ წინაპრებად. ასევე უცხოელობდნენ წინაპრებით ამილახვრები, ერისთავები, ციციშვილები და სხვები. გვარის არარსებულ ისტორიას იმისათვის თხზავდნენ, რომ ადგილობრივი გაბატონებული წრეებისაგან განსხვავებულიყვნენ, უფრო მაღლა დამდგარიყვნენ, თითქოს მფლობელობის უფლებები

იმთავითვე უცხო ქვეყანაში ჰქონოდეთ მათ წინაპრებს მინიჭებული. ხშირად მმართველი ფენის დინასტია ცდილობდა, კიდევ უფრო მკვეთრად გამიჯვნოდა თავისი ხალხის ძირითად მასას.

და მაინც, რატომ გვაქვს ქართველებს ჟამი და კარი არეული? როდესაც ორბელიანი ამტკიცებს, ჩემი წინაპრები ჩინელები იყვნენო, რა უნდა ველაპარაკოთ სხვადასხვა გიჟიმყრელებს, თუკი ისინი ეთიოპიელობაზე ალაპარაკდებიან?! როგორც ჩანს კი არა და ეგრეა, მაშინ უცხოპლანეტელებზე არაფერი იცოდნენ, თორემ ბევრი მათ ნათესაობასაც დაიბრალებდა, თუმცა, ჰოი, საკვირველებავ, დღეს უკვე ესეთი აზრები, თეორიები და მათი დამცველებიც დაიბადნენ.

ჩვენში რომ მედროვეთათვის დრო ყოველთვის ჰყვაოდა, ამაზე მიანიშნებს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დეტალი. პრინციპში, ეს არის არა მხოლოდ დეტალი მედროვეობაზე, არამედ ჩვენს უუნარობასა და ყეყეჩობაზეც. არსებობს უტყუარი ცნობები, თუ ვინ, რა ეროვნების ადამიანები მართავდნენ თბილისს მე-12 საუკუნიდან მოყოლებული, გასაბჭოებამდე.

იმასაც ამბობენ, ერთი პერიოდი, საქართველოში ბიზნესი და ეკონომიკა სომხების ხელში იყო, ისინი სხვა ეროვნებების წარმომადგენლებს, მათ შორის ქართველებს, გასაქანს არ აძლევდნენ და ესენიც, ეს ქართველები გვარებს სომხურად იკეთებდნენო. კი, ბატონო, არც უმაგისობა იყო, მაგრამ მაინც საკითხავია, რატომ გვაქვს ქართველებს ჟამკარი არეული?! შეიძლება გვარიც შეიცვალო, პლასტიკური ოპერაციაც გაიკეთო, მანერებიც შეიცვალო, მაგრამ გენეტიკას ვერაფერს უზამ. ადრე თუ გვიან, მაინც ყველას გამოაჩნდება ხოლმე თავისი წარმომავლობა და სისხლის ყივილი.

აი, ამიტომაც გვაქვს ჩვენ ჟამკარი არეული. დეტალურად შემდეგშიც ვისაუბროთ ამ თემაზე.

14. *ბატონო ნუკრი, დღეისათვის რა არის მთავარი, რითი, რა პრიორიტერული განზომილებებითა და რომელი სახელმწიფოებრივი საწყისით უნდა ვისარგებლოთ თანამედროვე რეალობაში, საით მივდივართ, საით მივექანებით, ეს გზა ეკლესიამდე მიგვიყვანს?*

მშრალი პასუხი, რომ არ გამომივიდეს, ცოტა ვრცლად მოგიყვებით.

რა არის დღეის ამოცანა? კვლავაც ვიმეორებთ მრავალჯერ ნათქვამს:

„- დღეის ამოცანა საკუთარი თავის ცნობაა. თავის ცნობისათვის საჭიროა ნათესავ-ტომობის ცნობა, ანუ იმის გარკვევა, ვინ რა გვარის სისხლ-ხორცისაგან და რა ტომის დედ-მამისაგან მოედინება. ვინც ამას გაარკვევს, იმასაც გაიგებს, შემდეგ რა გზით იაროს“ . . . თუ ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნება არ დაეფუძვნა ღვთის ჭეშმარიტ რწმენას, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ჰუმანისტური აზროვნების მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების შეუვალ სურვილს, ზნეობრივ ფასეულობათა ერთგულებას, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრიორიტეტს, ვეჭვობთ მივაღწიოთ ერის დარღვეული შინაგანი წონასწორობის, სახელმწიფოებრივი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის, ტერიტორიული მთლიანობის, კანონიერების, სამართალმემკვიდრეობის აღდგენას, პოლიტიკურსოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, კულტურისა და ეკონომიკის აღმავლობას! სამართალი და ისტორიული სამართლიანობის აღდგენა საქართველოში, ესაა მთავარი კრედოც და მიზანიც.

და, ალბათ იკითხავთ, რას ეფუძვნება ქართველთა ბოლო ასი წლის ისტორიული პრობლემები?! გიპასუხებთ: უმეცრობის „ფართი-ფურთი“, აი მთავარი თემა ქართველთა ისტორიული პრობლემებისა.

თემის გაშლაში დიდი ილიაც დაგვეხმარება:

„უმეცრობა და უვიცრობა დიდი ჭირია და თუ ამას თან დაჰყვა უჭკუობა და უნიჭობა, ხომ ჭირზე უფრო ჭირია. ჭკუიანი უცოდინარი ყოველთვის თავისს ქერქშია, — რაც არ იცის, იმაზე სჯასა და ლაპარაკს ერიდება. რასაც გონება მისი უცოდინარობით ვერა სწვდება, იქ იგი მეტიჩარობას არა ჰკადრულობს, დუმილს უფრო ჰრჩემობს, სხვას უსმენს, სმენილს თავისის ჭკუის და გონების თვალწინ განკითხვით გაიტარებს, ასწონს-დასწონის და ამნაირად თავისს საკუთარს აზრს, ცოდნას გამოინასკვავს, შეითვისებს. ამ ყოფით, თუ სხვა გზით, იგი ჯერ საგანს ისწავლის, გაითვალისწინებს, და მერე, თუ საჭიროება მოითხოვს, დაიწყებს სჯასა და საუბარსა. ჭკუიანი უცოდინარი თავმდაბალია, თავისი-თავი სხვაზე მეტი არა ჰგონია, არა ჰბაქიობს, არ იკვეხის, თითონ ზიზილ-პიპილებით არ ირთვება და სხვას მჩვარში არ ახვევს. მან თავისი ყადრი და ადგილი იცის და სხვისაც, ერთნაირად მორიდებულია ყოყოჩობას, ზვიადობას და ნამეტნავად მეტიჩარობას, არამკითხე მოამბეობას. რაც იცის, იმას სჯერდება, მეტზე ხელს არ იწვდენს, მეტს

სიბრძნეს და ფილოსოფოსობას არ იჩემებს, ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებით ლარის გატანას და მსმენელის თვალის ახვევას ჰთაკილობს და როგორც სამარცხვინო ოინებს ახლოც არ ეკარება.

სულ სხვაა უჭკუო უმეცარი, მერე თუ ყბედობის საღერღელიც აქვს აშლილი. უჭკუო უმეცარის კაცისთანა თამამი და კადნიერი ლაპარაკსა და სჯაში ძნელად მოიპოვება ქვეყნიერობაზე და რამოდენადაც ამისთანა ვაჟბატონი ჭკუაზე თხლად არის, რამოდენადაც უფრო სქელი ლიბრი აქვს გონების თვალზე გადაკრული,მით უფრო თამამია, მით უფრო კადნიერია. მითამ რა დაუშლის! არ არის ქვეყანაზე საგანი, რომ უჭკუო უმეცარმა არ დაიჩემოს მისი ზედმიწევნით ცოდნა და თავისს უგემურ და უთავბოლო საღეჭავად არ გახადოს მსმენელთა სააბეზაროდ. რაც ენაზედ მოადგება, ჰროშავს გამარჯვებულსავით დოინჯშემოყრილი და თავმოწონებული, მაღალფარდებიან სიტყვებს ჰხმარობს უანგარიშოდ, განუკითხველად, მოგაყრით ტყუილუბრალოდ გაბერილ ფრაზებს, რომელიც არც თითონ ესმის და არც მსმენელს გაეგება და ჰყოყოჩობს, აი რაები მცოდნია და რა ბრძენი კაცი ვარო! ბალღებს, რასაკვირველია, გაბერილი, გაუგებარი ფრაზები სავსე ჰგონიათ, როგორც გაბერილი ტიკი, და უკვირთ როგორც ერთი რამ უტყუარი ნიშანი აუარებელის სიბრძნისა და მეცნიერობისა, ჭკუადამჯდარს კაცს კი, ეს სამასხარო ოინები სასაცილოდაც არა ჰყოფნის“.

ეხლა ხომ გაგახსენდათ მეგობრებო ისტორიულად ჩვენი ე. წ. მედროვე პოლიტიკოსების ავან-ჩავანი. ყოველივე ამას კი ბევრად ღრმა ფესვები აქვთ და გამოუსწორებელი შეცდომები. ასეთი ხალხის საქციელით კი გაიღუნა საქართველოს ისტორია და დღესაც ამ პოზაში ვართ.

ილია განაგრძობს ჩვენს სწავლებასა:

„ამგვარ უვიცთა და უმეცართა შორის ერთი მეტად თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ჩვენში ბ-ნმა ნოე ჟორდანიამ. მან სწორედ ამისთანა კაცად გამოიჩინა თავი, თუმცა-კი თავი დიდ ბრძენად და მეცნიერად მოაქვს და რაღაც უზომო დიადობით განგებ გაბუებულა თავისის-თავის ქებითა. იმას რომ ჰკითხოთ, იგი მოვლინებულია, რომ წუთისოფლის ბორბალს ღერძი გამოუცვალოს და თავისის ბრძანებისა და ნებისამებრ ატრიალოს ცა და ქვეყანა. ... არახუნებს, რაც ენაზე მოადგება და მამალსავით ჯერ თვალებს ჰხუჭავს და მერე ჰყივის, თითქო ენა ადამიანს მარტო იმიტომა აქვს, რომ მოშლილ წისქვილსავით ჰფქვას და ჰროშოს. უნიჭობასა და უვიცობასთან ბ-ნ ჟორდანიას ის უნარიც ზედ შეჰკეცებია, რომ ხორციელ თვალით დასანახავს საგანსაც-კი ხელში ამრუდებს, ასხვაფერებს და მსმენელს თვალებს უბამს წინათაკვიატებული აზრის გასატანად. ამას გარდა, სიტყვა-პასუხისათვის იმისთანა განგებ გაბერილ ფრაზებსა ჰხმარობს, რომელიც ისე შორს უდგა საგანს, ისე არ შეეფერება, რომ კაცს უკვირს, — თქმული ბ-ნ ნოე ჟორდანიასი ბოდვაა გონებადაბნეულისა, თუ ამაზე უარესი სხვა რამ ღვთის რისხვაა.

... ბ-ნი ნოე ჟორდანია თავზე ბუზსაც არ ისვამს და დიდის ბუკით და ნაღარით იქადის: რაცა ვარ, მე ვარო. დეე იძახოს, ამით არავის არც რამ დააკლდება, არც მოემატება და ჩვენც ამაზე არ გამოვეკიდებით თავმოწონებულს პუბლიცისტსა.

... ქვეყნის აშენებას გვიქადის ბ-ნი ნოე ჟორდანია და მისნაირები. საბა ორბელიანის ზღაპრისა არ იყოს, თითონ მამალსავით ხეზე შემომჯდარა და იძახის: მე აქ ვიყივლებ და თქვენ მანდ ძირს იყეფეთ და სოფელი აშენდებაო. ამ იმედით ბრძანდებოდეს ბ-ნი ნოე ჟორდანია და მისი კამპანია, და როცა ამ გზით იმან ქვეყანა ააშენოს, მე წილს ნუღად დამიდებენ, არ დავემდურები. ბაქიაობა, კვეხნა, თავისის-თავის ქება და განდიდება უტყუარი ნიშანია იმისი, რომ ზემო სართულში ყველაფერი თავის ადგილას არ არის დალაგებული. თავისის-თავის მაქებარი შორს მანძილს ვერ გაივლის, მალე ჩააკეცინებენ მუხლსა, როცა დაუფიქრდებიან და შეატყობენ, რომ შიგ არა ყრია-რა. ამისი დრო, როცა იქნება, მოვა, და იგი ბალღები, რომელთ წინაშე დღეს ბ-ნი ჟორდანია უმეცრობისა და უვიცობის მალაყს ტაშისცემით გადადის, გაიზრდებიან, ისწავლიან, ცოდნით შეივსებიან და გამოარკვევენ, რა არარაობის მადანია ეს ჩვენი ახალი პუბლიცისტი ყოველისფრით, ნიჭი გნებავთ, ცოდნა, თუ ჭკუა.

ბევრს სხვასაც შეუნიშნავს ჩვენს ჟურნალ-გაზეთობაში და ჟურნალ-გაზეთობის გარეთაც, რომ ბ-ნი ნოე ჟორდანია უცოდინარი, უვიცი კაცია და არც სურვილი აქვს იცოდეს რამე, არც უნარი რამ მწერლობისა ღმერთს იმისთვის მიუმადლებია. მე ერთი, ერთადერთი სიტყვაც არ მახსოვს

მისი იმისთანა, რომ ცოცხალი სიტყვა იყოს, გულსა და გონებას გასაღვიძებლად მოხვედროდეს. აბა რამდენი უწერია და ერთი ამისთანა სიტყვა მაგალითად მიჩვენეთ. მისი საუბარი ერთი რაღაც უგემურად კევის ღეჭვაა. საკუთარი აზრი არაფერში არ აბადია: რაც სხვისაგან თუთიყუშივით არ გაუზეპირებია, ისიც ღმერთმა იცის როგორ და რაც მისს საკუთარს ჭკუაზე მივარდნილა, იქ ყველგან ფეხი მოსხლეტია და სრული არარაობა გამოუჩენია. ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად, აქაო და ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ მარქსიზმისა უსწავლია, ისიც იმისთანა მარქსისტებისაგან, რომელთანაებზე თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას-კი ნუ დამწამებთო.

ასე იუარა მარქსმა იმისთანა მარქსისტები, როგორიც დღეს ჩვენში ბ-ნი ნოე ჟორდანიაა და მისნი წილადობილნი. დრო მოვა და ყოველივე ეს მზეზე გამოიფინება და განკითხვის დღისა წინაშე გამოსჭიმავს ვინმე ამ ჩვენს ვაჟბატონს მთელის თავისის სიგრძე-სიგანითა“.

ამით დავასრულებ ამ წერილს უმეცრობის ფართი-ფურთობის თაობაზე. ვიცი, მკითხველი დამემდურება და მისაყვედურებს: განა ღირს ბ-ნი ჟორდანია, რომ იმის გამო ამდენი დრო, ქაღალდი და მელანი დაიხარჯოსო? მართალი ბრძანებაა, მეც ვიცი, რომ ჩიტი ბდღვნად არა ღირს და უკან დევნა მეტია. სწორედ ჩემსავით მოცლილი უნდა იყოს, რომ ასე გააჭიანუროს საუბარი ამისთანა კაცზე. ხომ მოგეხსენებათ, — რა ძნელია მოკლედ თქმა იმისთანა ადამიანზე, რომელსაც საკუთარი ნიშანწყალი არც ბუნებით დაჰყოლია, არც სწავლით და არც ცოდნით მოუპოვებია და შეუძენია. სადღაც გამიგონია, მგონია ილია ჭავჭავაძის ლექსშია, თუ ხსოვნა არ მღალატობს, რომ „ფუყე, უსახო კაცისა მოკლედ აღწერა ძნელიაო“.

უნდა ვენდოთ ილიას, რომელიც თავადვე ამბობს:

„ერი თავის გმირებში ჰპოულობს თავის სულსა და გულს, თავის მწვრთნელს, თავის ღონესა დ ა შემძლებელობას, თავის ხატსა და მაგალითს”.

დარწმუნებით უნდა ვენდოთ ილიას - ქართველ საზოგადო მოღვაწეს, პუბლიცისტს, ჟურნალისტს, პოლიტიკოსს, მწერალს, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებაში, გადამწყვეტი წვლილი შეიტანა იმდროინდელი საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის შექმნასა და ძირითადი ეროვნული ფასეულობების გავრცელებაში.

რატომ არ უნდა ვენდოთ ღირსეულ ადამიანს, რომელიც სათავეში ჩაუდგა „თერგდალეულთა“ თაობას, რომლებმაც ქართულ ინტელექტუალურ სივრცეში მოდერნული იდეები და ხედვები შემოიტანეს. ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსდა და სრულიად ახალი სიტყვა თქვა ქართულ ჟურნალისტიკაში მის მიერ გამოცემულმა გაზეთებმა „საქართველოს მოამბემ“ და „ივერიამ“. მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოში პირველი ფინანსური დაწესებულების - სათავადაზნაურო-საადგილმამულო ბანკის შექმნაში, რომელსაც 30 წლის განმავლობაში ხელმძღვანელობდა.

მანვე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაში. მისი თაოსნობით გაიხსნა არაერთი სკოლა, სადაც სწავლება ქართულ ენაზე მიმდინარეობდა და რამაც საქართველოში რუსიფიკაციის პროცესი შეაჩერა.

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკას ქართული ეროვნული და სამოქალაქო ცნობიერების ფორმირებაში უდიდესი როლი მიუძღვის. მისი წერილების თემატიკა მრავალფეროვანია და მოიცავს: ეროვნულ საკითხებს, ლიტერატურას, განათლებას, თეატრს, ეკონომიკას, სოციალურ-პოლიტიკურ და მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. მის პუბლიცისტიკაში ასახულია ევროპული იდეები, ხედვები, რომელთა გაცნობაც ჟურნალ-გაზეთების საშუალებით მთელი ქართული საზოგადოებისთვის ხდებოდა. მნიშვნელოვანია მისი შეხედულებები თვითმმართველობის, სასამართლო სისტემის, ეკონომიკის, სოციალური წესრიგის, ადამიანის უფლებების, ქალთა უფლებების, სასკოლო და უმაღლესი განათლების, სამოქალაქო აქტივიზმის შესახებ. აღსანიშნავია ილია ჭავჭავაძის წერილები საგარეო საკითხებზე, რამაც ქართული საზოგადოება მეტად დააახლოვა დასავლეთსა და ზოგადად მსოფლიოში მიმდინარე პროცესებთან.

რუსეთში მიმდინარე რევოლუციის ფონზე, ილია ჭავჭავაძე აირჩიეს ქართველ თავადაზნაურთა წარმომადგენლად რუსეთის იმპერიის სახელმწიფო საბჭოში. მან სცადა გამოეყენებინა ეს ტრიბუნა არა ერთი რომელიმე წოდების, არამედ მთლიანად ქართველი ხალხის

ინტერესების დასაცავად. მონაწილეობდა სიკვდილით დასჯის შესახებ დებატებში, ასევე ლობირებდა საქართველოსთვის ავტონომიის მოპოვების საკითხს.

ილია ჭავჭავაძის მხატვრული შემოქმედება ეროვნულ და სოციალურ მოტივებზეა აგებული. ნაციონალურ საკითხთან მიმართებაში მისი ნაწერები, როგორებიცაა აჩრდილი, ქართვლის დედას და დიმიტრი თავდადებული სამშობლოსადმი თავგანწირვასა და მის უპირობო სიყვარულს ქადაგებს. სოციალურ საკითხებთან მიმართებაში ილია ჭავჭავაძე თავისი ნაწარმოებებით, როგორებიცაა რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან, გლახის ნაამბობი, კაცია-ადამიანი?! და ოთარაანთ ქვრივი, ილაშქრებს სოციალური უთანასწორობის და ფეოდალური ღირებულებების წინააღმდეგ.

1907 წლის 12 სექტემბერს ილია ჭავჭავაძე წიწამურთან მოკლეს. მართალია, ილიას მკვლელობის დეტალები დღემდე კამათის საგანია, თუმცა კარგადაა ცნობილი ქართველ „სოცდემოკრატთა“ როლი მისი მკვლელობის მომზადებასა და აღსრულებაში.

ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის მიერ ილია ჭავჭავაძე შერაცხულია წმიდანად, სახელით „წმიდა ილია მართალი“ და ამით ყველაფერია ნათქვამი.

*15. მწარე და რეალური სიმართლეა! კიდევ რა აზრს დაამატებდით მას, რომ შემდეგ გადავფურცლოთ ახალი აბზაცი და სიტყვა?!*

ასეთია ლიბერალიზმი და მისი მართებული გამოყენება, რომელიც მნიშვნელოვანი თემაა განსახილველად. ლიბერალიზმი თანამედროვე დასავლური დემოკრატიის იდეოლოგიური ქვაკუთხედია. ფართო გაგებით, ლიბერალიზმი მოიცავს იმ ცნებებს, რომელებსაც საქართველოში „დასავლურ ღირებულებებად“ მოვიხსენიებთ: ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებები, საკუთრების უფლება და კანონის უზენაესობა.

ეს იმ ლიბერალური იდეოლოგიის პრინციპების არასრული ჩამონათვალია, რომელებსაც დემოკრატიის ფუნდამენტად მიიჩნევენ პოლიტიკის მეცნიერებები და თანამედროვე პოლიტიკური აზრი. დემოკრატიულ ქვეყნებში წამყვანი პოლიტიკური პარტიები სწორედ კლასიკურ ლიბერალურ ღირებულებებსა და მსოფლმხედველობაზე აფუძნებენ თავიანთ პოლიტიკურ პროგრამებსა თუ პლატფორმებს, მიუხედავად მათი ისტორიული წარმომავლობისა. მათ მიდგომებში განსხვავება დიდწილად ეკონომიკური, თუ ინდივიდუალური თავისუფლებებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს მონაწილეობის, ჩარევის მასშტაბებშია. მეტიც, დასავლეთში არსებობს პოლიტ-აკადემიური მიმართულება, რომელიც მიიჩნევს, რომ არ არსებობს დემოკრატია ლიბერალიზმის გარეშე, რადგან არალიბერალური დემოკრატიები პრაქტიკაში ვერ ინარჩუნებენ მდგრადობას და ავტორიტარიზმისკენ უკუსვლის ნიშნებს ავლენენ.

დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში ლიბერალიზმის თავდაპირველმა აღქმამ მნიშნელოვნი ტრანსფორმაცია განიცადა და დღეს ის, განსაკუთრებით აშშ-ში, ბევრის თვალში ძირითადად მემარცხენე იდეოლოგიასა და პოლიტიკასთან ასოცირდება, რომლებიც ინდივიდუალურ თავისუფლებას ზღუდავენ და ბევრ საკითხში სახელმწიფოს აქტიურ და ხშირად უხეშ ჩარევას გულისხმობენ, ნაცვლად მისგან ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფისა. ამდენად, თანამედროვე ლიბერალიზმისა და ლიბერალური იდეის არსი თვით დასავლურ დემოკრატიებშიც საკამათო გახდა. ეს დილემა თავისთავად აისახა ისეთ ქვეყნებზე, რომლებშიც სახელმწიფოს მართვის ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელის არჩევანი ჯერ არც ინსტიტუციურად და არც იდეოლოგიურად გამყარებულა, ხოლო მათზე დასავლეთის საპირწონე გავლენის მოპოვების მოსურნე ავტორიტარული რეჟიმები დასავლეთის ამ „სისუსტეს“ იყენებენ დემოკრატიისა და დასავლური ღირებულებების დისკრედიტაციისთვის.

ერის თანამედროვე ზნეჩვეულებათა სათანადოდ გამოყენებისათვის წინასწარ მათი ქრონოლოგიური განსაზღვრა არის აუცილებლად საჭირო და მარტო თვით იურიდიულ ძეგლებში დაცული ცნობებით დაკმაყოფილება არ შეიძლება. ამავე დროს სასურველია სამართლის ისტორიკოსი იურისტიცა და ფილოლოგოს-ისტორიკოსი იყოს. ჩვენში იურიდიული და ისტორიული ძეგლების შედგენისა და წერის ერთგვარი წესები არსებობს, რომელთა ცოდნა ამიერითგან ამ ძეგლების დამახინჯებული ადგილების აღდგენის საშუალებას მოგვცემს.

ზოგადად და ამ შემთხვევაშიც, საქართველოსათვის ყოველგვარი „დასავლური ღირებულებების“

კალკირება და მისი „კამერული“ უპირობო აღქმა და დანერგვა ხშირად მხოლოდ უარყოფით შედეგებს იძლევა და მისი, ჩვენი ქვეყნის პირობებში, მხოლოდ დადებითი შედეგის გათვალისწინებითაა მისაღები, რამეთუ ლიბერალიზმი, ხშირად, ანტიქართულ, ეროვნულ იდენტობასა და ტრადიციებთან შეუთავსებელ იდეოლოგიად წარმოჩნდება, ამიტომაც უკეთესი იქნებოდა ლიბერალიზმის საქართველოს ცხოვრების წესთან და ტრადიციებთან მორგება და შეთავსება მხოლოდ დადებითი კუთხით.

აღსანიშნავია, რომ ლიბერალიზმის ძირითადი პრინციპების სოციალისტურ თეორიასთან შერწყმით შეიქმნა ახალი იდეოლოგია („სოციალური ლიბერალიზმი“/„თანამედროვე ლიბერალიზმი“). ამ ფონზე ევროპაში და შემდგომ საქართველოშიც ჩამოყალიბდა და გაძლიერდა სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა. ლიბერალური იდეები საქართველოში პირველად რუსეთის ლიბერალურ ელიტასთან დაახლოებული ქართველების ძალისხმევით შემოვიდა. ამ მხრივ პირველი ყველაზე მნიშვნელოვანი მოღვაწე სოლომონ დოდაშვილია, რომლის შეხედულებებზეც გარკვეული გავლენა დეკაბრისტებმა იქონიეს. დოდაშვილი ქართულ კულტურას ევროპული კულტურის ნაწილად მიიჩნევდა და საქართველოს ევროპეიზაციას მშობლიურ წიაღში დაბრუნებად აღიქვამდა. დოდაშვილისეული საქართველოს მომავლის ხედვა ევროპულია. ამით, უკვე თანამედროვე პოლიტიკოსების იდეურ ვექტორთა თანხვედრა სახეზეა. არც ამ დამოკიდებულებითაა სწორედ შეფასებული ილია ჭავჭავაძის კრედო და მიზნების არეალი, რომელიც, ვფიქრობ, ისტორიკოსთა მიერ მერკანტილურად და მედროვეობის ნიშნითაა დამახინჯებულად წარმოდგენილი.

ილია ჭავჭავაძეს მხედველობიდან არ გამორჩენია ლიბერალიზმისა და კონსერვატიზმის შედარება. ილიას აზრით, ლიბერალიზმი მხოლოდ ისეთ ძველ წესებს ებრძვის, რომელიც განვითარებას უშლის ხელს და თავის მხრივ, „ჭეშმარიტი კონსერვატორი“ კი მხოლოდ ისეთ ტრადიციებს იცავს, რომელიც თანამედროვეობისთვის ჯერაც გამოსადეგი და საჭიროა, რამეთუ ენა, მამული, სარწმუნოება, ჩვეულება, წესიერება, ისტორია, ყველა ეს შეადგენს იმ განსაკუთრებულს ნიადაგს, რომლის მიუხედველად შეუძლებელია ხალხის ცხოვრებაზედ ზემოქმედება, მისი წარმატება და მისის კეთილ-მდგომარეობისათვის შედეგიანი მოღვაწეობა.

ხალხის განვითარება და გაძლიერება ყოვლად შეუძლებელია ეროვნული პრინციპების გარეშე ... ერი თავისებური კოლექტიური აგებულებაა, თავისებური კოლექტიური პიროვნებაა. ამიტომ მისი აღორძინება შეიძლება მხოლოდ თავისებური, ეროვნული გზით. ისტორიაში ვერ მოსძებნით ისეთ მაგალითსა, რომ ერს ეღალატნოს თავისი ეროვნებისათვის, ეროვნული კულტურისათვის და არ გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს”.

თუ ნამდვილად გვიყვარს ჩვენი მამული, ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალური მხრით-სამრთლიანად ეკონომიურის განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით მისი გონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით.

მარტო ჩვენი თავის იმედი უნდა ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივენდოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიშრომოთ, აი, მაშინ მეგობარიც ბევრი გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც. დროა, ჩვენც ავიხილოთ თვალი სინამდვილეზე, სიზმრის თვალთმაქცობისაგან თავი ვიხსნათ, იმის გარჩევა ვისწავლოთ, თუ ჩვენს გარშემო რა ამბავია, რა ნამდვილი წამალი უშველის ჩვენს ჭირს? თვალუწვდენელ ოცნებას ეს მცირე ამაგი სჯობია.

ქვეყნის პოლიტიკას, როგორც მის ბუნების ნამდვილ ძალებს, ადამიანის, ხალხის სურვილი კი არა, ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობა სჭედს ისტორიულად. პოლიტიკა ისეთივე ტრადიციული, უცვლელი, მამა-პაპური განძია, როგორც ენა, ეროვნება, მამული და სარწმუნოება.

ერი, როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა, ყოველ პატიოსნისა და ჭკუათმყოფელ ადამიანისაგან უნდა პატივცემულ იყოს ყველა შემთხვევაში და მისი ასე, თუ ისე, ავად ხსენება დიდად სათაკილო საქციელი უნდა იყოს. ყოველს ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთსწრაფვა, თავისი ღირსება. მათი შეგინება იმისთანა სიბრიყვეა, რომელიც გონება გახსნილს ადამიანს არ ეპატიება, არ შეენდობა, ეს ჩვენ კარგად ვიცით და ღმერთმა გვაშოროს იქ მთელი ერი ვიგულისხმოთ, საცა მარტო ერთგვარი გუნდია ცოდვილი. აი, საფრთხე სწორედ აქ არის.

ჩვენს ერს ათასობით წელი უცხოვრია ისტორიულის ცხოვრებით. ბევრი მაგარი და ბევრი უვარგისი ქვა ჩაუგდია იმ საძირკველში, რომელზედაც დღეს ჩვენი აწმყოა დამყარებული მერმისის ამოსაგებად. აბა, სხვა რა შეგვინახავდა ამ ერთ მუჭა ხალხს ამ ამოდენა დაუძინებელ მტრებს შორის. რატომ და როგორ შეგვარჩენდა ხარბობა უცხო თემთა ამ მშვენივრად შემკულს წალკოტსა, რომელსაც საქართველოს ეძახიან, თუ ჩვენს წარსულს ჩვენის ცხოვრების საძირკველში მაგარი ქვა არ ჩაედვა.

ნამდვილად უნდა გვეყოს ჩვენის აწმყოსი და მომავალის ბედის სხვაზედ მიგდება. ჩვენის გაჭირვებისა, გულისტკივილის და წადილის პატრონნი ჩვენვე უნდა ვიყვნეთ. მძიმეა ეს უღელი, მაგრამ მით უფრო სახელოვანია მისი ერთგულად გამწევი. მძიმეა, მაგრამ უმაგისოდ ვერ იქნება ამ ქვეყნიერებაზედ სიკეთე და ძალ-ღონე ხალხისა. სხვა გზა არ არის, ჩვენის ცხოვრების შარა-გზა ჩვენვე უნდა გავიკაფოთ, ბედი და უბედობა ხელთ უნდა ვიგდოთ.
„ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლიან მტერს გავუძელით, გადავრჩით. ქვეყანა და სახელი შევინახეთ, სახსენებელი არ ამოვიკვეთეთ, შევირჩინეთ, საქოლავი არავის ავაგებინეთ. ხმლით მოსეულმა ვერა დაგვაკლო რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხ-ქვეშიდან მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერს ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს, სხვანი დაეპატრონებიან. შრომასა და გარჯას, ცოდნასა და ხერხს ვეღარავინ-ღა გაუძლებს, თუ შრომა და გარჯა, ცოდნა და ხერხი წინ არ მივაგებეთ, წინ არ დავახვედრეთ, წინ არ დავუყენეთ”- გვეუბნება ღირსეული წინაპარი.
ამრიგად, თუ ქართველებმა კვლავაც გამრუდებული და მედროვეობის გზებით ვიარეთ, ცხადია, ფასადურად ეს ყოველივე მიმზიდველად ჩანდეს, მაგრამ თუ დროულად არ ჩამოვყალიბდით დღეისათვის რა არის მთავარი, რითი, რა პრიორიტერული განზომილებებითა და რომელი სახელმწიფოებრივი საწყისით უნდა ვისარგებლოთ თანამედროვე რეალობაში, თუ დროულად არ დავფიქრდით საით მივდივართ, საით მივექანებით, ეს გზა ეკლესიამდე უთუოდ არ მიგვიყვანს.
იფიქრე ქართველო ერო, დროულად იფიქრე და მიიღე სწორი გადაწყვეტილება, თორემ ბევრი ოცნებებითა და ფიქრითაც უპერსპექტივო მედროვეობის მორევში ჩავიხრჩობით.

16. ბატონო ნუკრი, ბოლო ორასი წლის მანძილზე ჩვენი სახელმწიფოს არსებობის პერიოდში საკმაოდ ბევრი პოლიტიკური შავი ხვრელია. ერთ-ერთი მათგანია ე. წ. „ყარსის ხელშეკრულება“. რას გვეტყოდით მის შესახებ?

რთული და მოცულობითი კითხვაა. თავიდანვე, მინდა შეგახსენოთ, რომ არსებობს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა, სომხეთის, აზერბაიჯანის და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკებისა და ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან, ფაქტობრივად, 1921 წლის 13 ოქტომბერს, რუსეთის ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მონაწილეობით დადებული და საქართველოს რესპუბლიკასა და თურქეთის რესპუბლიკას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის შესახებ 1992 წლის 30 ივლისს გაფორმებული ანტიკონსტიტუციური ხელშეკრულებების ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ ცნობის შესახებ:

1. ქართული მხარე ცნობს ბათილად,იურიდიული ძალის არმქონედ სომხეთის,აზერბაიჯანისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების არალეგიტიმური მთავრობების მიერ ოსმალეთის დიდი ეროვნული ყრილობის მთავრობასთან რუსეთის მონაწილეობით დადებულ 1921 წლის 13 ოქტომბრის არალეგიტიმურ, არაკონსტიტუციურ ხელშეკრულებას და ყოველგვარ ვალდებულებას იხსნის მის შესრულებაზე;

2. საქართველოს რესპუბლიკის ხუნტის სამართალმემკვიდრე არალეგიტიმური მთავრობისა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობის თანამშრომლობისა და კეთილმეზობლური ურთიერთობის 1992 წლის 30 ივლისის ხელშეკრულება გამოცხადდეს ბათილად და იურიდიული ძალის არმქონედ, როგორც ანტიკონსტიტუციური აქტი;

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 1990 წლის 9 მარტისა და ამავე წლის 17-18 აგვისტოს დადგენილებებიდან, 1991 წლის 31 მარტის საყოველთაო_სახალხო რეფერენდუმის შედეგებიდან გამომდინარე, რომლის საფუძველზეც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1991 წლის 9 აპრილს აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია განისაზღვროს 1918 წლის 26 მაისის მდგომარეობით.

ამრიგად, ე. წ. ყარსის ხელშეკრულება - 100 წლის წინ იმპერიათა მიერ დაშვებული არალეგიტიმური ფარატინა აქტია!

ჩვენს რეგიონში მიმდინარე გეოპოლიტიკური პროცესების პარალელურად არ წყდება ინტერესი და დეზინფორმაციის გავრცელებით სხვადასხვა იდეოლოგიური მანიპულაცია „ყარსის ხელშეკრულების" ირგვლივ, რომელიც საქართველოში იწვევს პატრიოტულ ემოციებით თამაშს. აღნიშნული ემსახურება მტრის ხატის შექმნას და სკეპტიკური სცენარების განვითარებას, იმ არგუმენტაციით, რომ ყარსის ხელშეკრულებაში არსებობს მუხლები, რომლის თანახმად თურქეთს

აქვს უფლება აჭარის ტერიტორიაზე პრეტენზია გამოაცხადოს და რომ მას 2021 წელს ვადა გასდის. ამდენად, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია აღნიშნული ხელშეკრულების შესახებ ზოგადი წარმოდგენა მაინც შეიქმნას. „ყარსის ხელშეკრულება" არის დოკუმენტი, რომელსაც ხელი მოეწერა 1921 წლის 13 ოქტომბერს ქ. ყარსში ვალის რეზიდენციაში, ერთი მხრივ ვითომ, სამხრეთ კავკასიის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკებსა (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი) და მეორე მხრივ თურქეთს (ანგორის მთავრობა) შორის ბოლშევიკური რუსეთის ჩართულობით. იგი, ასევე უკანონოდ რატიფიცირებულ იქნა 1922 წლის 11 სექტემბერს ერევანში. მოცემული ხელშეკრულების გადახედვა რამდენჯერმე განხორციელდა. დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში სულეიმან დემირელის საქართველოში ვიზიტის დროს ის ხელმეორედ, ასევე არალეგიტიმურად იქნა აღიარებული მხარეთა მიერ და ორქვეყანას შორის დადგინდა (საქართველოს მხოლოდ თურქეთთან აქვს საზღვარი დემარკირებული) საზღვარი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით, ასევე თურქეთმა საქართველო იმ საზღვრებში აღიარა, რომლითაც ის საბჭოთა კავშირში შედიოდა და არა დამოუკიდებლობის აქტის თანახმად. ამდენად, ხელშეკრულებამ საერთაშორისო სამართლის ახალი, არალეგიტიმური სტატუსი შეიძინა.

**17.** *ამბობენ, რომ კიდევ არსებობს სხვა არალეგიტიმური დოკუმენტები, რომლებიც ერთმანეთის კვეთაშია?!*

რა თქმა უნდა, კიდევ არსებობს სამი დოკუმენტი (ასევე არალეგიტიმურნი), რომლებიც ერთმანეთის კვეთაშია. ესენია:

ა) ე. წ. მოსკოვის ხელშეკრულება.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვს ეწვია თურქეთის დელეგაცია და ხელი მოეწერა „მოსკოვის ხელშეკრულებას" – „ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულება", რომლის მიხედვითაც დადგინდა ახალი საზღვრები თურქეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის. მოსკოვში ხელმოწერილი 16 მუხლიანი დოკუმენტის მთავარი მარცვალი პირველ მუხლშია, რომელშიც თურქეთის ჩრდილო-დასავლეთი საზღვარია მოცემული. ცნებაში „თურქეთი" იგულისხმება ის ტერიტორიები, რომლებიც განისაზღვრა ოსმალეთის დეპუტატთა პალატის მიერ შემუშავებული 1336 (1920) წლის 28 იანვრის „ეროვნული აღთქმით". შემდეგ აღწერილია თურქეთის ამჟამინდელი საზღვარი – სარფიდან ნახჭევანამდე. რაც შეეხება ბათუმის ოლქს, მეორე მუხლში ვკითხულობთ: „თურქეთი თანახმაა დაუთმოს თავისი სუვერენიტეტი საქართველოს ბათუმის პორტზე, ქალაქსა და იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მოცემული საზღვრის ჩრდილოეთით მდებარეობს, იმ პირობით, რომ 1) ამ ადგილების მოსახლეობა ფართო ავტონომიით ისარგებლებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული თემის სარწმუნოებრივ-კულტურულ უფლებებს და მიიღებს ისეთ საადგილმამულო კანონს, რომელიც მათ სურვილებს ეთანხმება; 2) თურქეთს მიეცემა ბათუმის პორტით სხვადასხვა საქონლის თავისუფალი ტრანზიტის უფლება, უბაჟოდ და დაბრკოლებების გარეშე, ხარჯების დაუბეგრავად". მოსკოვის ხელშეკრულების მე-15 მუხლით რუსეთი ვალდებულებას იღებდა, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკები მოსკოვის ხელშეკრულების პირობებს აღიარებდნენ, ანუ კრემლი მათზე ზეწოლას მოახდენდა. პრაქტიკულად, „ყარსის ხელშეკრულების" პირობებიც „მოსკოვის ხელშეკრულების" პრინციპების გაგრძელებაა. „მოსკოვის ხელშეკრულების" პირობები თურქეთს ავალდებულებდა მანამდე მიღებული სულთან მეჰმედ VI-ის 1918 წლის 15 აგვისტოს გამოცემული რესკრიპტის და „ბრესტ-ლიტოვსკის" პირობები შეეცვალა და ბათუმის ოლქი თურქეთის გავლენის სფეროს მიღმა ეღიარებინა. ამ მიზნით 1921 წლის 22 მაისს ახალი კანონი შემუშავდა და 1922 წლის 7 ივლისს რესკრიპტით განსაზღვრული ბათუმის ოლქი, რომელიც თურქეთის შემადგენლობაში მოიაზრებოდა აღიარებულ იქნა თურქეთის მიღმა. „მოსკოვის ხელშეკრულება", სამწუხაროდ, დღესაც მოქმედი დოკუმენტია, რომელიც თურქეთსა და რუსეთს შორის ურთიერთობებს ადგენს და გაფორმების თარიღი თურქეთში ოფიციალურ დონეზე აღინიშნება;

ბ) ე. წ. ეროვნული აღთქმა (Misak-ı Millî) – 1920 წლის 28 იანვარს ოსმალეთის პარლამენტმა მიიღო დოკუმენტი, რომლითაც თურქეთის მომავალი საზღვრები და სახელმწიფო მოწყობა განისაზღვრა;

გ) „ყარსის ხელშეკრულება" - 1921 წლის 13 ოქტომბერის ხელშეკრულება. მოლაპარაკების თემას წარმოადგენდა სასაზღვრო-ტერიტორიული საკითხები და პოლიტიკურ-ეკონომიკური ურთიერთობები. ოფიციალურად რუსეთი დამკვირვებლის სტატუსით დაესწრო და ხელი მოაწერა შეთანხმებას. ერთი მხრივ სამხრეთ კავკასიის სამი საბჭოთა რესპუბლიკა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი და მეორე მხრივ თურქეთი წარმოადგენს მხარეებს ამ ხელშეკრულებაში.

შესაძლებელია აღნშნული ხელშეკრულების შემდეგნაირი გაანალიზება, კერძოდ ორივე მხარემ აღიარა ფაქტობრივი რეალობა – საქართველო დე-ფაქტოდ ცნობდა ართვინისა და არტაანის ოლქებს თურქეთის შემადგენლობაში, ხოლო თურქეთი აღიარებდა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სუვერენიტეტს აჭარაზე, იმ პირობით, რომ საქართველო უზრუნველყოფდა აჭარის ავტორნომიურ რესპუბლიკაში მცხოვრები მოსახლეობის უფლებების, მათ შორის რელიგიურ – კულტურული უფლებების დაცვა (მე-6 მუხლი).

აღნიშნული ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ მანამდე გაფორმებული ყველა ხელშეკრულების ბათილად ცნობა გარდა 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულებისა, რომელიც საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის გაფრომდა (1-ელი მუხლი). შესაბამისად, უკანონო ყარსის ხელშეკრულების ფარგლებში საქართველო იძულებული იყო შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში მოქმედი ორი დიდი სახელმწიფოს ინტერესები გაეთვალისწინებინა.

მართალია „ყარსის ხელშეკრულებით" თურქეთს ხელმომწერი მხარეები „ეროვნული აღთქმის" დოკუმენტით განსაზღვრულ საზღვრებში სცნობენ (მე-2 მუხლი), თუმცა მე-4 მუხლით თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი დეტალურადაა აღწერილი დღევანდელი მოცემულობის შესაბამისად და მე-6 მუხლი „ეროვნული აღთქმის" პრინციპის საწინააღმდეგოდ აზუსტებს, რომ ბათუმის ოლქის სიუზერენიტეტი (სიუზერენის – უზენაესი მბრძანებელის, ბატონის, პატრონის უზენაესი უფლება ვასალების მიმართ) საქართველოს გადაეცემა. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისით, რომ სკეპტიკოსები ხაზს უსვამენ დღესაც მოქმედი დოკუმენტის „ეროვნული აღთქმის" მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც ბათუმის ოლქი თურქეთის შემადგენლობაში მიიჩნევა, თუმცა „ყარსის ხელშეკრულების" მე-6 მუხლი ამ დებულებას აბათილებს.

Misak-ı Millî-დოკუმენტში, განსაზღვრულია შემდეგი მუხლები:

• ეროვნული საზღვრების შიგნით სახელმწიფო ერთიანია;

• ოკუპირებული არაბული მიწების სამომავლო ბედი ადგილობრივი ხალხის გადაწყვეტილებით უნდა განისაზღვროს;

• ყარსის, არტაანის და ბათუმის მომავლის განსაზღვრა ადგილობრივი მოსახლეობის რეფერენდუმით უნდა განისაზღვროს;

• დასავლეთ თრაკიის მომავალი რეფერენდუმის გზით უნდა გადაწყდეს;

• სტამბოლისა და მარმარილოს ზღვის უსაფრთხოება თუ იქნება უზრუნველყოფილი, შესაძლებელი გახდება თავისუფალი სავაჭრო ზონის უზრუნველყოფა სრუტეებზე;

• უმცირესობების უფლებების დაცვის ხარისხი დამოკიდებული იქნება მეზობელ სახელმწიფოებში მუსლიმი უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობის ხარისხზე;

• პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი განვითარების შემაფერხებელი კაპიტულაცია მიუღებელია.

მე-6 მუხლის თანახმად: თურქეთი თანახმაა დაუთმოს თავისი სიუზერენიტეტი საქართველოს ბათუმის პორტზე, ქალაქსა და იმ ტერიტორიაზე, რომელიც ამ ხელშეკრულების პირველ მუხლში მოცემული საზღვრის ჩრდილოეთით მდებარეობს, იმ პირობით, რომ 1) ამ ადგილების მოსახლეობა ფართო ავტონომიით ისარგებლებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული თემის სარწმუნოებრივ-კულტურულ უფლებებს და მიიღებს ისეთ საადგილმამულო კანონს, რომელიც მათ სურვილებს ეთანხმება; 2) თურქეთს მიეცემა ბათუმის პორტით სხვადასხვა საქონლის თავისუფალი ტრანზიტის უფლება, უბაჟოდ და დაბრკოლებების გარეშე, ხარჯების დაუბეგრავად". როგორც ვხედავთ „ყარსის ხელშეკრულების" მიხედვით თურქეთს არ გააჩნია შესაძლო სამართლებრივი მექანიზმი რაიმე ფორმით გამოაცხადოს პოლიტიკური პრეტენზია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე, მეტიც მას არ აქვს აღებული მოცემული ტერიტორიის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად პასუხისმგებლობა.

20 მუხლიან დოკუმენტში არსადაა საუბარი ხელშეკრულების მოქმედების ვადასთან დაკავშირებით და ის დამოკიდებულია ურთიერთშეთანხმებაზე მხარეთა შორის. ამდენად მანიპულაცია, რომ 100 წლის თავზე ვადა ეწურება შეთანხმებას არგუმენტს მოკლებულია. რთულია წინასწარ განსაზღვრო სახელმწიფოთა ინტერესები ცვალებად გეოპოლიტიკურ მოცემულობაში, თუმცა საქართველო – თურქეთს შორის მჭიდრო სტრატეგიული ურთიერთობების და გეოპოლიტიკური ინტერესების გათვალისწინებით, რომელიც თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, სტატუს-კვოს შენარჩუნება უფრო მეტად მნიშვნელოვანია მხარეთათვის ვიდრე არასამართლებრივი ქმედებები, რომელიც ეროვნულ ინტერესებს დააზიანებს. ორ ქვეყანას შორის არსებული სახელშეკრულებო-სამართლებრივი ბაზა მოიცავს 76 მოქმედ ხელშეკრულებას და თანამშრომლობის თითქმის ყველა სფეროს არეგულირებს.

სასაცილოა, როცა, ამდენად, თურქეთი ერთგული რჩება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში და ერთ-ერთი ყველაზე აქტიური მხარდამჭერია ნატოში ინტეგრაციისა და გაწევრიანების გზაზე.

18. და მაინც, ყარსის ხელშეკრულება – საუკუნის წინ დაშვებული შეცდომაა, თუ უკანონო აქტი?

უპირველეს ყოვლისა, აქ მთავარია ის, რომ აქტის ხელმომწერები არა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური წარმომადგენლები იყვნენ, არამედ ფაქტობრივად საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს ოკუპანტ-აგრესორები თავიანთი უკანონო სტრუქტურებით.

აქვე, აღსანიშნავია, რომ ყარსის ხელშეკრულებასთანაა დაკავშირებული ზოგიერთი საიდუმლოებით მოცული ფაქტი საქართველო-თურქეთისა და საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობიდან, რომლებიც თავის დროზე არ გახმაურებულა და მკვლევრებისთვის ნაწილობრივ ცნობილი მხოლოდ 90-იან წლებში გახდა, თუმცაღა არქივები ჯერ კიდევ ბევრ უცნობ დოკუმენტებს ინახავენ.

საქართველო-თურქეთის (ოსმალეთის) ურთიერთობა სამწუხაროდ მჭიდროდაა დაკავშირებული რუსეთ-თურქეთის ურთიერთობასთან, უფრო მეტიც, ძალზე ხშირად ორი დიდი იმპერიის სამხედრო დაპირისპირება განსაზღვრავდა ხოლმე საქართველოს ბედს. ასე იყო XVIII საუკუნეში (იასის სამშვიდობო ხელშეკრულება, 1792 წელს); XIX საუკუნეში (ადრიანოპოლის სამშვიდობო ხელშეკრულება, 1829 წელს; სან-სტეფანოს სამშვიდობო ხელშეკრულება 1878 წელს). საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო სან-სტეფანოს ზავი, რომლის თანახმად, რუსეთის იმპერიამ დამარცხებული ოსმალეთისაგან ისტორიული ქართული ტერიტორიები (ტაო-კლარჯეთი, ერუშეთი და სხვ.) მიიღო. 1878-79 წლების ომის შედეგების მიხედვით რუსეთის იმპერიამ ბათუმი და ართვინ-არტაანი ოსმალეთისაგან კონტრიბუციის სახით მიიღო. სან-სტეფანოს ხელშეკრულებით და მოგვიანებით, ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით დადგენილი რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი იურიდიულად უცვლელი იყო 37 წლის განმავლობაში. პირველი მსოფლიო ომის კავკასიის სამხედრო თეატრს კორექტივები შეჰქონდა სასაზღვრო-ტერიტორიულ საკითხებში: ბათუმსა და ართვინს ჯერ ოსმალები (ბრესტის 1918 წლის ზავის შედეგად), მოგვიანებით კი, ოსმალეთის დამარცხების შემდგომ (მუდროსის 1918 წლის ზავით), ბრიტანელები დაეუფლნენ, არტაანი კი პროთურქული ელემენტებისაგან ჩამოყალიბებულმა თვითმარქვია ე. წ. ყარსის რესპუბლიკამ ჩაიგდო ხელში. საქართველოს მთავრობის დიპლომატიისა და ქართული შეიარაღებული ძალების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ საქართველოს სახელმწიფო საზღვარი თურქეთთან საკმაოდ სწრაფად აღდგა თითქმის იმავე სახით, როგორიც პირველ მსოფლიო ომამდე იყო: 1920 წლის ივლისში, როცა აჭარა (ბათუმის ოლქი ართვინითურთ) დავიბრუნეთ, ქვეყნის ხელისუფლების კონტროლირებულმა სახელმწიფო ტერიტორიის ფართობმა თითქმის აბსოლუტურ მაქსიმუმს მიაღწია. ეს იყო უდიდესი მიღწევა XIV საუკუნის 30-იანი წლების შემდგომ, როცა გიორგი ბრწყინვალემ საქართველო კვლავ გააერთიანა.

აი, ასეთი მდგომარეობა ჰქონდა საქართველოს 1920 წლის შემოდგომაზე, როცა კომუნისტური რუსეთისა და ქემალისტურმა თურქეთის მთავრობებმა ერთმანეთს დახმარების ხელი გაუწოდეს. საინტერესოა, რომ იმ პერიოდში ვლადიმერ ლენინისა და მუსტაფა ქემალის ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა: ორივე ევროპულ ინტერვენციას ებრძოდა, ანტანტა მოსკოვსა და ანგორას მტრად მიაჩნდათ. ბუნებრივია, საერთო პრობლემებმა საგარეო-პოლიტიკურ ინტერესთა დამთხვევა გამოიწვია – მოსკოვმა ქემალისტებს საბრძოლო იარაღი და ფინანსები მიაშველა. ბოლშევიკებს უფრო შორს მიმავალი მიზნები ჰქონდათ^ – საბჭოთა რუსეთი

ქემალისტურ მთავრობას ახლო აღმოსავლეთში ბოლშევიკური იდეების გატარების (მსოფლიო პროლეტრული რევოლუციის) საშუალებად განიხილავდა. სულ სხვაგვარი იყო საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია – მკვეთრად გამოხატული დასავლური ვექტორით. რასაკვირველია, როგორც ქემალისტები, ასევე კომუნისტები ქართული სახელმწიფოს მევეურთ ეჭვით უყურებდნენ და თბილისის დიპლომატია აშკარად არ მოსწონდათ. კიდევ ერთი ფაქტორი, რომელიც თურქ ქემალისტებსა და რუს კომუნისტებს აერთიანებდა: ორივენი ცდილობდნენ ყოფილი იმპერიების რაც შეიძლება მეტი ტერიტორია გაეკონტროლებინათ. უფრო მეტიც, ანგორის მთავრობა მოქმედებდა 1918 წლის 4 ივნისს ბათუმში საქართველოსა და სომხეთთან დადებული კაბალურ ხელშეკრულებათა დებულებებით და როგორც საქართველოს ისტორიულ აჭარა-ტაო-კლარჯეთს, ასევე სომხურ ყარსსა და ყაგიზმანს (ანუ აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ვილაიეთებს) თავის ტერიტორიებად მიიჩნევდა. ქემალისტებმა თავიანთი ამბიცია იურიდიულადაც დააფიქსირეს სივასის კონგრესზე და აიძულეს იმ დროისათვის უკვე ინგლისელების ხელში მარიონეტად ქცეული ოსმალეთის პარლამენტი (მეჯლისი) 1920 წლის იანვარში მიეღო ე. წ. ეროვნული აღთქმა, ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომლითაც თურქეთის მომავალი საზღვრები და სახელმწიფო მოწყობა განისაზღვრა. ამ დადგენილებაში ბათუმის ოლქი თურქეთის ტერიტორიად არის წარმოდგენილი, რომელიც „დედასამშობლოს" ჯერ კიდევ 1918 წლის ივნისში დაუბრუნდა. ამასთან, პარლამენტმა „ეროვნულ აღთქმაში" მოსახლეობის ნების პლებისციტით გამოხატვის პრინციპიც შეიტანა. „აღთქმის" საფუძველზე პირველი პროტესტი ტერიტორიების გამო თურქეთმა საქართველოს ჯერ კიდევ 1920 წლის ივლისში გამოუცხადა, როცა დიდმა ბრიტანეთმა აჭარიდან ჯარები გაიყვანა და ბათუმი დაგვიბრუნდა, თუმცა იმ დროს ქემალისტების პროტესტისათვის თბილისს ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია. არადა, თითქმის იგივე განმეორდა 1921 წლის იანვარშიც, როცა საქართველოს დიპლომატიური მისია სიმონ მდივნის ხელმძღვანელობით ანკარაში ჩავიდა: საზღვრებზე საუბრისას მუსტაფა ქემალმა „ეროვნული აღთქმა" შეგვახსენა და მისი ტექსტი გადმოგვცაო, – ატყობინებდა ქართველი ელჩი საგარეო საქმეთა სამინისტროს თბილისში.

„ეროვნული აღთქმა" თურქეთისთვის დღესაც მოქმედი იურიდიული დოკუმენტია, რადგან სწორედ მასშია დაფიქსირებული თანამედროვე თურქეთის ტერიტორია. არადა, ბათუმი და ართვინ-არტაანი ნამდვილად, სამართლებრივად ჩვენია!

თურქეთ-რუსეთის ურთიერთობა სულ უფრო მტკიცდებოდა. 1920 წლის დასასრულს გადაწყდა მეგობრობის ხელშეკრულების დადებაც. საინტერესოა, რომ ბაქოს გავლით მოსკოვს მიმავალი ანგორის მთავრობის დელეგაცია იუსუფ ქემალის მეთაურობით ბათუმიდან თბილისში 4 თებერვალს, რუსეთის თავდასხმამდე რამდენიმე დღით ადრე ჩამოვიდა. საქართველოს ხელისუფლებამ თურქები დიდი პატივით მიიღო, გაიმართა ხანმოკლე მოლაპარაკება, რომლის დროსაც ქემალისტებმა დაადასტურეს ახლო მომავალში საქართველოსთან ხელშეკრულების დადების სურვილი.

საბჭოთა სარკინიგზო ტრანსპორტის ცუდი მუშაობის გამო თურქეთის დელეგაციამ მოსკოვში ჩასვლა დააგვიანა. თურმე ბაქოში მათი ვაგონი შეცდომით რომელიღაც მეორეხარისხოვანი ეშელონისთვის ჩაუბამთ. იუსუფ ქემალი თითქმის ყოველი სადგურიდან ტელეფონით უკავშირდებოდა საგარეო საქმეთა სახკომს გიორგი ჩიჩერინს და დახმარებას სთხოვდა, სპეციალური ორთქლმავალი გვჭირდებაო. როგორც იქნა, 19 თებერვალს, თურქები მოსკოვში ჩავიდნენ, ხოლო რუსეთ-თურქეთის კონფერენცია 26-ში დაიწყო. ხელშეკრულების პროექტის შემუშავებისას მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება უნდა ყოფილიყო თურქეთის ტერიტორიისა და მისი აღმოსავლეთის საზღვრის აღიარება რუსეთის მიერ.

ამ დროს კი საქართველოში ყოველი მხრიდან შემოსეულმა რუსეთის ჯარებმა თბილისი დაიკავეს, მთავრობა ევაკუირებულია ჯერ ქუთაისში, შემდეგ ბათუმში... მარტის დასაწყისში ანგორიდან (ანკარიდან) მიღებული დირექტივების საფუძველზე იუსუფ ქემალმა რუსეთის მთავრობას ბათუმის, ართვინისა და არტაანის, აგრეთვე ყარსის თურქეთის შემადგენლობაში აღიარება მოსთხოვა. ამით მან ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ეს ქალაქები მხოლოდ და მხოლოდ თურქეთს ეკუთვნის...

როგორც თურქული, რუსული და სომხური წყაროებით ირკვევა, გიორგი ჩიჩერინი წინააღმდეგი ყოფილა, რომ თურქეთს ყარსის ოლქი გადასცემოდა. სამეცნიერო ლიტერატურაში სომეხთა ლობისტად წოდებული ჩიჩერინი მართლაც „კბილებით იცავდა“ სომეხთა ინტერესებს, კატეგორიულად მოითხოვდა თურქებს დაებრუნებინათ ყარსი და ალექსანდროპოლი (დღევანდელი გიუმრი, ყოფილი ლენინაკანი), რომლებიც ქემალისტებმა სომხეთთან 1920 წლის აგვისტოს ბოლოს დაწყებული ომის დროს ჩაიგდეს ხელში.

ცნობილი რუსი დიპლომატის ამგვარ მოქმედებას თურქეთის დელეგაცია ძალზე გაუნაწყენებია, მოლაპარაკების გაგრძელებაზე უარიც კი უთქვამთ. საქართველოს პატრონი კი არც ანკარაში და არც მოსკოვში არავინ იყო. საქართველოს მოსკოველი ელჩი გერასიმე მახარაძე ჩეკამ დააპატიმრა, ხოლო ანკარაში საქართველოს ელჩს სიმონ მდივანს მუსტაფა ქემალი სიტყვით დახმარებას ჰპირდებოდა, საქმით კი პირიქით აკეთებდა – ულტიმატუმი წამოგვიყენეს, რომ ჩვენს სამხედრო გარნიზონებს უმოკლეს ვადაში ართვინი და არტაანი დაეტოვებინათ. და აი, საქართველოსათვის ასეთ დრამატულ ჟამს არენაზე გამოჩნდა იოსებ სტალინი.

9 მარტს, გვიან ღამით, ლენინმა თურქებთან საკითხის გარკვევა იოსებ სტალინს დაავალა, 10 მარტს იუსუფ ქემალმა თავისი მოთხოვნები ბათუმ-ართვინისა და ყარსის თურქეთის შემადგენლობაში აღიარებაზე უკან წაიღო, ორიოდე დღის შემდეგ კი ხელშეკრულების პროექტზე საზეიმო ხელმოწერის თარიღად 16 მარტი დაინიშნა. შედეგი გვაფიქრებინებს, რომ სტალინმა პრიორიტეტი მიანიჭა ბათუმს, როგორც შავიზღვისპირეთის უმნიშვნელოვანეს ნავსადგურსა და ბაქოს ნავთობსადენის ბოლო მონაკვეთის შენარჩუნებას, სხვა ქართული მიწები კი, სომხურთან ერთად, თურქებს დაუთმო. თუმცაღა, ბათუმის შენარჩუნებაც საეჭვო კომპრომისად გამოიყურება: თურქებს თითქოსდა უთქვამთ, ბათუმი ჩვენია, მისი სიუზერენები ჩვენ ვართ, მაგრამ კარგი, გითმობთ, ოღონდ აჭარას ავტონომიის სტატუსი უნდა მიანიჭოთო. სტალინმა კარგად იცოდა, რომ ისტორიული ტაო-კლარჯეთი ქართული ცივილიზაციის აკვანი იყო – მას ხომ სასულიერო განათლება ჰქონდა მიღებული და ისიც იცოდა, რომ თურქეთისათვის გადაცემულ ტერიტორიაზე უამრავი ქართული ქრისტიანული ძეგლი იყო შემორჩენილი. მაშ, რატომ მოხდა, რომ შატბერდი, ბერთა, ანჩი, პარხალი და იშხანი მუსლიმანებს დარჩათ? შეიძლება სტალინი ფიქრობდა, რომ ეს მხოლოდ დროებითია, იმჟამად აუცილებელი იყო თურქეთთან მეგობრობის შენარჩუნება, ვითარებას კი მომავალში გამოასწორებდა. ასე იყო თუ ისე, საქართველომ ტერიტორიის თითქმის ერთი მესამედი დაკარგა.

ასე შერჩა საქართველოს ყალბი ძმობა და მეგობრობა უვადოდ ...

1921 წლის 16 მარტის მოსკოვში, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის შენობაში ერთობ დიპლომატიური მოვლენა ხდება: ხელი უნდა მოეწეროს რუსეთ-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულებას. აი, სხდომათა დარბაზში შედის თურქეთის დელეგაცია: ეკონომიკის მინისტრი იუსუფ ქემალ თენგირშენქი (მეთაური), თურქეთის ელჩი რუსეთში, გენერალი ალი ფუად ჯებესოი, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი რიზა ნური-ბეი ...

ჩიჩერინი თურქ დიპლომატებს მაგიდასთან იწვევს, რომელზეც ხელშეკრულების პარაფირებული ტექსტი დევს. დგება მნიშვნელოვანი მომენტი: დოკუმენტს ხელს ჯერ ჩიჩერინი და სრულიად რუსეთის ცკ-ის წარმომადგენელი ჯელალ კორკმასოვი აწერენ, შემდეგ კი იუსუფ ქემალი, რიზა ნური და ალი ფუადი.

მორჩა! ქართველთა დაუკითხავად, თბილისიდან შორს, მოსკოვში ხელმოწერილი „რუსეთ-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულებით" უკანონოდ გადაწყდა საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სახელმწიფო ტერიტორიისა და საზღვრების ბედი და ეს არალეგიტიმური აქტი – ყარსის ხელშეკრულებაც მოსკოვის ხელშეკრულებითაა „დაბადებული".

ყარსის ხელშეკრულების „ხელმომწერი" ე. წ. ქართული (იგივე სომხური და აზერბაიჯანული) მხარე – რუსულ საბჭოთა საოკუპაციო ადმინისტრაციულ ხელისუფლებას წარმოადგენდა და მისი კანონიერება და ლეგიტიმაცია ნულის ტოლი იყო.

1990 წელს, პირველ მრავალპარტიულ არჩევნებამდე რამოდენიმე თვით ადრე საბჭოთა საქართველოს უმაღლესმა საბჭომ და კომუნისტურმა ხელისუფლებამ – ეროვნულ-განმათავუისუფლებელი მოძრაობის მშვიდობიანი ზეწოლის შედეგად ორი უმნიშვნელოვანესი დადგენილება მიიღეს:

1. მათ აღიარეს ბოლშევიკური საბჭოთა რუსეთის მხრიდან, საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან 1920 წლის 7 მაისს გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულების უხეში დარღვევა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ანექსია და ფაქტობრივი ოკუპაცია;

2. საქართველოს საბჭოთა კომუნისტურმა ხელისუფლებამ საკუთარი თავი აღიარა, საბჭოთა რუსეთის მიერ ხელდასმულ საოკუპციო ხელისუფლების სამართალმემკვიდრედ და გამომდინარე აქედან მათ თავადვე გამოაცხადეს მთელი 70 წლიანი საბჭოთა პერიოდი უკანონოდ.

აქედან გამომდინარე – პირველი დემოკრატიული და მრავალპარტიული გზით მოსულ ახალ ხელისუფლებას, საერთაშორისო სამართლის მიხედვით გაუჩნდა კანონიერი საშუალება გადაეხედა ყველა ხელშეკრულებისთვის და თავისი შეხედულებისამებრ გადაეწყვიტა. მარტივად რომ ვთქვა – მომგებიან პოზიციაში აღმოჩნდა. თუმცა, თუ როგორ განვითარდა მოვლენები შემდგომში ყველამ კარგად ვიცით. სახელმწიფო-კრიმინალური გადატრიალების შემდეგ, უკვე 1992 წელს არალეგიტიმურმა სახელმწიფო მეთაურმა – შევარდნაძემ ხელახლა ხელი მოაწერა

იგივე ტიპის შეთანხმებას, როგორც საქართველოს ფაქტობრივმა მმართველმა. თუმცა მისი ლეგიტიმაციაც და კანონიერებაც ანალოგიურად ისევე ნულის ტოლფასი იყო, როგორც რუსული საოკუპაციო ადმინისტრაციისა.

19. ეს თემა, როგორც სჩანს ამოუწურავია და დღევანდელი გეოპოლიტიკური მდგომარეობიდან კიდევ მოგვიხდება მასთან მიბრუნება. ზოგადად როგორ შევაფასოთ თურქეთ (ოსმალეთს) – საქართველოს შორის ხელმოწერილი ყარსის ხელშეკრულების ისტორიული და პოლიტიკური საფუძვლები?!

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღიდან მეზობელ თურქეთთან თანამშრომლობას მნიშვნელოვანი პრიორიტეტი ენიჭებოდა. თურქეთი გახლავთ ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც 1991 წლის 16 დეკემბერს სცნო საქართველოს დამოუკიდებლობა და ამ პერიოდიდან, რთული ისტორიული წარსულის მიუხედავად, ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა ჩამოყალიბდა. კეთილმეზობლური ურთიერთობების მიუხედავად, ხშირად არსებობს ქართულ საზოგადოებაში მოსაზრებები „ყარსის ხელშეკრულებასთან“ დაკავშირებით, რომელიც ჯერ კიდევ 1921 წლის 13 ოქტომბერს იქნა ხელმოწერილი იმდროუნდელი საქართველოს ბოლშევიკურ მთავრობასა და ქემალისტურ თურქეთს შორის და აღნიშნული ხელშეკრულების პირობების გადახედვა რამდენჯერმე იქნა განხორციელებული.
აღსანიშნავია, რომ 1918 წლის 4 ივნისს ხელი მოეწერა „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულებას[5]“. ოსმალეთსა და საქართველოს შორის საზღვარი უნდა დადგენილიყო 1829 წლის ადრიანოპოლის ზავის ხელშეკრულებამდელი პერიოდის შესაბამისად. ეს ნიშნავდა იმას, რომ ოსმალეთის ხელში ბათუმის, ყარსისა და არტაანის ოლქების გარდა, გადადიოდა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც (აბასთუმნისა და აწყურის გამოკლებით). ამ ხელშეკულების რატიფიცირება არ განხორციელდა და შესაბამისად არც შესულა ძალაში. აღნიშნულის მიუხედავად სულთანმა მეჰმედ VI-მ 1918 წლის 15 აგვისტოს გამოსცა რესკრიპტი[8], რომლის საფუძველზეც სამი სანჯაყი (არტაანის, ყარსისა და ბათუმის ოლქები) ოსმალეთის სახელმწიფოსთან შეერთებულად გამოაცხადა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ გააპროტესტა ბათუმის დისკრიმინაციული ზავი და მოითხოვა მისი გადახედვა ცენტრალურ სახელმწიფოთა მონაწილეობით. ამასთანავე გაავრცელა საპროტესტო ნოტა ოსმალთა მხრიდან უსამართლოდ ჩატარებული რეფერენდუმისა და სხვა უკანონო მოქმედებების გამო. გერმანიამ გაიზიარა ბათუმის ზავის გადასინჯვის იდეა და ოსმალეთი ახალი საგანგებო კონფერენციის მოწყობაზე დაიყოლია. კონფერენცია კონსტანტინოპოლში უნდა გამართულიყო. სულთნის კარზე იგეგმებოდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში ხელახალი რეფერენდუმის ორგანიზებაც, მაგრამ მსოფლიო ომში ოთხთა კავშირის დამარცხების გამო აღარც კონფერენცია ჩატარებულა და აღარც რეფერენდუმი. პირველ მსოფლიო ომში გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებამ წერტილი დაუსვა ბათუმის ოლქში ოსმალეთის ექვსთვიან საოკუპაციო რეჟიმს და მუდროსის დროებითი სამშვიდობო ზავის მე-11 მუხლის მიხედვით ოსმალეთს აჭარიდან ჯარები უნდა გაეყვანა. აჭარიდან და სამცხე-ჯავახეთიდან ოსმალეთის გასვლის შემდეგ 1918 წლის 22 დეკემბერს ბათუმის ნავსადგურში შემოვიდა ინგლისის 5 გემი 15-20 ათასკაციანი ჯარით. მათ დაიკავეს ბათუმი. ოსმალეთის ხელისუფლებისა და სამხედრო წრეების წარმომადგენლები სეპარატისტულად განაწყობდნენ სამცხელ-ჯავახელ ბეგებს, ხელს უწყობდნენ ანტიქართული ერთეულების ე. წ. ახალციხის მთავრობის, ყარსის რესპუბლიკისა თუ დამოუკიდებელი აჭარისტანის შექმნა-მოღვაწეობასა და სხვა. 1920 წლის 7 მაისს რუსეთსა და საქართველოს შორის სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის მე-4 მუხლით, რუსეთმა ბათუმის ოლქი საქართველოს შემადგენლობაში აღაირა. მაგრამ ამ დროს საქართველოს ხელისუფლება ბათუმის ოლქს ვერ აკონტროლებს, ის კვლავ დიდი ბრიტანეთის საოკუპაციო ზონას წარმოადგენს. 1920 წლის ივნისში ინგლისმა ბათუმის ოლქი გადასცა[1] საქართველოს რესპუბლიკას და ქართული ძალები ივლისში საბოლოოდ ამ ტერიტორიაზე განლაგდა. მალე ოსმალეთს თვითონ გაურთულდა საქმე, ძლევამოსილმა იმპერიამ დაშლა იწყო. მის ბევრ სამფლობელოზე გამარჯვებულ მოკავშირეთა კონტროლი დაწესდა. მდგომარეობის განმუხტვის

მიზნით და საქართველოს კეთილგანწყობის მოსაპოვებლად თურქეთის მთავრობამ თბილისში ოფიციალური დელეგაცია გამოგზავნა. საქართველოს ოკუპაციის საფრთხე მოიხსნა. წლის თებერვალში, როცა წითელი არმია საქართველოს საზღვრებში შემოიჭრა, ქემალმა თბილისს არტაან-ართვინიდან ჯარის გაყვანა მოსთხოვა. ბოლშევიკურ რუსეთთან ომში მყოფი საქართველო იძულებული გახდა ეს უსამართლო მოთხოვნა შეესრულებინა. ხსენებული ოლქები თურქებმა დაიკავეს. ვითარება ერთობ გართულდა. საბჭოთა რუსეთისაგან ძლეული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. მისი მთავრობა 1921 წლის 17 მარტს ემიგრაციაში გაიხიზნა. წინა დღით, 16 მარტს, მოსკოვში დაიდო რუსეთ-თურქეთის "ძმობისა და მეგობრობის ხელშეკრულება[13]", რომლის თანახმად, ბათუმი საქართველოს უნდა დარჩენოდა, ართვინისა და არტაანის ოლქები კი თურქთა მფლობელობაში გადადიოდა. ხელშეკრულების მიუხედავად, თურქები ბათუმის დაცლას აჭიანურებდნენ. ქალაქის განთავისუფლებას რამდენიმედღიანი ბრძოლა დასჭირდა. ქართულმა ჯარმა გენერალ გ. მაზნიაშვილის სარდლობით მოძალადენი განდევნა და ბათუმი საქართველოს შეუნარჩუნა. შექმნილი რეალობიდან გამომდინარე თურქეთსა და რუსეთს შორის მოლაპარაკებათა ახალი რაუნდები უნდა დაწყებულიყო, რომლის მიხედვითაც სამხრეთ კავკასიის, მათ შორის საქართველოს ტერიტორიის გადანაწილება უნდა მომხდარიყო. ასე მზადდებოდა და ძალაში შედიოდა ყარსის ხელშეკრულება და მისი ძირითადი პრინციპები.

აღნიშნული ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ მანამდე გაფორმებული ყველა ხელშეკრულების ბათილად ცნობა გარდა 1921 წლის 16 მარტს დადებული ხელშეკრულებისა, რომელიც საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთ შორის გაფორმდა (1-ელი მუხლი). შესაბამისად ყარსის ხელშეკრულების ფარგლებში საქართველო იძულებული იყო შავი ზღვისა და კავკასიის რეგიონში მოქმედი ორი დიდი სახელმწიფოს ინტერესები გაეთვალისწინებინა.

„ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ თურქეთს საშუალება მიეცა ახალი და მნიშვნელოვანი საგარეო პოლიტიკა ეწარმოებინა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისადმი. განსაკუთრებით ნიშნადობლივია კავკასიისა და ცენტრალური აზიის მიმართ თურქეთის ინტერესი როგორც პოლიტიკურ ასევე ენერგეტიკულ და ეკონომიკურ სფეროებში. ამასთანავე თურქეთის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა გეოპოლიტიკურ სივრცეში და სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა სახელმწიფოებში მიმდინარე პროცესები. საბჭოთა კავშირთან გაფორმებული ხელშეკრულებების საკითხიც ერთგვარ დღისწესრიგად იქცა, თუმცა თურქულ წრეებში კულვარულად შეშფოთების საგანსაც წარმოადგენდა. საქართველოს დამოუკიდებლობისა და ნაციონალისტური მთავრობის სახელმწიფო სათავეში მოსვლით, რომანტიკულმა ეროვნულმა გრძნობებმა ქართულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ სფეროებში გამოფხიზლების პროცესი დააჩქარა. ახალი იდეოლოგიური მექანიზმებით ქართულ აკადემიურ და პოლიტიკურ წრეებში ისტროიული ტაო-კლარჯეთისადმი ინტერესები დღითიდღე უფრო იზრდებოდა. დაიწყო ისეთი რუკების ბეჭდვა, რომელზეც დღევანდელი თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი (ისტორიული ტაო-კლარჯეთი) საქართველოს შემადგენლობაში აღინიშნებოდა, რამაც თურქულ პოლიტიკურ წრეებში შეშფოთების საფუძველი შექმნა. დაიწყო შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება თურქეთის მხრიდან, რაც გამოიხატებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებით საბჭოთა კავშირში არსებული საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის საზღვრების ფარგლებში. სწორედ ეს, ყველასგან ჩუმად, „დააკოპირა“ გაერომაც თავის ჩანაწერში საქართველოს გაეროში მიღების მეორე პუნქტად. პირველ პუნქტში კი იგი აღიარებდა საქართველოს რესპუბლიკას 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმისა და 1991 წლის 9 აპრილს გამოცხადებული დამოუკიდებლობის გამოცხადების საფუძველზე. ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პუნქტი დღესაც ძევს გაეროს დაფარულ პოლიტიკურ საცავებში და ღიად, გამოქვეყნებულად არავის უნახია!

რამდენი ასეთი უკუღმართული აქტებია, რომლებიც საქართველოს სახელმწიფოს პოლიტიკურ კოზირებად აქვს გამოუყენებლად დასაწყოვებული, რამდენადაც მას არ ჰყავს ეროვნული ფაქტობრივი ხელისუფლება, ქვეყანაც ოკუპირებულია არასამართლებრივად და უპატრონოდ მიტოვებულს ეშმაკები დაპატრონებულან.

გეოპოლიტიკა მხოლოდ მაშინ აჩენს საკუთარ მნიშვნელობას, აზრს, სარგებლიანობას, როცა ქვეყანა სამართლებრივადაა მოწყობილი და ცალკეული ინდივიდიც მიუახლოვდება სოციალურ სიმაღლეს, ამ პროცესამდე კი იგი აბსტრაქტულად აღიქმება. გეოპოლიტიკური ინტერესები მეტწილად დამოკიდებულია სახელმწიფოს ეროვნულ სამართლებრივ, გეოგრაფიული მდებარეობის მახასიათებელზე და სხვა ბევრ ფაქტორთან ერთად.

მიმდინარე სწრაფი გეოპოლიტიკური პროცესების ფონზე რთულია იწინასწარმეტყველო სახელმწიფოთა შორის ურთიერთობების შესაძლო განვითარების სცენარები. თუმცა არსებული რეალობით, შესაძლებელია გარკვეული ხარისხით მომავლის გაანალიზება.

თავი რომ არ შეგაწყინოთ, საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის მიმდინარე და სწორედ რომ უახლოეს საინტერესო პროექტებზე ვისაუბრებთ მომავალ ინტერვიუში. დაველოდოთ, მართლაც ამ უახლოეს ახალ გეოპოლიტიკური პროექტების წარმოჩენას, ანალიტიკურ მსჯელობებს, სამომავლო გეგმების გაცნობას და გამოხმაურობებს საერთაშორისო სივრციდან.

20. კარგი, სასიამოვნო და კეთილი სიურპრიზი დაგვიტოვეთ ბატონო ნუკრი სამომავლოდ, იმედია ყველა სამართლებრივი და ქვეყნისათვის აუცილებელი სურვილები მალე აღსრულდება და ჩვენი სამშობლოც დაიკავებს თავის კუთვნილ ადგილს მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე.

და მაინც, რა ძირითად პრინციპებზე დაეყრდნობა სამომავლო გეგმები?

თავდაპირველად, მოდით, ადრე მრავალჯერ ნათქვამი გავიხსენოთ: დამოუკიდებელი სახელმწიფო – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა საქართველოს ტერიტორიაზე შეიქმნა თითქმის ხუთი საუკუნის მონობის შემდეგ, 1918 წლის 26 მაისს, ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციის დაშლის შედეგად. მე–15 საუკუნის შემდეგ ეს იყო პირველი ერთიანი ქართული სახელმწიფო. ნაჩუქარი დამოუკიდებლობა სამ წელიწადში ჩვენივე უნიათობით დავკარგეთ და საბჭოური იმპერიის კლანჭებში ავღმოჩნდით, როგორც ყოველთვის, მაშინაც ისტორიულად ტკბილად შევეგუეთ ყოველივეს და თბილი „ძილ–ბურანის ნეტარების“ ქურქში გავეხვიეთ. მანამდე კი, დაახლოებით 103 წლის წინ, კიდევ გვქონდა შანსი სახელმწიფოდ შევმდგარიყავით, მაგრამ ვაი, რომ ისევ ჩვენივე უნიათობით, შურით, პირველ რიგში არასახელმწიფოებრივი მიდგომით, ქვეყნის დამოუკიდებლობისადმი ზერელე მოპყრობითა და ამის გამო ჩვენდამი დასავლეთის პოზიციათა არამდგრადობის გამო ჩვენს მიმართ, ყველაფერი წყალში გადაიყარა.

ყოველთვის ისმოდა კითხვა, რომელზეც საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ბატონმა ზვიად გამსახურდიამ პოლიტიკურად სწორად გასცა პასუხი და ეს კითხვაც რეფერენდუმზე სავსებით მართებულად დასვა, რის შედეგადაც საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე.

ქართველებს გვიყვარს ისტორიის არასასიამოვნო მომენტების შელამაზება, ან სულაც მიჩქმალვა, რაც შემდგომ ჩვენივე თავსატეხად იქცევა ხოლმე.

ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ გარკვეულა ქართული პოლიტიკური ელიტა, ან არც უნდათ გაერკვნენ. 1919 წლის 14 მარტს, საქართველოს პირველი არჩეული პარლამენტის თავჯდომარის ნიკოლოზ ჩხეიძის ხელმოწერით მოკავშირეთა ანტანტის უმაღლეს საბჭოს გადაეცა ყველაზე მაღალი დონის სტრატეგიული დოკუმენტი – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მემორანდუმი, რომელიც მოითხოვდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის აღიარებას და მის ცნობას იმ პერიოდის საზღვრებში. ეს დოკუმენტი წარმოდგენილ რუქასთან ერთად უნიკალური იყო არამარტო იმ დროისათვის. მართალია იგი ისტორიის კუთვნილებაა, მაგრამ დღესაც აქტუალურია თავისი მნიშვნელობით. სამწუხაროდ, ჩვენი „ურაპატრიოტული“ დამოკიდებულების გამო, მასობრივ და სოციალურ მედია საშუალებებში, წარმოიდგინეთ მუზეუმებშიც, ეს რუქა გავრცელდა სათაურით ,,საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ერთა ლიგის მიერ აღიარებულ საზღვრებში", რაც არ შეესაბამებოდა სინამდვილეს. მიუხედავად ერთა ლიგის მიერ ამ დოკუმენტის არაღიარებისა, ამ დოკუმენტს უდიდეს სტრატეგიული, იურიდიული და ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და როგორც სჩანს, აქვს დღესაც. ამ დოკუმენტს გააჩნდა და დღესაც გააჩნია უდიდესი მნიშვნელობა არამხოლოდ საერთაშორისო ასპარეზზე, არამედ ქვეყნის შიგნითაც. სწორედ მის გარშემო შედგა კონსენსუსი და ქვეყნის მთელი პოლიტიკური ელიტა გააერთიანა. საქართველოს ფაქტობრივად ამხელა ტერიტორია არასდროს ჰქონია და ძლიერ დასანანია, რომ ჩვენთან ერთად დასავლეთმაც ეს ვერ გამოიყენა. სკეპტიკურად განწყობილი და კომუნისტური იდეებით დაბრმავებული ხალხი, შურით დაგესლილი დასავლეთი და მოგვიანებით ზოგიერთი მეცნიერიც ამ რუქას ,,ქართულ იმპერიალიზმს" უწოდებდა. დარჩა მხოლოდ ისტორიული მეხსიერება, რომელიც ქართველებს აერთიანებდა, ჩვენთვის ეს იყო უმნიშვნელოვანესი, გარე სამყაროსთვის კი, გადამწყვეტი არგუმენტი არ ყოფილა და როგორც ბევრჯერ ყოფილა

შეგვატოვეს მხეცის ხახაში. ... როგორც ცნობილი მკვლევარნი განმარტავენ, დე–ფაქტო აღიარება ქვეყნის ცნობის პირველი ნაბიჯია, ფაქტის ცნობა, რომ რაღაც სუბიექტი ნამდვილად არსებობს სახელმწიფოს ფორმით. დეიურე კი სრულფასოვანი საერთაშორისო აღიარება და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას გულისხმობს. აი, რა გვქონდა, რა დიდებული სტრატეგიული მნიშვნელობის იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტი გვეპყრა ხელთ და ტერიტორიებთან ერთად როგორ დავკარგეთ დამოუკიდებლობაც. თითქმის იგივე მიზეზთაგან, ანალოგიურად განმეორდა 1990–1991 წლების უკვე საქართველოს რესპუბლიკის ისტორია ... მაგრამ დარჩა ქართული სახელმწიფოს ისტორიული, სამართლებრივი სახის დოკუმენტების წყება, რომლებიც დღესაც ძალაშია და ქართველთა ხელთაგან ელიან მის ამოქმედებას ... საქართველოსათვის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი დოკუმენტების, იურიდიულად დღესაც ძალაში მქონე მთელი რიგი სამართლებრივი და საკანონმდებლო ბაზის არსებობა, უფლის შეწევნით, ერთ დღესაც მისცემს საშუალებას ქართულ სახელმწიფოს დაიბრუნოს ძალითა და უკანონოდ წართმეული ძველი დიდება და მხოლოდ სამართალმემკვიდრეობის აღდგენით გაბრწყინდება და გასხივოსნდება ქართული სახელმწიფოებრივობა. უდაოა, რომ დღესაც, უცილებლად უნდა ვაცნობიერებდეთ პასუხისმგებლობას ქართველი ერის წინაშე, ვალდებულნი ვართ ვეყრდნობოდეთ რა 1918 წლის 26 მაისის საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის აქტით, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმის შედეგებით, 1991 წლის 9 აპრილის საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით განცხადებულ პრინციპებს, კანონიერი, ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის 1978 წლის კონსტიტუცია (1990–1991 წლების შესწორებითა და დამატებებით) და მისი ქვემდებარე სახელმწიფო კანონმდებლობები იყო და კვლავაც რჩება საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, აღდგენა–აღორძინებისა და განვითარების უზრუნველყოფის გარანტი. როგორც 1921 წლისა და 1991–1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან, კოლონიზატორი ქვეყნის აგრესიის, ოკუპაცია–ანექსიიდან გამომდინარე, როცა 1921–1990 წლები თავადვე საქართველოს კომუნისტური უზენაესი საბჭოს მიერ იქნა გამოცხადებული უკანონო პერიოდად და შემდგომ 1992 წლიდან დღემდე პერიოდი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ ასევე შეფასდა როგორც უკანონო, უკანონო პერიოდების ამოგდებით კი ძალაშია სწორედ საქართველოს რესპუბლიკის 1919 წლის სტრატეგიული დოკუმენტი, რაც სადაოდ არ ხდის სამართლებრივად და იურიდიული ძალის მქონედ საქართველოს რესპუბლიკის ნამდვილი და კანონიერი ტერიტორიების არსებობას. დიახაც, ლეგიტიმური სახელმწიფოებრივი აქტებით უნდა აღდგეს და მოწესრიგდეს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობის სამართლებრივი საფუძველი, რაც ასევე, ქვეყნის ადმინისტრაციულ–ტერიტორიულ მოწყობასა და მასთან ერთად ქვეყნის ხელისუფლებისა შიდა ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობებს დაარეგულირებს. სახელმწიფოს შიდა კანონები ამდაგვარად სწყვეტენ ამ ტერიტორიული მოწყობის საკითხს და მას უნდა დაერთოს საერთაშორისო თანამეგობრობის აზრიცა და შესაბამისი გადაწყვეტილებაც.

მართლაც, აღსანიშნავია საქართველოში სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის ძირეული მექანიზმების ამოქმედება, მასთან მიმართებაში კი, ძალზედ მნიშვნელოვანი დოკუმენტია „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და მისი მმართველი პოლიტიკური ორგანიზაციის „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების" მსოფლიო თანამეგობრობობისადმი ერთობლივი მიმართვა”. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის ფართო ფენების მიზიდულობის ცენტრი უდავოდ სამართლებრივი, კანონიერი და ეროვნული სუვერენიტეტის აღდგენის იდეა უნდა იყოს და ეროვნულ–სახელმწიფოებრივი აღორძინების კონტექსტში უნდა გავიაზროთ. ეროვნულ–პოლიტიკური თვითიდენტიფიკაციაში უნდა დავინახოთ ამ მოვლენის არსი და ნომენკლატურულმა ფაქტობრივმა რეჟიმმა სწორედ რომ ვერ უნდა გაუწიოს რეალური წინააღმდეგობა სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული ძალების ხელისუფლების სათავეში დაბრუნების პროცესს, რამეთუ პოლიტიკური ტრანსფორმაციის შეფასება კომპლექსურ–ინდუქციური პოლიტიკური ანალიზის საფუძველზე გაცილებით მართებული, ობიექტური იქნება და უნდა შეფასდეს შემდგომ მნიშვნელოვან მოვლენებთან ერთიან სისტემაში და არა მათგან იზოლირებულად, განყენებულად. ცხადია, რომ ამას ხელი უნდა შეუწყოს საერთაშორისო დონეზე გლობალურმა პროცესებმაც, რისი იურიდიულ ბაზა საჭიროებისამებრ უნდა შექმნას მსოფლიო

თანამეგობრობამ, თუნდაც გაეროს გენერალურმა ასამბლეამ სპეციალური დეკლარაციით, რითაც ბოლო მოეღება ე. წ. თალასოკრატიული სახელმწიფოების არსებობას. მათ ტერიტორიულ-სახელმწიფოებრივ სტრუქტურას მეტროპოლია-კოლონიის სუბორდინაციის სისტემაზე აგებული იურიდიული ხასიათი უნდა ჰქონდეს. როგორც ვიცით, დღესაც არსებობს სამართალმემკვიდრე, კანონიერი ხელისუფლების, საქართველოს რესპუბლიკის დევნილი ხელისუფლების ეროვნული ინსტიტუციები და კანონიერი სახელისუფლებო წარმომადგენლობა ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახით, დღესაც და იმედია უახლოეს მომავალშიც, რეალურად შესაძლებელია მისი, ერთიანი, კანონიერი საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ბაზის კანონიერი, ფაქტობრივი ამოქმედება. კანონიერი ხელისუფლების სამართალმემკვიდრეობის ლეგალიზაცია და აღდგენა გარდამტეხ როლს შეასრულებს ქვეყანაში სამართლიანობისა და ამომრჩეველთა ღირსების აღდგენის, ზოგადად, საქართველოს სახელმწიფოს მოწყობის თვალსაზრისითაც. ზოგადად, ლეგიტიმურობა კანონიერებას, სამართლებრივი საფუძვლების არსებობას ნიშნავს, ეს ცნობილია. ცნობილია ასევე, დევნილი ხელისუფლების – მთავრობის საკუთრივ სამშობლოში, თუ სხვა ქვეყანაში დევნილობაში მოქმედება, სამართლებრივი, თუ პოლიტიკური თვალსაზრისით მისი პრეცედენტულობა. დღეს, საქართველო, კვლავ, ქვეყნის, არაკანონიერ ხელისუფალთა შეცვლა-ჩანაცვლების არასამართლებრივი, არალეგიტიმური, მორიგი სახელმწიფო გადატრიალებებსა და ვითომ სახალხო ჯანყი-ბრძოლებში დაღვრილ სისხლიან გზაზე დგას და შემოთავაზებული, მოჩვენებითი, ვითომ სამართლებრივ-კანონიერ ჩარჩოებში მოქცეული ეგრეთწოდებული „დემოკრატიული არჩევნებში" მონაწილეობის მორიგი სპექტაკლები თავიანთი ფიქტიური არჩევითა და ქართველთა სისხლის ხელახალი დაღვრის პერსპექტივით ცოდვების დამძიმება დაუშვებელი, შეუძლებელი და გამორიცხულია ... საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამართლებრივი და კონსტიტუციური სტატუსითა და ეგიდით, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებას" ქვეყნისთვის კატასტროფის აცილებისა და ნაკლებად სარისკო უალტერნატივო გზაა – სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა მისი თანამედროვე დროში გასათვალისწინებელი ყველა სამართლებრივი ნიშნით, მცირე გარდამავალი პერიოდის გამოცხადება, სამართლებრივი, ლეგიტიმური, კანონიერი, საყოველთაო არჩევნების დანიშვნა-ჩატარება და მომავალი ხელისუფლების სამართლიანი, ლეგიტიმური გზით არჩევა, „ამისტებად და იმისტებად" დაყოფილი საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება და რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, ეს გზა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება. ეს ყოველივე საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სამართლებრივად სწორ გზაზე დააყენების ერთადერთი მექანიზმია. ამ გზის დაუსაბუთებელი უარყოფა კი, მხოლოდ კვლავ კონფრონტაციის, ქვეყნის გათიშულობის, ტერიტორიული მთლიანობის არაკეთილმოსურნე და საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილების ძალებსღა აწყობს. საჭიროა, კანონიერი და ფიქტიურ-ფაქტობრივი ხელისუფლების თანხმობის შემთხვევაში, ან საქართველოს ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის, მშვიდობიანი პოლიტიკური ზეწოლით, ფაქტობრივი ხელისუფლების საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოხდეს, სახელმწიფო გადატრიალების დღიდან დღემდე პერიოდი გამოცხადდეს უკანონოდ, კანონიერი ხელისუფლების მიერ უნდა დაინიშნოს მრავალპარტიული, დემოკრატიული, დამოუკიდებელი ცენტრალური საარჩევნო კომისია, შეთანხმებული საარჩევნო კანონის მიხედვით. ყოველივე ეს სასურველია გაკეთდეს საერთაშორისო თანამეგობრობის სახელმწიფოებისა და შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების კეთილი ნებისა და თანხმობის პირობებში. აქედან, ნათლად სჩანს, რომ აუცილებელია, მოხდეს სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენა და შემდგომ ქვეყანამ უნდა საყოველთაოდ აირჩიოს ახალი ლეგიტიმური ხელისუფლება. თავიდანვე, სწორედაც, კანონიერმა ხელისუფლებამ – საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ უნდა დანიშნოს და არაპოლიტიკური, დამოუკიდებელი შეურყვნელი, სუფთა რეპუტაციის მქონე პიროვნებებით დაკომპლექტებულმა დემოკრატიულმა, მრავალპარტიულმა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უნდა ჩაატაროს არჩევნები. მხოლოდ ამ არჩევნების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი, კანონიერი, ლეგიტიმური, ასევე უფლებამოსილი და

ვალდებულიც, რომ იხელმძღვანელებს ლეგიტიმური, სამართლებრივი ბაზით. ამრიგად, ლეგიტიმურობა აუცილებელია იყოს სამართლებრივ-კანონიერი, ანუ რაციონალური. მთავარი ამოცანაა სამართლებრივი, კანონიერი და დემოკრატიული სახელმწიფოს აღორძინება და აღმშენებლობა. თავისუფლება უფლებებისა და მოვალეობების გონივრული გაწონასწორებაა და ერიც და პიროვნებაც, ასევე მათ შორის ურთიერთობა, ამის საფუძველზე უნდა ყალიბდებოდეს. რამეთუ, დამოუკიდებლობა და თავისუფლება ერთი და იგივე არ არის. დამოუკიდებლობა მხოლოდ პირველი ნაბიჯია თავისუფლებისაკენ, მას საქართველომ ჯერ კიდევ ეროვნული ხელისუფლების – 1990-1991 წლების დროს მიაღწია, მაგრამ შემდეგ ჩვენმა ერმა, სახელმწიფომ – ფაქტობრივი, უკანონო ხელისუფლებების სახით, სამწუხაროდ, გეზი არ აიღო თავისუფლებისაკენ. დამოუკიდებლობა უძნელესი პროცესია. ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიაში ცნობილია ტერმინი – შიში დამოუკიდებლობისადმი. 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალებიდან მოყოლებულ ფაქტობრივ ხელისუფალთ სწორედ ეს შიში სჭირდა და სჭირს ... ამით კი, თანდათან გვაცილებს თავისუფლებას. ამით კი, დღეს საფრთხე ჩვენს თავისუფლებასთან ერთად ემუქრება დამოუკიდებლობასაც, რომელიც თავისუფლების გარეშე დიდი ვერაფერი ღირებულებაა. დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას შორის არსებული დიდი განსხვავების არცოდნამ მიიყვანა ხელისუფლება აქამდე. დიახაც, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინებას" მიაჩნია და აქვს ქვეყნისა და კავკასიის რეგიონის კონკრეტული სამართლებრივი გზა, რომელსაც ფოსტულატებად, შემდგომი განხილვისათვის, შემდგომ ინტერვიუში წარმოგიდგენთ.

21. ... და, დღეისათვის ბოლო კითხვა: რა რესურსებს ვხარჯავთ და უნდა ვხარჯავდეთ ჩვენი მთავარი მიზნის: ეროვნულ-განმათავისუფლებელი - ეროვნულ-სახელმწიფოებრივი - ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობისათვის!?

ერთი რამ ცხადია უთუოდ – მხოლოდ მაშინ, როდესაც საქართველოს ეყოლება ჭეშმარიტად ეროვნული ხელისუფლება, ჩვენს სახელმწიფოს შეეძლება, რომ მრავალწლოვანი, კონკრეტულად დღეისთვის, რუსეთის იმპერიის მიერ წარმოებული თითქმის ორასწლოვანი დანაშაულებრივი სამხედრო ოკუპაციითა და ანექსიით გამოხატული აგრესიის გამო ოფიციალურ დონეზე, ყველა შესაბამის საერთაშორისო ინსტანციაში დაისვას რუსეთის, როგორც აგრესორი, დამნაშავე მხარის საერთაშორისო პასუხისმგებლობის საკითხი, შესაბამისი საერთაშორისო მნიშვნელობის დოკუმენტების საფუძველზე, კონკრეტულად – ერთა ლიგის 1927 წლის აგრესიის შესახებ დეკლარაციის, 1828 წლის კელოგ-ბრიანის პაქტის, აგრესიის შესახებ ლონდონის 1933 წლის პირველი, მეორე და მესამე კონვენციების და გეო-ის(,,გაერო“) წესდების საფუძველზე და კიდევ მრავალი საერთაშორისო სამართლით რუსეთს დაედოს აგრესიის გამო გათვალისწინებული შესაბამისი სანქციები და აგრეთვე დაეკისროს მრავალწლოვანი აგრესიისა და მისი დანაშაულებრივი შედეგების გამო რესტიტუციისა და რეპარციების გადახდა, დამოუკიდებელი საქართველოს, როგორც აგრესიის შედეგად მძიმედ დაზარალებული უდანაშაულო საერთაშორისო მხარისა და სახელმწიფოს, სასარგებლოდ!

მრავალწლოვანი იმპერიული აგრესიის, დანაშაულებრივი სამხედრო ოკუპაციისა და ანექსიის და მისი შედეგების აკრძალვისა და ლიკვიდაციისათვის გეო-ის(,,გაერო“) წევრმა სახელმწიფოებმა ოფიციალურ დონეზე უნდა ითანამშრომლონ და იმოქმედონ საგანგებო მისიით შექმნილ სტრუქტურასთან, რომელიც ჩვენს სახელმწიფოში ჩამოყალიბდება მომავალში – საქართველოს ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვის, რუსეთის იმპერიული აგრესიისა და მისი დანაშაულებრივი შედეგების აღკვეთის სახელმწიფო კომიტეტი, შემოკლებით – დამოუკიდებლობის დაცვისა და აგრესიის აღკვეთის სახელმწიფო კომიტეტი, რომელიც გეო-ის(,,გაერო“) შუამავლობით დაიწყებს დიალოგს ყველა მეზობელ სახელმწიფოსთან მშვიდობიანი გზით, საერთაშორისო სამართლის პრინციპების გათვალისწინებით, 1918-1921 წლებისა და დღემდე არსებული პერიოდის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კუთვნილი ტერიტორიების მისი სამართალმემკვიდრისათვის დაბრუნების მიზნით. ვისაც ჩვენთან მშვიდობიანი თანაარსებობა ენდომება, ის უმტკივნეულოდ დააბრუნებს არამარტო 20%, არამედ საერთო ჯამში თითქმის 50%-მდე უსამართლოდ მითვისებულს, ვისაც არა, გვეცოდინება, რომ ის ჩვენი აშკარა მტერია და ჩვენც გავხდებით მათ მიმართ ადეკვატურები.

ასევე, მნიშვნელოვანი და აშკარაა, რომ ბოლო დროს საპატრიარქოსა და მის გარშემო განვითარებული მოვლენები მხოლოდ ერთი მცირე რგოლია იმ დესტრუქციულ მოვლენათა ჯაჭვში, რომელიც მოღალატე მეხუთე კოლონებმა ლაგამივით ამოსდეს ქვეყანას და არ აძლევენ გასაქანს.

საქართველოში ძალიან რთულია სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის სეკულარული პრინციპების ამოქმედება, ვინაიდან ორივე მათგანი წარმოადგენს ერთიანი კორუმპირებული სისტემის განუყოფელ ნაწილს და იმართება უცხო ქვეყნების უშიშროების ორგანოების მიერ ჩანერგილი „დანოსჩიკებითა" და ინფორმატორებით, ვისთვისაც უცხოა ღირსება და ქრისტიანული მორალი. მათ არ აწყობთ ერთიანი, ძლიერი, ქრისტესმიერი ჭეშმარიტებისა და სამართლიანობის ერთგული ეკლესია, რომელიც პოლიტიკური ძალების ზეგავლენის ქვეშ არ მოექცევა.

ამიტომაც, ქვეყნისათვის მიუღებელი სისტემა ცდილობს ხელისუფლებაშიც და მაღალ საკლესიო იერარქიებშიც ააღზევოს ისეთი დისკრედიტირებული პირები, რომლებსაც მათი კომპრომიტირებული წარსულის გამო იოლად გააკონტრელებს. დღევანდელ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში, როდესაც ხელისუფლებას პრაქტიკულად აღარ დარჩა მოსახლეობის მხარდაჭერის რესურსი, რთული წარმოსადგენი არ არის, თუ ვისი ინტერესები დგას ამ იაფფასიანი ინტრიგების მიღმა.

სახელმწიფოებრივი კოლაფსის შექმნაში ერსაც და ბერსაც ყველას თავისი პასუხისმგებლობის წილი აქვს, რაც სათავეს არც თუ ისე შორეული 1980–იანი და 90–იანი წლებიდან იღებს, ამიტომაც ყველა ერიდება ლუსტრაციისა და ტრანზიციული სამართლიანობის განხორციელების აუცილებლობაზე საუბარს. ეროვნული ღირსება, ქრისტიანული ზნეობა და სამართლიანობა არასდროს ყოფილა ამ ბინძური სისტემის პრიორიტეტები, ამიტომაც იძირება ქვეყანა განუკითხაობისა და ზნედაცემულობის ჭაობში.

რა და ვინ ქმნის დღეს გმირებს? პირველ რიგში, თავსმოხვეული, იმპორტირებული და კამერული ძველი, ნაცადი სისტემა, ხოლო ჩვენ, ამ სისტემაში მოთამაშე–მოსამსახურენი, კვლავ ,,დემონკრატიისათვის" თავდადებულნი, ,,ნაციონალ–ლიბერალური ღირებულებებით ,,ვირჩევთ" პირველიდან დაწყებული მეოთხე ხელისუფლების ჩათვლით ჩვენი ქვეყნის ,,მესვეურთ" – „ნამდვილ გმირებს“. ისინი კი, არაჩვეულებრივი, მარიონეტული, მთავარი როლის შემსრულებელ პოზიციურ-ოპოზიციურ, შიგა და გარე გმირებად ყალიბდებიან და აგერ უკვე სამი ათეული წელია შეუდარებელნი არიან ყველა ნომინაციაში, საბოლოოდ კი, ,,გამარჯვებული გმირების" ,,გამარჯვებული" ხალხი ვრჩებით ,,ზამთარში" მარტონი, ცარიელ ქილებში ვდებთ „ამჟავებული მურაბებისა და ტყემლების სურათებს“ და კვლავაც ძველებურად ვხუფავთ ჩვენს ცხოვრებას. მერე რა, რომ ყალბი და მოგონილია ყოველივე, ვაი, სამაგიეროდ გემრიელ, სურნელოვან და ,,ვითომცხოვრების" ასოციაციებს იწვევს! ჰოდა, ვუი, ჰოპლა, ჩვენ ხომ მაინც ვარსებობთ და ჩვენთვის ხომ სწორედ ესაა მთავარი.

მერამდენედ ვიმეორებთ – მაშინ, როცა უნდა ავიღოთ ფორმულა: მე მიყვარს სამშობლო და ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობა ჩემს თავში და არა პირიქით, ესაა სწორედ მთავარი რესურსი. არადა, სამწუხაროდ, კვლავ დეპოში ვართ და მხოლოდ ფბ-ს პოსტებითა და ლაიქებით ვკმაყოფილდებით! ღვთის წინაშე ადამიანის ცხოვრების სატარებელი ტვირთი კუჭის დონეზე და ცხენისძალებით როდი იზომება! მისი საზომი ერთეული ჩვენი განვლილი კაცური ცხოვრების წლებისძალებია მხოლოდ! . . . მართლაც მარადიულ კითხვებად იქცა: ,,სად არის ჭეშმარიტი რეალობა, სად ვარსებობთ ჩვენ სინამდვილეში, სადაც ნაოცნებარ სურათ-ხატებს ვხედავთ სიზმარ-ოცნებაში, თუ რეალურ ცხოვრებაში – დიადი მიზნების ბრძოლის ველზე?“

. . . და ეს მარტო პირადი ტრაგედია როდია, ის ჩვენი ქვეყნის ტრაგედიაა უპირველეს ყოვლისა! ჰოდა, უხარია შინაურ და გარეულ მტერსაც ჩვენი ტრაგედია, კომიკურად ქირქილებს . . . თითქოს ამით მარტო „ჩვენი საქართველო“ დასველდა!

სხვაგვარად ვერც ვუპასუხებ: „უფალო ღმერთო, მიუტევე მათ, რამეთუ არ იციან, რას სჩადიან!“. ხოლო ჩვენ, რომელთაც, კვლავ სიზმარში გვგონია თავი, ყველაფერს უფლის რისხვად შევრაცხავთ ხოლმე და ამავდროულად, უფალსვე შევსთხოვთ დახმარებას! არადა, ყველა ტრაგედიას თავისი კათარზისი ახლავს, თუ, რა თქმა უნდა, ამისი სულიერი მზაობა იქნა. იმედი ვიქონიოთ, იმედი უფლის შეწევნით ჩვენივე თავისა.

მომავლის იმედითა და რწმენით ცოცხლობს ადამიანი!
ნუ ვიქნებით ის, ვინც მხოლოდ ერით ამაყობს! ვიყოთ ის, ერი ვისითაც იამაყებს! ყოველთვის – ვიყუროთ იმედით წინ მომავლისაკენ, კმაყოფილი უკან წარსულისა, მაღლა რწმენით უფლისადმი, დაბლა სიფრთხილითა და გვერდზე მუდამ სიყვარულით!

გვახსოვდეს, „თუ სიყვარული უბრალო ცხოველობაა, მაშინ იგი არ არის ლამაზი, მშვენიერი. თუ იგი უსხეულო ვნებაა, მაშინ იგი არაა ცოცხალი, ხორცშესხმული. იგი ერთსა და იმავე დროს მშვენიერი სულის სურვილიცაა და ლამაზი სხეულის წყურვილიც... მშვენიერი სული ლამაზი სხეულისათვის ლტოლვილი და ლამაზი სხეული მშვენიერი სულისათვის ვნებული”. „მე ადამიანი ვარ და არაფერი ადამიანური უცხო არ არის ჩემთვის!”

# დენიზა სუმბაძე



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის არეოპაგიტული სამეცნიერო ცენტრისა და ამავე ცენტრის თეორიულ ბაზაზე ნიუ იორკის ბიბლიის შემსწავლელი ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

საზოგადოებრივი გაერთიანება „თბილისის უნივერსიტეტის ასამბლეის“ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ და თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის – „ერის უფლებისა და ღირსების“ დამფუძნებელი, ხელმძღვანელი და თეორიულ-ინტელექტუალური ლიდერი, ფილოსოფიის დოქტორი, პროფესორი

# აუცილებელი და გადაუდებელია საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ხელახალი აღმავლობა!

(გამოხმაურება მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ერთ-ერთი ლიდერის, ბატონი ნუკრი ბაღდავაძის ინტერვიუზე, რომელიც ამავე კავშირის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „მატიანეში“ (№35-36, 2021 წ., 7 აპრილი) გამოქვეყნდა.

ჩემო საქართველოვ! ჩემო ძვირფასო ქართველო ხალხო!

ჩემი წინამდებარე გამოხმაურებით, მთელი ჩემი ეროვნული და პიროვნულ-მორალური პასუხისმგებლობის შეგნებით, მინდა ჩემი მშობლიური ხალხის, უმძიმეს და საბედისწერო განსაცდელში ჩავარდნილი სრულიად საქართველოს ცნობიერება და გულისყური მივაპყრო, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში, ჩემი უახლოესი მეგობრების: ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ლიდერობით განხორციელებული ეროვნული მოძრაობის დანატოვარი პოლიტიკური გაერთიანების: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი-ეროვნული აღორძინების“ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ჟურნალ „მატიანე“-ში გამოქვეყნებულ ინტერვიუს, რომელსაც ამავე „კავშირის“ პრესცენტრის ხელმძღვანელი, ქალბატონი ნონა ქევხიშვილი იღებს ჟურნალ „მატიანის“ რედკოლეგიის თავმჯდომარისა და დღევანდელი „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ ერთერთი წინამძღოლის, პოლიტიკისა და სამართლის დოქტორის, სახელმწიფოს მიერ პოლიტიკურ რეპრესირებულად აღიარებული პროფესორისაგან, ბატონი ნუკრი ბაღდავაძისგან, რომლისათვისაც ადამიანი ნამდვილად ბედნიერი რომ იყოს, მისი ცხოვრება უნდა თავსდებოდეს სიტყვებში:

„დიდება უფალს ყველაფრისათვის.“ ეს არ გახლავთ მხოლოდ რიგითი ინტერვიუს აღება ჟურნალ „მატიანის“ რედკოლეგიის თავმჯდომარისაგან, ან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი რიგითი და თუნდაც ძალზედ მნიშვნელოვანი წარმომადგენლისაგან. ჟურნალისტმა იცის, რომ ის იღებს ინტერვიუს ბატონი ნუკრი ბაღდავაძისგან (კავშირის თავმჯდომარე 2017-2021 წლებში), როგორც მეოცე საუკუნის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ფუძემდებელი ორგანიზაციის – „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ – თითქმის ნახევარსაუკუნოვანი პოლიტიკური სიცოცხლის შემნარჩუნებლისა და წინამძღოლისაგან, იღებს ინტერვიუს როგორც ამ „კავშირის“, ისე მთელი ეროვნული მოძრაობის ღვაწლით მიღებული ისტორიული შედეგების შემაჯამებლისა და ანალიტიკოსისაგან, ამასთან „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“, როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის თეორიულ-პოლიტიკური მანდატის ფუძემდებელი ორგანიზაციის სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის 45 წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებულს, 2021 წლისათვის.

ალბათ უფრო ზუსტი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ბატონი ნუკრი ბაღდავაძე , რომელსაც 65 წელი შეუსრულდა, და ჩვენც ვუერთდებით მისდამი საზოგადოების მილოცვას, უკვე ვეტერანული დამსახურების მოღვაწე მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა, ამ ინტერვიუთი ანგარიშს აბარებს საქართველოს საზოგადოებრიობას: ანგარიშს აბარებს მშობლიურ ქვეყანას, მისსავე წიაღში მოღვაწე მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ სახელით, მეოცე საუკუნისეული მეორე ნახევრის, ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას ლიდერობით განხორციელებული მთელი ეროვნული მოძრაობის იმ უერთგულესი გუნდის სახელით, რომელსაც დღეს ბატონ ნუკრი ბაღდავაძესთან ერთად, წარმოადგენენ: საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ ეროვნული სულისკვეთებით აღსავსე პოეტი და პუბლიცისტი, ერთ-ერთი საინტერესო ავტორი და ჟურნალ „მატიანეს“ მთავარი რედაქტორი, კავშირის თავმჯდომარე 2013-2017 წლებში – ბატონი ნოდარ კიკნაძე; „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ უერთგულესი თანამებრძოლი, კავშირის თავმჯდომარე 2004-2013 წლებში – ბატონი თორნიკე ამაშუკელი; ასევე, ეროვნული მოძრაობის წარმმართველი პოლიტიკური გაერთიანების – „მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს“ შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პარტიის, ზვიად გამსახურდიას მიერ დაფუძნებული „საქართველოს სამეფო ლიგის“ თავმჯდომარე, გამგეობისწევრი და ეროვ-ნული მოძრაობის ერთერთი უმნიშვნელოვანესი ანალიტიკოსის, თანამებრძოლთაგან „დიდებულ ადამიანად“ წოდებულის, აწ განსვენებული ბატონი მორის მუსერიძის ვაჟიშვილი, ბატონი მალხაზ მუსერიძე (კავშირის თავმჯდომარის მოვალეობის დღევანდელი შემსრულებელი), „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ უხუცესი ვეტერანი, სიმბოლო და სიამაყე ეროვნული მოძრაობის ერთგულებისა, ჩემი სულიერი და და მეგობარი, აწ განსვენებული, გმირული სულისკვეთების ქალბატონი – კლარა ტო- ნია, რომელმაც თავის დროზევე, ცთომილებისთანავე, აკაკი წერეთლის სიტყვებად ცნობილი შეჩვენების უმკაცრესი მორალური განჩინებით მიმართა ზვიად გამსახურდიასთან დაპირისპირებულსა და ცთომილებაში გახვეული ადამიანებით წარმოდგენილ მხარეს მშობლიური ქვეყნისას; „საქართველოს ჰელსინკის კავშირელების მეგობარი და გულშემატკივარი, გამორჩეული სულისკლვეთების მებრძოლი და უნიჭიერესი მწერალი, შემქმნელი უნიკალური ლიტერატურული ჟანრისა – ლექს-იგავებისა ბატონი გურამ პეტრიაშვილი; ეროვნული მოძრაობის დღევანდელი „შედეგების“ შესანიშნავი ანალიტიკოსი და შესანიშნავი მხატვარი, ბატონი ვაჟა კაკაბაძე, ჩვენი ცივილიზაციის სრულიად უნიკალური

ეზოთერული პრობლემების მკვლევარ-შემმეცნებელი, ბატონი რ ა ტ ი ს უ ლ ა ძ ე; პოლიტიკოსი და თეოლოგი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტის თეოლოგიური განხრის კურსდამთავრებული, ჩემი ერთ-ერთი ბრწყინვალე სტუდენტთაგანი – დ ა ვ ი თ კ ა-პ ა ნ ა ძ ე, თავისი მეუღლითურთ, გულანთებული მამულიშვილით – ნ ა თ ი ა მ უ კ ბ ა- ნ ი ა ნ ი თ; სრულიად გამორჩეული ახალგაზრდა, მშობლიური ერის ბედითა და მისი პოლიტიკური პრობლემებით დაინტერესებული სანიმუშო ახალგაზრდა პოლიტიკოსი – რ ა ტ ი გ ა გ ო შ ი ძ ე და მთელი გუნდი გაუხმაურებელი და ეროვნული სულისკვეთებით ანთებული ადამიანებისა, ქალბატონები და ბატონები, რომლებიც „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ დღევანდელ პოლიტიკურ გაერთიანებაში მონაწილეობის ფორმით, დღევანდელ, ე. წ. „მსოფლიოს ახალი წესრიგის“ პოლიტიკური იდეოლოგიით თავსმოხვეულ გარემოცვაში, საკუთარი რწმენით, უხმაუროდ და რუდუნებით ემსახურებიან საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიცოცხლეს და ქართველი ერის ეროვნულ უფლებათა და ღირსებათა უწყვეტად დაცვის გარდაუვალ საჭიროებას.

არ შემიძლია, აქ დღევანდელი პოლიტიკური გაერთიანების: „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ ოფიციალური ვებ-გვერდიდან არ ვიხმო განცდაში გადასული ჰიმნივით და ეროვნული საგალობელივით აღმოთქმული, სიყვარულით გამთბარი, ხალხური ლექსის პოეტური ემოციით გამხელილი მინაწერი, ვითარცა „განმარტებაი“ ეროვნულ-პოლიტიკური გაერთიანების „საქართველოს ჰელსინკის კავშირისა“, მისი ვინაობისა და რაობისა:

„წლებიც ჩაივლიან ირგვლივ,
მხოლოდ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“
შერჩება მბორგავ ქვეყანას მანამ,
სანამ არ აღდგება კანონიერება
და სამართალი საქართველოში!“

აქვე საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო, რომ „ჰელსინკის დეკლარაციის“ როლი და მნიშვნელობა, რომელზედაც იურიდიულ-თეორიულად დაშენდა საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანება: „საქართველოს ჰელსინკის კავშირი“, დღემდე მარტო საქართველოს პოლიტიკური მიმდევრების საგალობელი როდია:

„ რ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა მ ს ო ფ ლ ი ო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გარეშე, რომელიც მოწოდებულია მსოფლიოში მშვიდობის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობისათვის?!... რა იქნებოდა მსოფლიო (მისი, გაერთიანებილი ერების ორგანიზაციის) ადამიანის უფლებათა ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ქ ა რ ტ ი ი ს გარეშე, რომელსაც ეყრდნობა მსოფლიოს ყოველი მოძრაობა ადამიანის უფლებათა დასაცავად?! რ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა მ ს ო ფ ლ ი ო ე ვ რ ო პ ი ს ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო თ ა უ შ ი შ რ ო ე ბ ი ს ა და თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს მ ი ე რ, 1 9 7 5 წ ე ლ ს, კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ი ს წ ე ს ი თ მ ი ღ ე ბ უ ლ ი ჰ ე ლ ს ი ნ კ ი ს ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო დ ე კ ლ ა რ ა ც ი ი ს გ ა რ ე შ ე ? ! რ ი ს შ ე მ დ ე გ ა ც, 1 9 7 6 წ ე ლ ს, ჩ ა მ ო ყ ა ლ ი ბ დ ა ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა დ ა ც ვ ი ს მ ო ძ რ ა ო ბ ა ?! – წერს ჩვენი თანამედროვე ევროპის „ მ ს ო ფ ლ ი ო ზ ნ ე ო ბ ი ს ფ ო ნ დ ი ს “ ხელმძღვანელი და უნივერსალურ მოაზროვნედ აღიარებული შვეიცარიულ-გერმანული წარმომავლობის თეოლოგი, ევროპის ქრისტიანულ – ლიბერალური განმანათლებლობის წარმომადგენელი, ჰ ა ნ ს კ ი უ ნ გ ი – ავტორი გახმაურებული წიგნისა: „მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის“(1997 წ.). დიდი დაკვირვება არ უნდა, არც იმას, რომ დღევანდელი ევროპის ისეთი აღიარებული მოაზროვნისათვის, როგორიც ბატონი ჰ ა ნ ს კ ი უ ნ გი გახლავთ. ჰელსინკის დეკლარაციის განმარტებაში, როგორც ვხედავთ, ჰელსინკის დეკლარაციის მსოფლიო და საკაცობრიო მისიაში, წამოწეულია და მთავარ მნიშვნელობად არის გამოკვეთილი „ადამიანის უფლებათა დაცვის საბჭოთა მოძრაობად ჩამოყალიბების“ მისია. ასე რომ, ფაქტიურად, თუ მას ჩვენი

მხრიდან „საბჭოთა კავშირის დამშლელ დეკლარაციასაც“ ვუწოდებთ და მივუერთებთ ცნობილ განმარტებას საბჭოთა კავშირის დაშლისას, მსოფლიოში აღიარებული „სიონისტური პერესტროიკის“ ფორმულით, ლოგიკური გარდუვალობით ვეზიარებით ჰელსინკის დეკლარაციის მნიშვნელობას, როგორც საბჭოთა კავშირის „სიონისტური პერესტროიკის“ თეორიულსა და პოლიტიკურ საფუძველსაც . ხოლო, თუ კიდევ უფრო დავაზუსტებთ ჩვენი წინამდებარე გამოხმაურების მთავარ ამოცანას, უნდა აღვნიშნოთ, რომ მთავარ ამოცანაში ჩვენ ვგულისხმობთ, ბატონი ნ უ კ რ ი ბ ა ღ დ ა ვ ა ძ ი ს ინტერვიუში გაცხადებულ სრულიად ახალსა, და გულისა და გონების შემძვრელ მოწოდებას, რომლისკენაც მიიმართება ბატონი ნუკრი ბაღდავაძის მთელი ინტერვიუ, როგორც ლოგიკური წანამძღვრებით გაჯერებული ერთიანი არგუმენტაცია, დასკვნითი ნაწილისათვის გათვლილი, ანუ მოწოდებისათვის ქართველი ხალხისადმი, რომ აუცილებელი და გადაუდებელია ქართველი ხალხის ეროვნულ-განმათავისფლებელი მოძრაობის ხელახალი აღმავლობა. ამასთან მოწოდება სწორედ იმ პოლიტიკური გაერთიანებისაგან, რომელმაც დაიწყო მეოცე საუკუნის ეროვნული მოძრაობა საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოთხოვნით და ბოლომდე მიიყვანა ეს მოთხოვნა, მთელი მსოფლიოს მხარდაჭერით. უფრო მეტიც! ქართველმა ხალხმა რეფერენდუმის წესით, საკუთარი ხელმოწერითაც, ანუ იურიდიულ დოკუმენტური ფორმითაც დაადასტურა 1991 წლის 31 მარტს, საკუთარი ეროვნული ნება და სურვილი საკუთარი ქვეყნის თვითმყოფადი განვითარებისა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების გზით. ამიტომ, ამ ფაქტობრივი და საყოველთაო სახალხო ნებით, ქართველი ხალხის იურიდიული პასუხისმგებლობით დადასტურებული დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის მოპოვების შემდგომი ჩვენი ეროვნული ცხოვრების იმ 30 წლიანი პროცესუალური განვითარების შედეგებით, ღვთით კურთხეული და ბუნებით უმდიდრესი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ი ს ა გ ა ნ, ბატონი ნუკრი ბაღდავაძისგან შემოტანილი ტერმინით რომ მოვიხსენიოთ, „ პ რ ო ლ ე ტ ა რ ი ე რ ი ს“ მ ი ღ ე ბ ი თ შ ე ძ რ წ უ ნ ე ბ უ ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ე რ ი ს წ ი ნ ა შ ე დღეს სასწაულებრივი „სვეტი ცხოველივით“ არის აღმართული, როგორც დაუძინებელი გამოწვევა ქარიშხალივით მოვარდნილ კითხვაზე პასუხის გაცემის: მივიღეთ ჩვენ ქართველმა ერმა ჩვენი ეროვნული მოძრაობით, და რეფერენდუმით დადასტურებული მოთხოვნით ის, რასაც ვითხოვდით?! და მიმაჩნია, რომ ეს კითხვა რეფერენდუმზე ხელმომწერი საზოგადოების სახელით უნდა შედგეს როგორც საპროტესტო დოკუმენტი, რომელშიც უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენ ქართველ ხალხს არ მოგვითხოვია არც ჩვენი ერად ყოფნის გარდაქმნა სამოქალაქო საზოგადოებად და არც კაცობრიობის რიცხობრივი შემცირება! ჩვენ უნდა უსათუოდ დავსვათ ხმამაღალი კითხვა:

ჩვენი ეროვნული და სახალხო პასუხისმგებლობის შეგნებიდან გამომდინარე, საკუთარი ეროვნული ვინაობის წინაშე: ჩვენ, ქართველი ერი, დიადი წარსულისა და დიადი წინაპრების ერი, დავით აღმაშენებლისა და დიდი თამარის, დიდი რუსთველის ერი, როგორ მივედით ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების, ჩვენი ეროვნული თვითმყოფადობის მაძიებელნი, ერად არსებობისა და ეროვნული სიცოცხლის უფლების დაკარგვასთან?! ვისა აქვს უფლება აგვიკრძალოს, ან ჩამოგვართვას ერად ყოფნის უფლება?! ვისა აქვს უფლება კაცობრიობის მრავალფეროვან ერებად არსებობას, ადამიანთა ღვთითბოძებული ერთობის იმ ისტორიულ სიდიადეს, იმ ღვთაებრივ იდუმალებას ადამიანთა ერთად ყოფნისას და ერთად სიცოცხლისას, იმ ერთიან ღვთაებრივ ამეტყველებას ადამიანებისას მშობლიურ ენაზე, მხოლოდ ერთმანეთისთვის გასაგებ ენაზე და ერთად წვას სულისას, რომელსაც ეროვნული სულის ერთიანი სულიერი სწრაფვა ჰქვია, საკუთარი ღვთაებრივი მარგალიტების საუნჯის შესაქმნელად და ღვთის საკურთხეველზე მისატანად მადლიერების ნიშნად, ჩამორჩენილობა უწოდოს?! ვინ და რამ მიგვიყვანა ერად ყოფნის ამ დაკარგული უფლების მაძიებლობის განსაცდელთან?! როგორ მოგვისაჯეს ჩვენი ეროვნული,

დემოგრაფიული, ისედაც კრიზისული რიცხოვნობის შემცირების საჭიროება კაცობრიობის ინტერესების გამოგონილი საჭიროების ფორმითა და სახელით, ვიმეორებ: ამასთან, ისედაც დემოგრაფიულ კრიზისში ჩაძირულ ქართველ ერს?! და რაც მთავარია, როგორ ხდება, რომ ამ სასჯელს ყურმოჭრილი მორჩილებით ასრულებს საქართველოს დღევანდელი ფაქტობრივი ხელისუფლება და მთავრობა?! საქართველოს მთავრობის ფაქტობრივი დღევანდელი ხელმძღვანელობა, ჩვენი ქვეყნის, საქართველოს გადარჩენას „კორონა ვირუსის“ საწინააღმდეგო აცრებში ხედავს, და არა კაცობრიობის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული მესამე, და ამასთან ვირუსული ომის აკრძალვაში?! დადგა ჟამი სიღრმისეული, გადაუდებელი აუცილებლობისა აკადემიური შემეცნებისა და ანალიზისა იმ მსოფლიო წესრიგის, რომლის მორჩილებაში ყოფნამაც, საქართველოს დღევანდელი მდგომარეობით, მთელი ქართველი ერი, მისივე ახალი, ე. წ. დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს სამათეულწლიანი სახელმწიფო პოლიტიკით, სასიცოცხლო განსაცდელში შეასახლა. როგორ ავხსნათ ეს განსაცდელი? როგორც მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლოგიკური შედეგი, თუ რაღაც გაუგებრობა, რომელიც ერთ ქართულ ანდაზაშია გამოხატული თავისი დედააზრით: „უხეირო ფრინველი უდროო დროს აფრინდებაო“, უთქვამს ქართველ ხალხს. ხომ არ მიესადაგება ქართული ხალხური სიბრძნით წარმოთქმული ამ ანდაზის დედააზრი დღევანდელი განსაცდელის ახსნას? ამ ანდაზით ის კანონზომიერებაა ხაზგასმული, რომლითაც აუცილებელია ზუსტი განსაზღვრა ადამიანური ქმედებისა და ამ ადამიანური ქმედების დროულობის ურთიერთმიმართებისა და ურთიერშესაბამისობისა. მინდა ჩემს მიერ არაერთგზის მოხსენიებული ცნობილი ამერიკელი პროფესორის – რიჩარდ პაიპსის გუწრფელი გაფრთხილება გავიხსენო, საქართველოში სტუმრობის დროს, კრწანისის რეზიდენციაში გამართულ ერთ-ერთ საერთაშორისო კონფერენციაზე წარმოთქმული და კონფერენციის მასალებში გამოქვეყნებული: საქართველო ჩაებაო მსოფლიოს იმდენად რთულ და სახიფათო პოლიტიკურ თამაშებში, შესაძლებელია იგი ყოველთვის ვერ გამოვიდესო ამ თამაშებიდან გამარჯვებული. ამგვარი განსჯანი უსათუოდ გვიტოვებს უფლებას, დავუსვათ ჩვენს თავს კითხვა: რამდენად ზუსტი და სწორი იყო ჩვენს მიერ მსოფლიოს ახალი წესრიგის პროცესებში ჩართვა ჩვენი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნით? და რამდენად გვანიჭებდა ამ უფლებას ის დეკლარაცია, რომელიც საბჭოთა მოძრაობის ჩამოყალიბებისათვის იყო მიმართული, რათა დაეცვა მას ადამიანის უფლება ეროვნული თვითმყოფადობის მოთხოვნისა და მისი უზრუნველყოფისა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გზით.?! ეს გახლავთ ფუნდამენტური მნიშვნელობის კითხვა ეროვნული მოძრაობის იურიდიული მანდატის შეფასებისათვის? სხვარიგადაც დავსვათ ეს კითხვა: იძლეოდა თუ არა საფუძველს ადამიანის უფლებათა დაცვისათვის შექმნილი ჰელსინკის 1975 წლის საერთაშორისო დეკლარაცია ეროვნული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მოთხოვნისათვის? ამავე კითხვის დასმა იწვევს აგრეთვე ერთ გარდაუვალ კითხვას: რა აუცილებლობა იწვევს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებათა დაცვის უკვე არსებული, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, იგივ ქარტიის კონტექსტში, 1975 წლის ჰელსინკის საერთაშორისო დეკლარაციის მიღებას, რომელიც, როგორც ჩვენს მიერ მოხმობილი ევროპელი თეოლოგის მსჯელობაში დავინახეთ, ლამის თავად გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და ამავე ორგანიზაციის მიერ მიღებული ადამიანის უფლებათა საყოველთაო ქარტიის რანგშია მოაზრებული და წარმოდგენილი?! როგორ შეიძლება ავხსნათ მისი, 1975 წლის ჰელსინკის დეკლარაციის საჭიროება მსოფლიო პროცესებით?! რამ განაპირობა მსოფლიოს 35 სახელმწიფოს მოწვევა ადამიანის უფლებათა დაცვის ჰელსინკის საერთაშორისო დეკლარაციის მიღებისათვის? არ შეიძლება ყურადღების მიღმა დავტოვოთ ფაქტი, რომ სწორედ 1975 წელს ხდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ

იმ გახმაურებული რეზოლუციის მიღება, რომლითაც სიონიზმი, როგორც მოძრაობა ცხადდება რასიზმად, ანუ კაცთმოძულეობის ფორმად. ებრაული საზოგადოებრიობა მძვინვარე პროტესტით ხვდება ამ რეზოლუციას. ჩნდება საბაბი სიონისტური მოძრაობისა და გაერთიანებული ერების დაპირისპირებისა. ღიად გამოხატავს ამ დაპირისპირებას ცნობილი პიროვნება ისრაელისა იცხიკ დავიდი: „იმ დღეს, რა დღესაც ისრაელის რადიომ გადმოსცა ინფორმაცია გაეროს რეზოლუციისა, რომლითაც სიონიზმი გამოცხადებულ იქნა რასიზმის სახეობად, სამუდამოდ ჩაესვენაო მზე ისრაელსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის“.

შეგახსენებთ, რომ გაეროს „ადამიანის საყოველთაო უფლებათა ქარტიის“ 60 წლისთავის აღსანიშნავი ზეიმით, 2008 წელს, ოფიციალურად გამოქვეყნებული მასალებით, ხაზგასმით არის გაცხადებული, რომ გაეროს ადამიანის უფლებათა საყოველთაო ქარტია, კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიცავდა საყოველთაოობის პრინციპით განმტკიცებულ და ინდივიდუალურობის კონტექსტში მოაზრებულ ადამიანის უფლებებს.... იგი კრიტერიუმი და საზომია იმისა, თუ როგორ განვსაზღვრავთ, თუ უნდა განვსაზღვროთ, რა არის კარგი და რა არის ცუდი. „დეკლარაციის მიღების 60 წლისთავი შესანიშნავი შესაძლებლობაა ერთხელ კიდევ დავადასტუროთ ჩვენი ერთგულება დეკლარაციაში აღბეჭდილი ხედვისადმი – აცხადებს გაეროს გენერალური მდივანი, ბ ა ტ ო ნ ი პ ა ნ გ ი მ უ ნ ი – დეკლარაცია დღეს ისევე აქტუალურია, როგორც მისი მიღების დღეს.“

ადამიანის უფლებათა საყოველთაო ქარტიის 60 წლისთავის აღსანიშნავ განაცხადებში, საინტერესოა აგრეთვე ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის, ლ უ ი ს ა რ ბ ო რ ი ს გამოსვლა. ლ უ ი ს ა რ ბ ო რ ი ხაზს უსვამს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მიღებას სწორედ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როცა მსოფლიო, მომხდარი ჰოლოკოსტის შიშით შეპყრობილი და კოლონიალიზმისა და გამეფებული საყოველთაო უთანასწორობით დაყოფილი, იღებდა ყველა ადამიანის თანდაყოლილი ღირსების და თანასწორობის დაცვის კანონს“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული „ადამიანის საყოველთაო უფლებათა ქარტიის“ პირველივე მუხლით არის გაცხადებული მთელი დედააზრი ქარტიისა: „ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებით და ყველა ადამიანსა აქვს მინიჭებული გონება და სინდისი, უნარი რომ ერთმანეთის მიმართ იქცეოდნენ ძმობის სულისკვეთებით. ყველა ადამიანსა აქვს სიცოცხლის, თავისუფლების და პირადი ხელშეუხებლობის უფლება“.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო ქარტიის პირველივე მუხლის ამოკითხვით იბადება კითხვა: ნუთუ გაეროს ქარტიის კომისარი დუმს კაცობრიობის წინააღმდეგ მიმართული დღევანდელი პანდემიური ომის მიმართ? ნ უ თ უ დ ღ ე ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი დ ა მ ს ო ფ ლ ი ო შ ი მ ი მ დ ი ნ ა რ ე ვ ი რ უ ს უ ლ ი ო მ ი კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს რ ი ც ხ ო ბ რ ი ვ ი შ ე მ ც ი რ ე ბ ი ს მ ი ზ ნ ი თ, რ ო მ ე ლ-ს ა ც მ ს ო ფ ლ ი ო ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ო ბ ა მ შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა უ წ ო დ ა კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ი ს წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ, ა რ ა რ ღ ვ ე ვ ს გ ა ე რ თ ი ა ნ ე ბ უ-ლ ი ე რ ე ბ ი ს ო რ გ ა ნ ი ზ ა ც ი ი ს ა დ ა მ ი ა ნ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ქ ა რ ტ ი ა ს?

მკითხველის ყურადღება მინდა მივაპყრო აგრეთვე ჩემი თვალსაზრისით კიდევ ერთ ძალზედ მნიშვნელოვან უფლებას ყოველი ადამიანისას, რომელიც გაეროს „ადამიანის საყოველთაო უფლებათა ქარტიაშია აღნუსხული: ეს გახლავთ ყოველი ადამიანის, როგორც მსოფლიო მოქალაქის უფლება მსოფლიო წესრიგის როგორობაზე. ქარტიის 28 მუხლით: „ ყ ვ ე ლ ა ს ა ქ ვ ს უ ფ ლ ე ბ ა ი ს ე თ ს ო ც ი ა ლ უ რ დ ა ს ა ე რ თ ა შ ო რ ი ს ო წ ე ს რ ი გ ზ ე, რ ო მ ლ ი ს პ ი რ ო ბ ე ბ შ ი შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა წ ი ნ ა მ დ ე ბ ა რ ე დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა შ ი ჩ ა მ ო-თ ვ ლ ი ლ უ ფ ლ ე ბ ა თ ა დ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა თ ა ს რ უ ლ ი გ ა ნ ხ ო რ-ც ი ე ლ ე ბ ა“.

მოხმობილი ციტირებებით, ანუ ილუსტრაციით ადამიანის უფლებათა დაცვის ასეთი დონის არსებობის შემდეგ, ამასთან გათვალისწინებით მეორე მსოფლიო ომის ტრაგიზმებისაც კი, ადამიანის უფლებათა კიდევ ახალი საერთაშორისო დეკლარაცია, ანუ ჩვენი საგანგებო ყურადღებისა და კვლევის საგნად ქცეული „ჰელსინკის 1975 წლის დეკლარაცია“, ჩვენი დასკვნით, არა მხოლოდ ადამიანის უფლებათა, არამედ ასევე ხალხებისა და ერების უფლებათა წარმოჩინებით, უსათუოდ საგანგებო ჩანაფიქრისა და მიზანდასახულების დეკლარაციაც უნდა იყოს და ჩვენი წინამდებარე წერილი, ბატონი ნუკრი ბაღდავაძის ძალზედ საინტერესო და ძალზედ მნიშვნელოვანი ინტერვიუდან, რომელშიაც უამრავი ყურადსაღები განსჯა და აზრია შემოთავაზებული, მხოლოდ ამ პრობლემით, ჰელსინკის დეკლარაციასთან დაკავშირებული პრობლემებით გახლავთ შემოსაზღვრული, როგორც ყველაზე მეტად დაკავშირებულით დღევანდელ გადაუდებელ ამოცანასთან, მთელი ქართველი ხალხის. თუმცა ჟურნალისტის კითხვაზე: „ თ უ რ ა ა რ ი ს უ მ თ ა ვ რ ე ს ი გ ა დ ა ს ა წ ყ ვ ე ტ ი პ რ ო ბ ლ ე მ ა დ ღ ე ს ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ ი კ რ ი ზ ი ს უ ლ ი ს ი ტ უ ა ც ი ი ს ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი?“ – ბატონი ნუკრი ბაღდავაძე პასუხობს სრულიად გარკვევით, სრულიად კატეგორიულად და სამართლიანად, რომ ეს არის დ ე მ ო გ რ ა ფ ი უ ლ ი პ ო ლ ი ტ ი კ ა. დიახ, ეს ნამდვილად ასეა, რადგან საქართველოში მსოფლიოს ახალი წესრიგის სახელწოდებით შემოჭრილმა და ქართველი ერის თავზემოხვეულმა მსოფლიო პოლიტიკამ, მთელი თავისი იდეოლოგიიდან გამომდინარედ, დღის წესრიგში დააყენა ქართველი ერის სიცოცხლის საკითხი, ამასთან – ქართველი ერის სიცოცხლისა, არა მხოლოდ როგორც ერის, ან კაცობრიობის ნაწილისა მთელი კაცობრიობის ხვედრთან ერთად, არამედ – როგორც საკუთრივ ქართველი ერის.

ამრიგად, ჩვენ ქართველმა ხალხმა, მსოფლიო პროცესების ხელშეწყობით შექმნილი ჩვენი ეროვნული მოძრაობის მეშვეობით, მაძიებლებმა ჩვენი ქვეყნის, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობისამ, სახელმწიფო დამოუკიდებლობა კი მოვიპოვეთ, მაგრამ ამ დამოუკიდებლობითვე მივედით ბევრად უფრო საშიშ და სახიფათო პრობლემასთან: ჩვენი ეროვნული სიცოცხლის პრობლემასთან, ჩვენს ყოფნა-არყოფნასთან, რადგან მსოფლიოს ახალი წესრიგი, რომელიც არ ვიცოდით, რა იყო, საერთოდ არ ვიცოდით ის მსოფლიო, რომელიც მსოფლიო ბატონობის პერსპექტივაში ეცილებოდა ე. წ. „საბჭოთა იმპერიას“, პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყნიდან გარდასახულს ხალხთა მეგობრობის ქვეყნად. არ ვიცოდით, რომ მეორე მსოფლიო ომში წამებული ებრაელი ხალხის წარმომადგენლობითი მსოფლიოს სიონისტური მოძრაობა თავისი ბიბლიური მიზანდასახულების აღმასრულებელ საეტაპო ნაწილში იყო გასული. შემთხვევითი არ იყო, რომ 1989 წლის 9 აპრილის სამხედრო შეიარაღებულ თავდასხმას 9 აპრილის 40-ზე გამოსული სიტყვით, გაზეთ „დროების“ ფურცლებზე მე ვუწოდე თავდასხმა „ახალი საღმრთო ერის“ სიცოცხლეზე, რადგან, ამ დროისათვის, დამკვეთი ამ თავდასხმისა „ჰელსინკის დეკლარაცია“ იყო და არა „რუსეთის იმპერია“: 9 აპრილის მთელი ის უმანკო ეროვნული სულისკვეთება და თავგანწირვა, მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრიგის“ სამსახურში იდგა და არა საკუთარი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის, რადგან ის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც ქართველი ერის გულამოხეთქილი თავგანწირვით უნდა მოპოვებულიყო, მსოფლიოს ე. წ. „ახალი წესრიგის“ სიონისტური მმართველობის განხორციელებისათვის იყო პირველ რიგში გათვლილი და საჭირო, რითაც ფაქტიურად სიონისტური მმართველობისათვის ქართველი ერის, როგორც ერის ფუნქციაც მთავრდებოდა. ამიტომ იყო, რომ საქართველოს ხელისუფლების დღევანდელმა თავკაცებმაც, როგორც მმართველი სახელისუფლებო გუნდის ხელმღვანელებმა, საქართველოში აღსრულებულ გრანდიოზულსა და მონოლითურ დარტყმას საბჭოთა კავშირზე, ანუ 9 აპრილის ისტორიულ აქციას, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა, საბჭოთა ხალხების შემართებაზე, ერთიანი საბჭოთა კავშირის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად დაშლის მოთხოვნაზე, „მსოფლიოს

ახალი ეპოქის დასაწყისი“ უწოდეს. ამჯერად კი უფლება არა მაქვს, არ მოვიხსენიო „საქართველოს ჰელსინკის კავშირის“ ტრადიციულ ჟურნალ „მატიანეში“ გამოქვეყნებული უცნობი ავტორის, „მემატიანის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი, რომელშიც ესსეისტური მხატვრულობით არის აღწერილი, როგორ დაადო ვეტო საქართველოს გაწევრიანებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად, დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მიერ წარგზავნილი დოკუმენტების საფუძველზე, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში, ედუარდ შევარდნაძემ, იმ დროს, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი თავისი სახელისუფლებო გუნდით იძულებული იყო ბუნკერში ჩასულიყო. ეს ისტორიული ფაქტი მსოფლიოს იმ ძალების მიერ იქნა დამალული, რომლებიც მსოფლიოს ე. წ. ახალი წესრიგის წარმომადგენლები იყვნენ და რომლებმაც ზვიად გამსახურდიას დაამთავრებინეს სათავისო მოღვაწეობა. უფრო ადრე კი მერაბ კოსტავა ჩამოაშორეს საქართველოს და მის მიერ მოწამეობით მოპოვებული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პერსპექტივას. ამავე ჟურნალ „მატიანეშია“ გამოქვეყნებული ბრწყინვალე წერილი ბატონი მორის მუსერიძის, მსოფლიოს მასონური შეთქმულების შესახებ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ, რომელსაც მასონური სამყარო გაუსწორდა „დინების საწინააღმდეგო“ სვლისათვის და „დინების თანხვედრილი“ ედუარდ შევარდნაძის ჩანაცვლებით... ეს ხრიკები და დეტალები სახელმწიფოს იდეოლოგიური გადატრიალებისა უნდა ვკითხოთ „რევოლუციების სპეციალისტს“, როგორც თავად უწოდებს თავისთავს, ბატონ ჯორჯ სოროსს. მისი ხელწერა უკვე იმდენად სპეციფიკური და ინდივიდუალურია, რომ გამოძიებას აღარ საჭიროებს. ჩავიხედოთ მთელი მსოფლიოს წინაშე მიმდინარე ამერიკის პრეზიდენტის, მისი აღმატებულების, მსოფლიოს ახალი წესრიგის დინების საწინააღმდეგოდ მიმავალი ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის, ბატონი დონალდ ტრამპის მეორე ვადის საპრეზიდენტო არჩევნების პროცედურებში, როგორც სარკეში, სოროს-ბაიდენის ალიანსში ამოვიკითხავთ და დავინახავთ საქართველოში შემდგარ სოროს-შევარდნაძის ალიანსით განხორციელებულ დინების საწინააღმდეგოდ მიმავალი ზვიად გამსახურდიას და მისი ხელისუფლების ბუნკერიდან გაძევებას მეორე დღესვე, შევარდნაძის მიერ ვეტოს დადებიდან, ზვიად გამსახურდიას წარგზავნილ დოკუმენტაციაზე, რომელსაც სახელმწიფოთა ორი ასეული წარმომადგენლობა უჭერდა მხარს გაეროს ასამბლეაზე.

ასე ჩაენაცვლა ზვიად გამსახურდიას ეროვნულ სახელმწიფო იდეოლოგიას სოროსის ფილოსოფიურ-ავანტიურისტული „სამოქალაქო საზოგადოების“ თეორია, ანუ საქართველოს, როგორც ერის სახელმწიფოებრივი თვითლიკვიდაციის კონსტიტუციური იდეოლოგია. ცხადია, მასონურ-სიონისტური მოძრაობის ერთერთ პატრიარქად აღიარებული ბატონი ედუარდ შევარდნაძე ამით არ დაკმაყოფილებულა, როგორც მსოფლიოს ახალი წესრიგის სრულყოფილი და ჭეშმარიტი წარმომადგენელი, როგორც მსოფლიოს ახალი წესრიგის ერთერთი არქიტექტორი. ერების მოსპობა, როგორც განვითარება ერის ფენომენისა, მსოფლიოს ახალი წესრიგით, არ არის საკმარისი სიონისტური მოძრაობის მიზანდასახულების სრულყოფილი აღსრულებისათვის, ანუ მსოფლიოს ხალხებისა და მათი ქვეყნების დაპყრობისა და პლანეტარული სიონისტური მმართველობისათვის: მსოფლიოს სიონისტური მმართველობა შეუძლებელია , თუ მსოფლიოს მოსახლეობა რიცხობრივად არ იქნა დაყვანილი ისეთ დონეზე, რომლის მმართველობასაც ფიზიკურად შესძლებს სულ რამოდენიმე მილიონიანი ებრაელი ერი- რჩეული ერი. გაეროს მონაცემებით კი 2050 წლისათვის სავარაუდოდ 9 მილიარდამდე შეიძლება ავიდეს კაცობრიობა, რაც შეუძლებელს გახდის ებრაელთა ღმერთის კურთხევის აღსრულებას: ებრაელთა მიერ მსოფლიო ხალხების და მათი ქვეყნების დაპყრობასა და ერთიან სიონისტურ მსოფლიო მმართველობას. ამიტომ კაცობრიობა უნდა დაყვანილ იქნას იმ რიცხობრივ დონეზე, რომელიც სჭირდება ებრაულ-სიონისტურ მსოფლიო მმართველობას. ამას ემსახურება ე. წ. მესამე მსოფლიო ომი, ანუ კორონავირუსული მსოფლიო პანდემია.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# არაჩვეულებრივი ჩვეულებრივი თარიღები



საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის
საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორი

ლევან თაქთაქიშვილი

## *ჩვეულებრივი ადამიანისთვის თარიღებია მნიშვნელოვანი, მეცნიერთათვის კი – მოვლენები*



27 ოქტომბერს, ილია ჭავჭავაძის დაბადების დღეს აღნიშნავენ.

დღემდე თვლიან, რომ 1917 წლამდე დაბადებულ პირთა დაბადების დღე უნდა ახალ სტილში გადაიყვანონ და ახალი სტილით აღნიშნონ, რაც ჩემი აზრით არ არის სწორი. დაბადების დღე მაინც ძველი სტილით უნდა აღინიშნოს. აქამდე ეს პრობლემა არაერთხელ დაუყენებიათ ჩვენს მკვლევარებს, მაგრამ ამაოდ.

1990 წლამდე საბჭოთა სტანდარტით ხდებოდა ყველაფერი და ვერ შეცვლიდით, მაგრამ დამოუკიდებელ ქვეყანას აქვს უფლება, საკუთარი გადაწყვეტილება მიიღოს.

თუმცა ილიას დაბადების თარიღში საქმე უფრო მძიმედაა. დაბადების წელი 1837 და დაბადების დღე 27 ოქტომბერი (8 ნოემბერი) ილიას დაბადების დროის აღსანიშნავად ვერ გაერთიანდება!!!

მახსოვს, 1984 წელს გამომცემლობა ნაკადულმა სერიით „გამოჩენილ ადამიანთა ცხოვრება“ გამოსცა აკაკი ბაქრაძის „ილია ჭავჭავაძე".

დასაწყისშივე საფიქრალი გაგიჩნდებათ:

წიგნის დასაწყისში ვკითხულობთ: 1837 წლის „20 იანვარს პორუჩიკ თავად გრიგოლ პაატას ძე ჭავჭავაძეს და მის რჯულიერ თანამეცხედრეს მაგდალინა ქრისტეფორეს ასულს დაებადათ ვაჟი – ილია. დალოცა და მონათლა იგი ამავე თვის 26–ს მღვდელმა დანიელ ზურიაშვილმა. მიმრქმელი იყო ცოლი განსვენებული თავადის გიორგი ერისთავისა, ნინო მალხაზის ასული. ყვარელი. იოანე ნათლიმცემლის ეკლესია. მეტრიკული წიგნი. 1837 წლის ჩანაწერი №2.

აქვე აკაკი ბაქრაძე აგრძელებს: „თვითონ ილია კი წერდა: „დავიბადე 27 ოქტომბერს 1837 წელს ყვარელშიო“ ორ განსხვავავებულ თარიღს – 20 იანვარსა და 27 ოქტომბერს, – თავის დროზე, პატარა პაექრობაც გამოუწვევია, მაგრამ ბოლოს მოკამათენი შეკამათებულან და ილიას დაბადების დღედ 27 ოქტომბერი მიუჩნევიათ“. საოცარიც ესაა, რომ ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღად დღესაც 1837 წლის 27 ოქტომბერია მიჩნეული, მაშინ როცა ილია მეტრიკულ წიგნში იმავე წლის იანვარში არის რეგისტრირებული.

მოვიძიე, თუ ვის შორის და როდის იყო ეს პაექრობა ილია ჭავჭავაძის დაბადების თარიღთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ ამ საკითხით დაინტერესდნენ მხოლოდ მაშინ, როცა მიხეილ გედევანიშვილმა გადაწყვიტა ილიას თხზულებათა აკადემიური გამოცემის დაბეჭდვა. ეს იყო 1912 წელს. წიგნის საგამომცემლო კომისიას მეტრიკული ამონაწერის გამონახვა და შემოწმება მიუნდვია ორი კაცისათვის: ილიას ყვარლის მამულის მოურავის მოსე ცქიტიშვილისა და მწერალ დავით ნახუცრიშვილისათვის. მოსე ცქიტიშვილმა სარედაქციო მდივანს – იოსებ გედევანიშვილს მეტრიკული ამონაწერი გაუგზავნა ყვარლიდან, ხოლო დავით ნახუცრიშვილმა იგივე ცნობა სინოდალურ კანტორაში ნაპოვნი ილიას მშობლების გარდაცვალების ცნობასთან ერთად გაუგზავნა თხზულებათა სარედაქციო კომისიას 1912 წლის 29 მაისს. რამდენიმე თვეში დ. ნახუცრიშვილმა გაზეთ „თემში“ ილია ჭავჭავაძის დაბადების ცნობა დაბეჭდა (გაზ. თემი.1912 წ., №78) სათაურით: ილია ჭავჭავაძის დაბადების დრო. იგი წერდა: „აქედან ნათლად ჩანს, რომ ნამდვილ დაბადების დღედ უნდა დაიდოს 20 იანვარი 1837 წლისა. მართალია, ხშირად მოხდება ხოლმე, ჩვენი მღვდლები ბავშვის დაბადების დღედ შეცდომით სწერენ და იანვრის მაგიერ აპრილს, ან მაისს ჩასწერენ , მაგრამ აქ ასეთი შეცდომა მგონია, არ უნდა მომხდარიყოს, რადგანაც ათი თვით ადრეა ჩაწერილი და არა დაგვიანებული, მაშინ შეიძლებოდა შეცდომად მიგვეღო ასეთი ცნობა, რომ იანვარში დაბადებული ოქტომბერში ჩაეწერა. აქ კი ისე გამოდის, თუ შეცდომად მივიღებთ ამ ცნობას, რომ ბავშვი ჯერ არ დაბადებულიყო და მღვდელს კი მოუნათლავს და დაუწერია კიდეც წიგნში. რასაკვირველია, ასეთი მოვლენა შეუძლებელია.“

ყოველივე ზემოთმოცემული ინფორმაციიდან ერთი დასკვნის გამოტანა შეიძლება: 1837 წლის 27 ოქტომბერი არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ილიას დაბადების თარიღი, მიუხედავად იმისა, რომ ამ თარიღს 1902 წელს ილია ავტობიოგრაფიაში წერს ისეთი პოპულარული ენციკლოპედიისათვის, როგორიცაა „ბროკჰაუზ–ეფრონის“ ენციკლოპედიური ლექსიკონი, რადგან იგი უკვე ამავე წლის იანვარში იყო რეგისტრირებული. მისი ცხოვრების პერიოდში ილიას თავისი დაბადების თარიღი არაერთხელ მიუთითებია და სულ შეცდომით: 1869 წელს ილიას თავის დაბადების წელთან დაკავშირებით დაუშვია შეცდომა – ფორმულარული ნამსახურობითი სიის მიხედვით 1869 წლის 10 სექტემბერს თავის წლოვანებად 30 წელი მიუთითებია (იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ.1. თბ. 1935 წ. გვ.570.) ამ შემთხვევაში პოეტის დაბადების წელი 1839 გამოდის. 1906 წლის 26 მაისს კი „ბროჰგაუზ–ეფრონის“ ენციკლოპედიისათვის ავტობიოგრაფიის დაწერიდან 4 წლის შემდეგ რუსულ ენაზე დაწერილ ავტობიოგრაფიაში, რომელიც სახელმწიფო საბჭოს წევრად არჩევის შემდეგ სახელმწიფო საბჭოს კანცელარიას წარუდგინა, თანახმად მათი თხოვნისა, აცნობა, რომ დაბადებულია 1838 წლის 27 ოქტომბერს. ეს დოკუმენტი სანკტ–პეტერბურგში რუსეთის სახელმწიფო არქივში ინახება (ცსსა. ფონდი 1162, აღწერა 6, საქმე №836, ფ.1). ილია თავის დაბადების თარიღად სხვადასხვა დროს სამ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას აწვდის, თან სამივე ინფორმაციას (1837 წლის 27 ოქტომბერი, 1838 წლის 27 ოქტომბერი, 1839 წელი) ეწინააღმდეგება მეტრიკული წიგნის მონაცემი. ერთი კი აღსანიშნავია, ილია დაბადების თვესა და რიცხვს 27 ოქტომბერს აღნიშნავს ყველგან.

გიორგი ლეონიძე 1935 წელს წერდა: „საყურადღებოა მცირე მოგონებანი ილია ჭავჭავაძის დის ელისაბედ საგინაშვილისა, რომელიც რამდენიმე წლის წინათ გარდაიცვალა. როგორც მასალებიდან ირკვევა, სადავოდ ჩასათვლელია ილიას დაბადების თარიღი.

თვით ილიას მიერ გაცხადებულ და მაშასადამე ოფიციალურ თარიღად დღემდე მიღებულია 1837 წ. 27 ოქტომბერი მაშინ, როცა ყვარელის ივანე ნათლისმცემლის მეტრიკული ამონაწერიდან ილიას დაბადება 1837 წ. 20 იანვარს მიეკუთვნება. გრ. ყიფშიძე – ილიას ბიოგრაფი, გამოუკვლევად ემხრობა პირველ თარიღს მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ გარდა ილია ჭავჭავაძისა, მის დასაც ასე ხსომებია, ერთ ძველებურ სახარებაზე იყო ასე ილიას დაბადების დრო აღნიშნულიო. ყოველ შემთხვევაში, ილია ათი თვით ადრეა ჩაწერილი მეტრიკულ წიგნში და ეს გარემოება თითქოს უნდა აბათილებდეს დღემდე მიღებულს ოფიციალურ თარიღს პოეტის დაბადებისას – 27 ოქტომბერს. ამიერიდან საკითხი უნდა შესწავლილ იქნეს და გამორკვეული.“(იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ.1. თბ. 1935 წ. გვ.548).

ვნახოთ ელისაბედ საგინაშვილის მოგონება: „...ტყუილია, ვითომ განსვენებული ჩემი ძმა დაბადებულიყვეს იანვარში. მე კარგად მახსოვს, ჩვენს ოჯახში იყო სახარება, რომელშიაც მამაჩემისაგან საკუთარის ხელით იყო აღნიშნული ყველა მისი შვილის დაბადების დღე. კარგად მახსოვს, ჩემი ძმის შესახებ ეწერა, რომ დაიბადა 27 ოქტომბერსაო“ (იხ. ლიტერატურული მემკვიდრეობა, ტ.1. თბ.1935 წ. გვ. 556). მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ილიას და ელისაბედ საგინაშვილი არ ამბობს, რომ სახარებაზე ეწერა 1837 წლის 27 ოქტომბერი, იგი ამბობს და წინააღმდეგია ილიას დაბადების დღედ 20 იანვრის გამოცხადებისა, როგორც მეტრიკულ წიგნში წერია, არც იმას ამტკიცებს, რომ 1837 წელს არის ილია დაბადებულიო. მეტრიკული წიგნის მონაცემი გამორიცხავს მხოლოდ იმ თარიღებს, რომლებიც მასში გატარების თარიღის შემდგომია და არა იქამდე.
საქმე იმაშია, რომ მეტრიკულ წიგნში ბავშვებს დაბადებიდანვე არ ატარებდნენ, გატარება ხშირად მონათვლის წინ ხდებოდა. ასეთი შემთხვევები თითქმის ყველა ბავშვზე ვრცელდებოდა, ასე აღმოჩნდა სტალინიც, რომლის დაბადების წელი აღმოჩნდა არა 1879, არამედ 1878 წელი. ასეთივე შემთხვევა მოხდა პაპაჩემზე, ნაცვლად 1898 წლისა, 1899 წელს გაატარეს მეტრიკულ წიგნში.

ამ ლოგიკით ილია ჭავჭავაძის დაბადების წელი შეიძლება იყოს 1835, ან 1836 წელი, მაგრამ არა 1834 , რადგან ამ წელს ილიას და დაიბადა და ის მისი ტყუპის ცალი არ იყო, იგი მასზე უფროსი იყო.

ჩვენი ვარაუდები ვარაუდებად დარჩებოდა რომ არა ერთი ფაქტი:

1897 წელს ქართულმა მაშინდელმა საზოგადოებამ გადაწყვიტა ილია ჭავჭავაძის საზოგადოებრივი მოღვაწეობის 40 წლისთავის აღნიშვნა, შექმნა კომიტეტი, რომელმაც გამოაცხადა კონკურსი პოეტის შესახებ დაწერილ ბიოგრაფიულ–კრიტიკულ ნაშრომზე და დანიშნა პრემია. ნაშრომი შეზღუდული იყო მოცულობით, ხოლო მისი ავტორი – დროით.

1898 წლის ივნისში გამოვიდა მიხეილ ნასიძის ავტორობით დაბეჭდილი საიუბილეო ბროშურა „თ. ილია ჭავჭავაძე. ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდი“.

ავტორი თავისი მოკრძალებული ბუნების გამო „მე გახლავარ“– ის ფსევდონიმით შეიმოსა. სწორედ ამ ბროშურაში ავტორი – მიხეილ ნასიძე თეთრზე შავით წერს, რომ ილია ჭავჭავაძე დაიბადა 1836 წლის 27 ოქტომბერს. მკითხველი იკითხავს, ხომ არ შეიძლება, რომ ეს კორექტურული შეცდომა იყოს? არა, ბატონებო და რატომ:

ეს რომ ჩვენს თავში ჩამჯდარი 1837 წელი ყოფილიყო, მაშინ ეს იუბილე და ეს წიგნიც მიეძღვნებოდა ილიას როგორც მოღვაწეობის 40 წლისთავს, ასევე, დაბადების 60 წლისთავს. არადა, ყდაზე წერია მხოლოდ მოღვაწეობის 40 წლისთავისადმი მიძღვნა.

საიუბილეო გამოცემაში უყურადღებობა ნაკლებად დასაშვებია და თან ქართველთა შორის წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ბიბლიოთეკისადმი ავტორის მიერ მიძღვნილ ცალში ავტორს შეცდომა სავარაუდოდ უნდა გაესწორებინა, როგორც მაშინდელი ავტორები აკეთებდნენ კიდეც. სხვათა შორის, აღნიშნული გამოცემა ილია ჭავჭავაძის პირად ბიბლიოთეკაშიც არის დაცული. მაგრამ ისმის კითხვა: სად იყო ამ წიგნის ავტორი, როდესაც 1912 წელს ილიას დაბადების თარიღს იხილავდნენ? ნუთუ მიხეილ ნასიძისათვის აღარ იყო საინტერესო ეს საკითხი? აღმოჩნდა, რომ იგი ამ დროს ბაქოში ცხოვრობდა და იგი ბაქოში 1906 წლიდან იყო გადასული, მას საქართველოში ცხოვრება მეფის მთავრობამ აუკრძალა. საქართველოში მ. ნასიძე მხოლოდ 1917 წელს

დაბრუნდა და სიღნაღში დასახლდა. იქაც დაარბიეს შემდგომ, დაუწვეს მდიდარი ბიბლიოთეკა, სცემეს, რის გამოც ყველაფრის ინტერესი დაკარგა და ლოგინად ჩავარდა. გარდაიცვალა 1935 წლის 5 აპრილს, იმ წელს, როდესაც გიორგი ლეონიძემ გამოაქვეყნა ილიას დაბადების წლის პრობლემაზე წერილი.

რა პარადოქსულია, რომ საქართველოს ყველაზე სათაყვანებელი შვილის – ილია ჭავჭავაძის სიცოცხლის დასაწყისი და დასასრულიც საიდუმლოებით იყო მოსილი. იყო, რადგან ვთვლი, რომ ამ წერილით ერთი საიდუმლო – მისი დაბადების თარიღი გაცხადდა, მეორეს კი, ალბათ, ვერასოდეს გავიგებთ ბოლომდე რადგან ზემოთ განხილულ თითქმის უმარტივეს საიდუმლოს გახსნას 110 წელი მოვანდომეთ.

ისიც ვიცი და შეგუებული ვარ, რომ პოეტის დაბადების თარიღად 1837 წლის მითითება, სამწუხაროდ, კვლავ გაგრძელდება. არადა ილიას ამა სოფელში ნაცხოვრები დრო ერთი წლით გაიზარდა. მართალი აღმოჩნდა ექიმი იაშვილი, რომელმაც გაკვეთა ილია 1907 წელს, როცა თქვა, რომ „ის ხომ 70 წლის იყოო“. მართლა სამოცდამეთერთმეტე წელი იყო მისი ცხოვრებისა. 1906 წელი ილიასათვის, წესით, საიუბილეო უნდა ყოფილიყო, რეალურად კი იგი ყველაფრისგან მოკვეთილი იყო, იმდენად დათრგუნული, რომ საგურამოში აივანზე გასვლას ერიდებოდა, რომ არ ესროლათ“.

რა ვქნა? რაში ვარ მტყუანი? ერთი კი ვიცი, დაბადების დღის ახალ სტილში გადაყვანის პროცესი 80 წლის შემდეგ კურიოზული გახდება. 2101 წელს კიდევ ერთი დღით გადაიწევს. მაშინ გამოვა, რომ 9 ნოემბერს უნდა იზეიმონ. ღლოლო შენ. აი დაბადების წლის 1837-ის 1836-ით შეცვლა არასოდეს მოხდება. ამის შესაცვლელად ახალი გადაწყვეტილების მიღებაა საჭირო, შეცვლიან?



## სახლი, სადაც ილიას სული ახლაც იგრძნობა

*და, შეიძლება დიდი ხნის გარდაცვლილი იყო, მაგრამ*
*ეს ვერ იგრძნო ვინაიდან არ გიცხოვრია;*
*შენ შეიძლება დაიბადე, მაგრამ ვერც იგრძნო ეს, რამეთუ*
*დაბადებისთანავე ვირტუალური რეალობის ნაწილი ხდები.*

*თბილისი, 2021 წელი, ვაჟა კაკაბაძე*



ეკონომიკის მეცნიერებათა
დოქტორი,
ინჟინერ-გეოლოგი,
საქართველოს საინჟინრო
აკადემიის წევრ-კორესპოდენტი,
პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე

## ვაჟა კაკაბაძე

# მსოფლიოს კორპორაციული მართვა – ერის ინდენტურობის გაქრობის საშიშროება

ადამიანს, ის რაც გუშინ არარეალურად მიაჩნდა, დღეს აღარ გაუკვირდება ის გარემოებაც კი, რომ შეიძლება აღმოჩნდეს სხვა უფრო განვითარებული სამყაროს წარმომადგენლების თანამაცხოვრებელი, ან სხვა ტექნოლოგიურად უფრო განვითარებული გენოგონის პროექციას, ან თვითონ შექმნას თავისი პროექცია მარსსზე.

ნანოტექნოლოგიების განვითარების შედეგად ადამიანი უნებლიეთ გახდა ხელოვნური ინტელექტის ტყვე, იმავე გამოგონების, რომელიც თვითონ შექმნა და რომელსაც ნებით თუ უნებლიეთ გადასცა თავისი უნარები რის გამოც განიცადა ანტიპიროვნული ტრანსფორმაცია და გახდა მანქანებზე დამოკიდებული ბიოლოგიური რობოტი, რომელიც ალგორითმის პრინციპზე მოქმედებს. ამ ტრანსფორმაციით ისარგებლეს შეძლებული ფენის ადამიანთა ჯგუფმა და თავის კონტროლის ქვეშ მოაქციეს რა საინფორმაციო სივრცე ადამიანები კიდევ უფრო მიაჯაჭვეს მანქანებს, ამასთან აქტიურად დაიწყეს ინტელექტის იერარქიული სქემის პრინციპზე აგებული კორპორაციული მართვის ქსელური სისტემის შემუშავება. დადგება დრო როცა ადამიანისათვის მნიშვნელობა ექნება იმას თუ რომელი კორპორაციის მართვის სისტემის წევრია, რამეთუ ამით განისაზღვრება მისი კეთილდღეობა ანუ სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის ხარისხი, განათლების დონის მიღების შესაძლებლობა, გართობის ხელმისაწვდომობა და, ასე შემდეგ.

მსოფლიოს კორპორაციული მართვის ჩანასახის პირველი მაგალითია საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები, ხოლო მართვის სქემის მარტივი ფორმაა კომპიუტერის სოციალური ქსელზე დამოკიდებულების ხარისხის ზრდა. მომავალში მწვავე კონკურენციის თავიდან აცილების მიზნით დაახლოებით ასი კორპორაცია იარსებებს, რომლებიც შექმნიან გეოგრაფიული ადგილმდებარეობის და ეკონომიკის საზღვრებგარეშე ვირტუალურ სახელმწიფოებს კორპორაციული მართვის სისტემით, გადარჩებიან მხოლოდ ის სახელმწიფოები ვინც შეინარჩუნებენ ეროვნულ თვითმყოფადობას და კულტურას, ამდენად ამ ეროვნულ სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი ხდება ის გარემოება, თუ როგორ დაიცავს თავს გარედან თავს მოხვეული და ყალბი ტოლერანტული იდეოლოგიის პროპაგანდისაგან, რომელიც მათი არსებობის აუცილებლობის ხარისხს ამცირებს, ეს საშიშროებაა: მოცემული სახელმწიფოს მკვიდრი მოსახლეობის რაოდენობრივი ზრდის შემცირება, რომელიც შესაძლებელია განხორციელდეს არასწორი სექსუალური ცხოვრების პროპაგანდის, სხვადასხვა დაავადების, გენოფიცირებული პროდუქციის გავრცელების გზით და ასე შემდეგ.

კორპორაციული მართვის სისტემაში ანონიმურობა დაცული იქნება იერარქიული დონეების შესაბამისად. კორპორაციული მართვის დროს საჭირო აღარ იქნება ქაღალდებზე დოკუმენტების შექმნა, გაქრება ბიუროკრატიული მართვის ფორმა; აღარ იარსებებს სამუშაოს მართვის ისეთი ფორმები როგორიცაა სამუშაოს დაწყების და დასრულების დრო; არ იარსებებს პროფკავშირები; გაქრება სახელმწიფო მართვის მექანიზმები და, უკეთეს შემთხვევაში სახელმწიფო, შეასრულებს მაკონტროლებელ ფუნქციას; ყველა დონის და მიმართულების სასამართლო პროცესები ჩატარდება ონლაინ რეჟიმში; ციხის (სასჯელი) ფუნქცია შემოიფარგლება იმით, რომ დამნაშავეს გაეთიშება ყველა საინფორმაციო წყარო, რაც მის სისტემიდან განდევნას, ანუ სრულ იგნორირებას და, შესაბამისად, დაღუპვას მოასწავებს.

მართვის ეს ფორმა აგებული იქნება მოცემული კორპორაციის სამართლებრივ ფორმაზე, რომლებიც განსაზღვრავენ, კორპორაციის და მისი წევრების უფლებებს, წევრის კორპორაციიდან გასვლის და სხვა კორპორაციაში გადასვლის რისკებს და სანქციებს (Blair, M, 1995, Ownership and Control: Rethinking Corporate Governance for the Twenty–first Century, Washington, D.C. The Brookings Institution.), ანუ ყველა კორპორაციას ექნება დამოუკიდებელი მართვის სისტემა და ერთმანეთთან ურთიერთობას განახორციელებენ ხელშეკრულების საფუძველზე (Sir Adrian Cadbury, 1992, The Committee on the Financial Aspects of Corporate Governance; Sir Adrian Cadbury, 1992, Commission report: C.G, UK).

*ამჟამად მოქმედებს*: ევროკავშირის ფარგლებში ადგილობრივი მთავრობის ინიციატივით შეიქმნა პირველი კორპორაციული კოდექსი კერძო პირებისა და საჯარო ორგანოების თანამშრომლობის შედეგად. დროთა განმავლობაში, ამ კოდექსში, სახელმწიფო ინიციატივა შემცირდა და კორპორაციული მართვის მთავარი მამოძრავებელი ძალა გახდა კერძო სექტორი, განსაკუთრებით დიდი როლი მიენიჭა საფონდო ბირჟებს. (RiskMetrics Group, BUSINESSEUROPE, ecoDa, Landwell and Associes, 2009, Study on Monitoring and Enforcement Practices in Corporate Governance in the Member States).

მოქმედი კორპორაციული მართვის კოდექსი მოიცავს ისეთ საკითხებს როგორებიცაა: სამართლიანობა, ანგარიშვალდებულება, პასუხისმგებლობა და კორპორაციის ფარგლებში სრული გამჭვირვალობა. აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებითა და არსებულ სამართლებრივ, მარეგულირებელ მოთხოვნებსა და საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD) თავი მოუყარა კორპორაციული მართვის ძირითად პრინციპებს. ეთგო–ს კორპორაციული მართვის პრინციპებს, რომლებზეც აგებულია თანამედროვე (2021წ.) მსოფლიოში გავრცელებული კორპორაციული მართვის კოდექსების უმეტესობა, მოიცავს:

1. ეფექტური კორპორაციული მართვის საფუძვლები, რომელთა თანახმადაც, კორპორაციული მართვის ჩარჩო უნდა შეესაბამებოდეს მოცემული ქვეყნის კანონს და უზრუნველყოს გამჭვირვალობა, სამართლიანობა, რესურსების ეფექტური განაწილება, ეფექტური ზედამხედველობა და აღსრულება;

2. აქციონერთა უფლებები და სამართლიანი მოპყრობა, რომელთა თანახმადაც, კორპორაციული მართვის ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს აქციონერთა, მათ შორის უმცირესობაში მყოფი და უცხოელი აქციონერების, უფლებების დაცვა და მათ მიმართ სამართლიანი მოპყრობა;

3. დაინტერესებული მხარეების როლი, რომლის თანახმადაც, კორპორაციული მართვის ჩარჩომ უნდა დაიცვას დაინტერესებულ მხარეთა კანონით ან კონკრეტული ხელშეკრულებების საფუძველზე მინიჭებული უფლებები და ხელი შეუწყოს კორპორაციებსა და დაინტერესებულ მხარეებს შორის აქტიურ თანამშრომლობას სამუშაო ადგილების, თანამშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებასა და საწარმოების ფინანსური სტაბილურობის შექმნაში;

4. ინფორმაციის გამჟღავნება და გამჭვირვალობა, რომლის თანახმადაც, კორპორაციული მართვის ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს საწარმოში ინფორმაციის დროული და ზუსტი გამჟღავნება ყველა მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით, როგორებიცაა ფინანსური მდგომარეობა, საქმიანობა, საკუთრება და საწარმოს მართვის პრინციპები;

5. სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა, რომლის თანახმადაც, კორპორაციული მართვის ჩარჩომ უნდა უზრუნველყოს მასში შემავალი საწარმოს სტრატეგიული მართვა, სამეთვალყურეო საბჭოს მხრიდან ეფექტური მონიტორინგის განხორციელება და სამეთვალყურეო საბჭოს ანგარიშვალდებულება კომპანიისა და აქციონერების მიმართ;

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ქვეყნის კორპორაციული მართვის კოდექსი ეფუძნება არა მხოლოდ ეთგო-ს პრინციპებს, არამედ ევროკავშირის რეკომენდაციებსაც. შესაბამისად, ქვეყნების მიდგომა არსებულ კოდექსში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით განსხვავდება.

ზემოთჩამოთვლილი მოთხოვნები სრულ საფუძველს ქმნიან, რომ ცალკეული სახელმწიფოების მინისტრები აღარ იარსებებენ, მათ ფუნქციას, მსოფლიო კორპორაციულ მართვაში ჩართული ინფორმაციული ნაკადების მართვის მენეჯერები შეასრულებენ. ადამიანის გარშემო შეიქმნება სხვადასხვა ინფორმაციული სიბრტყეები და ადამიანები მოექცევიან ამ ინფორმაციული სიბრტყეების არეალში. ამ სისტემაში თითოეულ ადამიანზე იარსებებს სრული ინფორმაცია და სისტემას ეცოდინება თუ როდის იძინებს ის; როდის მოხდა ნაყოფის ჩასახვა; რა სურს შეიძინოს და, ყოველივე ამას, ადამიანი შეძლებს მოცემული კორპორაციის ფარგლებში და რაც უფრო ძლიერი კორპორაციის წევრია მით მეტად უზრუნველყოფილია იგი, მაგალითად: მას შეეძლება იხილოს თუ როგორ ქმნის მუსიკას ბეთხოვენი, ან რაფაელთან ერთად მიიღოს მონაწილეობა კედლების მოხატვაში; შეეძლება მონაწილეობა მიიღოს ფილმის გადაღებაში; მიიღოს მონაწილეობა ოლიმპიურ შეჯიბრებაში და ეს მიუხედავად იმისა, რომ ის ლოგინზეა მიჯაჭვული უკურნებელი სენით; სათანადო პროგრამის შეძენის შემთხვევაში შეეძლება გახდეს მსოფლიო ჩემპიონი ძიუდოში; გახდეს ყველა ქალის სათაყვანებელი გმირი და მათთან დაამყაროს სექსუალური კავშირი, ვინაიდან ბიოლოგიური სხეული ხდება არა ადამიანის გონების, არამედ ვირტუალური სინამდვილის მორჩილი.

კიბერნეტიკული სისტემის გამოყენების საფუძველზე შეიქმნება ახალი სახეობის სპორტული თამაშები; მუსიკალური კონცერტები; სხვადასხვა სახეობის ონლაინ სწავლება, ანუ ადამიანს სახლიდან გაუსვლელად შეეძლება მიიღოს განათლება ნებისმიერ სკოლაში და უნივერსიტეტში და კორპორაციის დაინტერესების შემთხვევაში ცოდნას მიიღებს ტვინში პროგრამული ინფორმაციის ჩატვირთვის საფუძველზე; ტვინის ნეირონებთან შესაძლებელი გახდება კავშირის დამყარება და ადამიანს აღარ დასჭირდება კომპიუტერის კლავიატურაზე თავისი მოსაზრებების აკრეფა, საკმარისი იქნება მხოლოდ თავზე მიიმაგროს ნეორონების რხევების წამკითხავი მინი ფონენდოსკოპი და კომპიუტერის ეკრანზე ამოიბეჭდება მისი აზრი, რომელსაც სადაც სურს იქ გაგზავნის, მეცნიერს შეეძლება ონლაინ სისტემაში მიიღოს მონაწილეობა კონფერენციებში და ჩაატაროს გამოკვლევები, შეეძლება დაბადების დღეზე ეწვიოს მეგობარს და ამასთან ისვენებდეს ზღვაზე ანუ იქმნება ახალი სამყარო სადაც “ღმერთის” როლს შეასრულებს ის ვინც წერს კოდს და ქმნის ალგორითმს.

ქალაქები ჩაეტევა ერთ პატარა სფეროს მსგავს ნივთში, ამასთან ამ ქალაქში ადამიანს ექნება დიდი ფართობის ბინა და ეს ვირტუალური რეალობა ბევრად მისაღები გახდება მისთვის და მნიშვნელოვნად უფრო იაფი.

ახალი ტექნოლოგიების დახმარებით ადამიანს შეეძლება სივრცეში გადაადგილება ისე, რომ ამასთან იმყოფებოდეს გეოგრაფიულად სხვა წერტილში. მაშასადამე მომავალი სამყარო ეს იქნება სამყარო გეოგრაფიისაა და სახელმწიფოების გარეშე, სადაც არ იარსებებს ეროვნულობა და კაცობრიობა კორპორაციული საზოგადოებისაგან იქნება შემდგარი, ამ სამყაროში ევოლუცია მათემატიკური, სოციალური და ბიოგამოყენების გათვლებზე იქნება დამყარებული, ხოლო ყოველივე ამის შესაქმნელად საჭირო იქნება ელექტრომაგნიტური ენერგია, რომლის შესაქმნელად საჭირო იქნება წყლის, მზის, წყალბადის და ნახშირბადის გადამუშავება. ნანოტექნოლოგიების განვითარების საფუძველზე შესაძლებელი გახდება გრავიტაციული ძალის დაძლევა. ადამიანი გახდება ბიოენერგიის შთანთქმელი და გამცემი ბიორობოტი, რომლის გამოკვება მოხდება ბიოენერგიის შემცველი აბებით და ამის აუცილებლობა გამოწვეული იქნება სურსათის დეფიციტის შექმნის გამო. შეიქმნება სხვადასხვა გენომოდიფიცირებული საკვები პროდუქტები. ბიოქიმიის სწრაფი განვითარება საშუალებას შექმნის ისეთი მყარი დისკების შექმნის, რომელშიდაც ჩატვირთული იქნება სხვადასხვა სახეობის პროდუქტების ენერგია და მასთან შეხებით შესაძლებელი იქნება ამ ენერგიით დამუხტვა; საჭირო აღარ იქნება ფერმების გაშენება, ბოსტნეულის მოყვანა, ხეხილის დარგვა და ასე შემდეგ, ყოველივე ეს შეამცირებს დაავადებას. ტრანსპათოლოგიის და მედიცინის სხვადასხვა დარგის სწრაფი განვითარება ფაქტიურად უგულვებელყოფს ყველა გენეტიკურ დაავადებას, ხოლო შეძენილი დაავადება საერთოდ არ იარსებებს. ახალგაზრდა ადამიანის სპერმა გახდება ხანში შესული ადამიანების გაახალგაზრდავების წყარო, დაბერებული ორგანიზმების შეცვლა მოხდება პაციენტის გენური ქსოვილიდან გაზრდილი ახალი ორგანიზმებით, სიცოცხლე თითქმის უსასრულო იქნება და ადამიანმა შესაძლოა ვერც იგრძნოს მისი დაწყება და დასასრული, მაგრამ ამისათვის ჯერ საჭირო იქნება ადამიანების რიცხოვნების ოპტიმალურ დონემდე დაყვანა, მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ეს? ამ კითხვას კითხვითვე ვპასუხობ: ვირუსის გავრცელებით? სექსუალური ორიენტაციის შეცვლით? ადამიანისათვის საშიში ელექტრომაგნიტური ტალღების და მავნე გენომოდიფიცირებული საკვების გავრცელებით?

ახალი ტექნოლოგიების საფუძველზე შესაძლებელი იქნება სივრცეში გადაადგილება დროის მცირე მონაკვეთში, დრო გახდება ღირებულების საზომი, ანუ ფული, რომლის მსყიდველობითი უნარიანობა განისაზღვრება პროდუქციის შექმნის, ასევე ინფორმაციების მიღების რაოდენობასა და რეალიზაციის ჯამის შეფარდებით დახარჯულ სავაჭრო ოპერაციასთან, შეიქმნება ერთიანი ვალუტა. ფიზიკურ შრომას შეასრულებენ და, შესაძლოა არაინტელექტუალური გადაწყვეტილება (სტატისტუკური მონაცემების საფუძველზე) მიიღონ გონიერმა რობოტებმა, მაგრამ არის საშიშროება, თუ ქსელური ცნობიერების მქონე რობოტებში რაიმე დაირღვეა, ან გააცნობიერეს საკუთარი მე, დაუპირისპირდნენ ადამიანებს.

სამყაროში შეიქმნება გიგანტური ბაბილონი, რომელიც ერთ დღეს შთანთქავს საკუთარ თავს და გადარჩებიან ისინი ვინც შეინარჩუნა ეროვნული შეგნება, კულტურა, ტრადიციები და რელიგია.

# ფულის საზოგადოება

ფულის ბევრი ირონიული განმარტება არსებობს, მაგალითად: „ფული ჯოჯოხეთს ანათებს“, „ხელის ჭუჭყი“, „ტვინის ჭია“; მაგრამ, რაც არ უნდა ვთქვათ მის გარეშე საზოგადოების ფუნქციონირება შეუძლებელია. რისთვის სჭირდება ადამიანს ფული? პირველი – არსებობისათვის შეიძინოს სურსათი, სახლი, დაიკმაყოფილოს სულიერი მოთხოვნილება, შეიძინოს ცოდნა, გაზარდოს ბავშვები, დაეხმაროს სხვას, მაგრამ, როცა იმაზე მეტი ფული უგროვდება, რაც მის აზროვნებათა საჭიროებას ცილდება, ის იწყებს ფიქრს, თუ რითი იყოს სხვისგან გამორჩეული და სწორედ ამ დროს ჩნდება არაფრისთვის „საჭირო“ ნივთები; სწორედ ამ დროს, განსხვავებულობის ძიებაში, იწყება აზროვნების გამრუდება, რომელიც აისახება ხელოვნებაში, ადამიანის ქცევაში, სექსუალურ ცხოვრებაში და ასე შემდეგ. და, ამ უკანასკნელ გარემოებიდან გამომდინარე ჩნდება კითხვა: ამ დროს არის თუ არა ადამიანი ბედნიერი? ოცდამეერთე საუკუნის საზოგადოება გადაჭრით იტყვის – არის. და, ამ თავის კატეგორიულ „არის“, დაამატებს: ცხოვრებას რეალურად შეხედე და აღიარე, რომ „ხელის ჭუჭყის“ გარშემო ტრიალებს მთელი საზოგადოება. უნდა დავეთანხმო? რას იტყვით მკითხველო? ჩემი პასუხი ასეთია: ფული საჭიროა და ფული ადამიანურ ურთიერთობაზე მოქმედებს, ამ გავლენას ვერ ვუარყოფთ და, გეთანხმებით იმაშიც, რომ ეს ასე არ უნდა იყოს, რამეთუ ადამიანური გრძნობები ყველაფერზე მაღლა უნდა იდგას, თორემ ჩამოყალიბდება ფულის საზოგადოება, თუ ის უკვე არ ჩამოყალიბებულა.

ერთადერთი, რასაც ფული ვერ ბილწავს ეს ღმერთია, თუმცა გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ღმერთის სახელით ხალხს ყვრნის და ამის ხარჯზე აკეთებს დიდ ფულს, იცით ალბათ ქრისტეს მიერ ვაჭრების დარბევა – როცა დაინახავს, რომ მის სახლში ებრაელებს ყიდვა–გაყიდვა გაუმართავთ. დიახ, ღმერთს არ აინტერესებს ვის რამდენი ფული აქვს, მას მხოლოდ შენი სულის სიწმინდე აინტერესებს, მხოლოდ ღმერთი გვაფასებს რეალურად, ღმერთი სიკეთეა და ის ყველა ჩვენთაგანშია, მთავარია ის დავინახოთ.

საზოგადოების ერთ ნაწილს, სამწუხაროდ მცირე ნაწილს, არ მოწონს ის ფილმები და გადაცემები, რომელსაც ჩვენი ტელევიზია გვთავაზობს, არ მოსწონს ქართველი პოლიტიკოსები და ის „ფასეულება“, მაგალითად ნახატები, მუსიკა, სიმღერები და ქცევის თანამედროვე „ნორმები“, რომელიც ამჟამად აღიარებულია და რეალურ ფასეულებას არ წარმოადგენს, მაგრამ რა უნდა ქნას საზოგადოების ამ მცირე ნაწილმა, ის იძულებულია არსებული უზნეობა მიიღოს და უნებლიეთ ყალბი თამაშის მონაწილე ხდება, მაგალითად შევესწარი ორი მეგობრის შეხვედრას და მათ დიალოგს:

– გამარჯობა,

– გაუმარჯოს.

ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და გადაეხვივნენ:

– როგორ ხარ? ბავშვები როგორ არიან?

– მადლობა, ძალიან გაგვიჭირდა, უფროსი ვაჟი უმუშევარი დარჩა.

– ნუ გეშინია ყველაფერი კარგად იქნება.

– შეგიძლია ხუთასი ლარი მომცე?

– არა.

– აბა მაშინ რას მეკითხები როგორ ვარ. და, მეგობარზე გაბრაზებული სწრაფად შეტრიალდა და წავიდა.

დიახ, ჩემო მკითხველო ფული ბევრი რამის განმსაზღვრელია. აი, მე ჩემს ნათესავებს მაშინ ვახსოვდი, როცა ვჭირდებოდი, ახლა აქეთ მდებენ ბრალს და მსაყვედურობენ: „რატომ არ გვნახულობ“ – ასე ყალიბდება ყალბი საზოგადოება ანუ ფულის საზოგადოება; საზოგადოება, რომელიც არა მხოლოდ საქონელს აფასებს ფულით, არამედ ურთიერთობის საჭიროებას – ეს არის ფულის საზოგადოება – შენთან ურთიერთობას ვამყარებ მაშინ, როცა შენგან სარგებელს ველი, ან ჩემგან არაფერს მოითხოვ და ეს ურთიერთობა გახდა ნორმა, მაგრამ რა არის ურთიერთობის ნორმა?

მაგალითად: წარსულში გლადიატორების ბრძოლა და არენაზე კაცის მოკვლა მაშინდელი საზოგადოებისათვის ნორმად ითვლებოდა, მამას მიყავდა თავისი შვილი ამ სანახაობაზე, ერთად უცქერდნენ და ცქერიდან სიამოვნებას ღებულობდნენ და ეს მაშინ მისაღები, ანუ ნორმა იყო და ამ სანახაობაში დაუფიქრებლად იხდიდნენ ფულს, ახლაც დაახლოებით იგივე ხდება, ადამიანები სიამოვნებით იხდიან ფულს, რომ უცქირონ რინგზე ორი მოკრივე როგორ ამტვრევენ ერთმანეთს თავპირს და ამას შეარქვეს სპორტი, მაგრამ იმაზე არავინ არ ფიქრობს ასაკში შესულ მოკრივეს რა დაავადებები განუვითარდება მიყენებული ნოკაუტის შედეგად, ან ავიღოთ თუნდაც ძალიან უწყინარი სპორტი – ტანვარჯიში, ამ სახეობაში დაკავებულ სპორტსმენების უმეტესობას, ასაკში კუნთების კანკალი უნვითარდებათ, მაგრამ ეს ფულის საზოგადოებაა და ასაკში შესული სპორტცმენები არავის აღარ აინტერესებს, რადგან ის აღარ იყიდება. მსგავსი ურთიერთობის ნორმები თითქმის ყველა სფეროშია განვითარებული და მისი განვითარების საფუძველი არის ის, რომ ჩვენი მართვა იყოს ადვილი, ჩვენში ვგულისხმობ მათ ვინც იცის რა არის რეალური ფასეულობა. ყოველივე ზემოთ წაკითხულის შემდეგ აუცილებლად გაგიჩნდებათ კითხვა: როგორი უნდა იყოს საზოგადოება?

პასუხი: საზოგადოება უნდა იყოს ობიექტური, ანუ მისი შემადგენელი ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობას ამყარებენ ურთიერთსარგებლიანობის თანაბარ პრინციპზე, ანუ „მე მაშინ ვხვდები მოკრივე, თუ ეს ჩემი მოწოდებაა და ჩემი შერკინება შენში არ აღძრავს ძალმომრეობის და დაუნდობლობის სურვილს და შენ ჩემი შერკინების სანახავად მოდიხარ იმიტომ, რომ შეაფასო შერკინება“. ამ შემთხვევაში მაყურებლის მიერ გადახდილი ფული არ წარმოადგენს საქონლის ღირებულების განმსაზღვრელს, ეს სიმართლეა, რამეთუ ფულს იმ ადამიანის სახე აქვს ვის ხელშიც ის იმყოფება.

ფულის გამო ხდება ღალატი, წინაპრების მიწის გაყიდვა, უდანაშაულოს დაპატიმრება, ყველაზე დიდი დანაშაულია, როცა საკუთარ თავს ღალატობ. ალბათ ხშირად გინახავთ ხანში შესული მდიდარი ადამიანის გვერდზე ახალგაზრდა, ლამაზი ქალბატონი, ამ ქალბატონის გადაწყვეტილება დაკავშირებულია ფულთან და არა იმ გარემოებასთან, რომ ეს ხანში შესული მამაკაცი უყვარს, ან საინტერესო პიროვნებაა. ეს, და სხვა უმგვანო ნორმები ჩამოაყალიბა ფულის საზოგადოებამ. ქვის ხანაში სხეულის სიშიშვლე სირცხვილს არ წარმოადგენდა, რადგანსც ეს იყო ბუნებაში არსებული ნორმიდან გამომდინარე, ხოლო თანამედროვე გარემოში სიშიშვლე სირცხვილია, მითუმეტეს, მაშინ, როცა ფულის გამო იხდიან, ეს დაახლოებით ისეთივე გრძნობა, როცა გოიას ნახატს – „შიშველი მახა“ კარის ჭუჭრუტანიდან უყურებ და უყურებ საგამოფენო დარბაზში, როგორც ხელოვნების ნიმუშს – მაშასადამე ყველა გადაწყვეტილება და ხედვა ჩვენს გონებაშია. ფულის საზოგადოება თავგამოდებით შრომობს, რომ ჩვენი ყურადღება გადაიტანოს გამრუდებულ ფასეულობებზე და ცდილობს მის ობიექტურ აუცილებლობაში დაგვარწმუნოს, მაგალითად ქორწინება ხელშეკრულების საფუძველზე, რომლის მიხედვიდაც ქონება წინასწარ გადანაწილებულია, რაც განქორწინების შემთხვევაში პრობლემებს ხსნის, სინამდვილეში ესაა მთავარი პრობლემა, რამეთუ თავშივე ეს ქორწინება განწირულია განქორწინებაზე, ვინაიდან შეყვარებულები ამაზე (ხელშეკრულება) არ ფიქრობენ და მათი გაერთიანება ზეცაშია ღმერთის მიერ გადაწყვეტილი და ნორმა სწორედ ეს არის. მუსულმანურ სამყაროში გაზრდილი ქრისტიანისათვის მრავალცოლიანობა ნორმა ხდება, ხოლო ქრისტიანულ სამყაროში მცხოვრებ მუსულმანისათვის ერთ ცოლიანობა იდეალიზმია. მაშასადამე შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ გარემოება ქმნის ნორმას და, შესაბამისად, ამაში დიდ როლს თამაშობს საზოგადოება.

ეროვნული ტრადიციები, სარწმუნოება, სამშობლოს ცნება, წინაპრების მიწა ფულის საზოგადოებისათვის მეორეხარისხოვანია, ისინი ამბობენ: „მიწა რატომ არ უნდა გაიყიდოს უცხოელზე, თუ ეს შემოსავალს მოგვცემს?! რა, ზურგზე აიკიდებს და თან წაიღებს?“

დიახ, ფული ყველაზე საშიში იარაღია, ამ იარაღით, თუ ის უსვინდისო საზოგადოების წარმომადგენელთა ხელშია, ერების განადგურება და ტრადიციული რელიგიების (ქრისტიანული, მუსულმანური, ბუდისტური და ა.შ.) დანგრევაა შესაძლებელი.

# ნიკო ნიკოლაძე

## „მე დამივლია მთელი ევროპა, შენთვის რომ მემსახურა საქართველო!“



ნიკო ნიკოლაძე პირველი იყო ქართველ მოღვაწეთა შორის, რომელმაც ქართველთათვის უცხო ევროპული პრაგმატულლობა შემოიტანა ჩვენს ქვეყანაში. ქვეყნის ევროპეიზაცია ნიკოლაძის აზრით შეუძლებელი იყო, თუ ხალხის შრომას მიზანდასახული ხასიათი არ მიეცემოდა. „ჩვენს საზოგადოებაში, ყველა დარწმუნებულია, რომ შველა ჩვენ ერთ მშვენიერს დილას ჩამოგვიფრინდება, ისე, რომ თვითონ ხელის განძრევაც არ დაგვჭირდება ჩვენი ბედის გაუმჯობესებისათვის... ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისთვის ვიზრუნოთ... მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო გაძლიერებაზე და განათლებაზე ვიმუშაოთ, მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენ ხალხს და დამხმარებელიც.“

თუ არადა, „ევროპის სახელმწიფოები საქართველოს ან ალჟირივით დაიმონებენ, ან ინდო ჩინეთივით ძარცვას დაუწყებენ“.

ნიკო ნიკოლაძე ევროპაში ცხოვრობდა და იქ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. კარგად იყო გათვითცნობიერებული ევროპულ ცივილიზაციაში, მაგრამ არასოდეს ავიწყდებოდა თავისი გასაჭირში ჩავარდნილი ქვეყანა: „მე დამივლია ევროპა, და ბევრ ჩინებულ ქვეყნებში, ბევრ აღმტაც საზოგადოებაში გამიტარებია თვეები და წლები, მაგრამ ყოველგან და ყოველთვის, სადაც კი ვყოფილვარ, ერთი საგანი მქონია: შენთვის დამზადება, შენთვის სამსახური, შენი სარგებლობა“ - წერდა ნიკოლაძე

რა გზა უნდა აირჩიოს ერმა სამომავლოდ?! აი, რას წერდა ნიკოლაძე 19-20 საუკუნის გასაყარზე: „როგორც ჭკვიანი ირჩევს ტანსაცმელს, მას რა მოერგება და რა მოუხდება, საკუთარი სხეულის აღნაგობის გათვალისწინებით, ასევე უნდა მოიქცეს ერი ამა თუ იმ მოძღვრების არჩევისას. ჯერ ერთი, თუ შეუძლია ის მოძღვრება, რაც მას ჭირდება, მან თვითონვე უნდა შექმნას. მეორეც, თუ ამისთვის ჭკუა-გონება არ ჰყოფნის და აუცილებლად სხვას უნდა დაესესხოს, მაშინ ის უნდა აიღოს, რაც მას უეჭველად გამოადგება, თუმცა ამასაც დიდი გონიერება სჭირდება. თუ ამას ვერ მიხვდა, ისე მოუვა, როგორც იმ ადამიანს, ვინც მოდას აჰყვება, შეუფერებლად მოირთვება, მოიკაზმება და ხალხის თვალში სასაცილო გახდება. ერიც ასევე შეიძლება მასხარა გახდეს კაცობრიობის თვალში“ - წერდა იგი.

ნიკო ნიკოლაძე გენიალური იყო იმ თავის მოსაზრებებში, რომელიც საქართველოსა და ევროპის ურთიერთკავშირს შეეხებოდა. ქართველი საზოგადო მოღვაწე დარმწუნებული იყო, რომ შეუძლებელია უცხოელს, თუნდაც გენიოსს, ქართული სპეციფიკის არმცოდნეს, ქვეყნისათვის ზუსტად მისადაგებული განვითარების რეცეპტი მოეძებნა. ეს საქმე მას ქართველთა გასაკეთებლად მიაჩნდა და ხაზგასმით აღნიშნავდა: „ჩვენი ქვეყნის გონებრივი ზრდისათვის დიდი უბედურებაა ის გარემოება, რომ დედის ძუძუთი კი არ ვიკვებებით, არამედ ცხრა მთას გადაღმიდან მოყვანილ ძიძას ვაზარივართ. ისიც ხშირად თხის რძეს გვაწოვებს და არა ადამიანისას. უცხოელი ძიძა, რაგინდ საღი იყოს, შენს დედაენას ვერ გასწავლის, შენი ქვეყნის ბუნებასა და საჭიროებას ვერ გაგაცნობს.“

ნიკო ნიკოლაძე წერდა: „მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან მოსალოდნელ საშიშროებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას. რა დიდიც არ უნდა იყოს ჩვენი გამარჯვებები, მათი დიდება კვამლივით გაიფანტება, თუკი ჩვენ ჩვენს საკუთარ სახლში არ დავაკმაყოფილებთ აუცილებელ მოთხოვნებს, თუკი ხელს მივყოფთ საკუთარი ინტერესების სისტემატურ იგნორირებას.“



,,ერთ ერთი ლეგენდის თანახმად, ერთხელ გველი ციცინათელას დაედევნა, რათა გადაეყლაპა.

პატარა მწერმა შეუძლებელი გააკეთა გველისგან თავის დასაღწევად. გველი დღეების განმავლობაში ინტენსიურად დასდევდა.

ცოტა ხანში დაღლილი, ძალაგამოცლილი ციცინათელა გაჩერდა და გველს ეუბნება:

– შეიძლება დაგისვათ 3 შეკითხვა?

გველმა უპასუხა:

– არ ვარ მიჩვეული დათმობაზე წასვლას, მაგრამ რადგან მაინც ვაპირებ შენს შეჭმას, შეგიძლია მკითხო რაც გინდა !

– კითხვა 1: ვეკუთვნი თქვენი ყოველდღიური კვების ნაწილს ?

– არა

– კითხვა 2: რამე გაწყენინეთ?

– საერთოდ არაფერი

– კითხვა 3: და რატომ გინდათ ჩემი შეჭმა?

– იმიტომ რომ მაღიზიანებს შენი ბრწყინვალება!!!"

P. S.

,,არაერთხელ შეხვდებით ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ გაგაკრიტიკებენ, დაგგმობენ, იარლიყს მიგაკრავენ, მაშინაც კი, თუ კი მათთვის არასოდეს არაფერი დაგიშავებიათ და მათ მიმართ ყოველთვის სრულიად გულწრფელი იყავით.

და ეს ყველაფერი იმიტომ ხდება, რომ ციცინათელას მსგავსად, თქვენც გაქვთ საკუთარი სიკაშკაშე, თქვენ ანათებთ თქვენს გზას და სხვებსაც უნათებთ, ვინც ბნელში ტრიალებს. თქვენ ატარებთ სხვებზე მეტ სინათლეს, როგორც ღამით ციცინათელა და ამის ატანა სხვა ადამიანებისთვის ძალიან რთულია, რადგან მათ აკლიათ ეს შინაგანი შუქი, ეს საკუთარი სიკაშკაშე და უღვიძებს მათ შურის გრძნობას.

ამიტომ არასოდეს შეწყვიტოთ იყოთ ის, ვინც ხართ და ყოველთვის მიეცით საშუალება იმ შუქს რომ ანათებდეს, რომელიც თქვენშია... თუნდაც ეს აწუხებდეს იმ ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ სრულ სიბნელეში."



## „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ პრეზიდიუმის წევრი, კავშირის თავმჯდომარე 2013 – 2017 წლებში

# საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მისია

საქართველოს უახლესი ისტორია ძალზედ დიდი მნიშვნელობის მატარებელია და მას ანალოგი არ მოეძებნება. ეს არის მსოფლიოს უდიდესი იმპერიის, სსრკ-ს ტყვეობიდან არამარტო დამოუკიდებლობის მოპოვებისა და გათავისუფლების, არამედ იმპერიის დაშლის ერთ-ერთი დიდი წვლილის შემტანი ქვეყნისა და ერის ისტორია... როგორც ვიცით, რუსეთის უდიდესი იმპერიის შემადგენლობაში საქართველო შევიდა მისი ნების საწინააღმდეგოდ და მისგან თავის დაღწევა მოახერხა მცირე ხნით, 1918 წელს. ისტორიის ეს მცირე მონაკვეთი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის მომავლის საბოლოო განსაზღვრისათვის და მისი სახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმის ჩამოყალიბების საქმეში. ქართველი ერის ნებით მოხდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადება 1918 წელს და ეს ყოველივე საერთაშორისო საზოგადოებამაც სათანადოდ აღიარა. აღსანიშნავია, რომ იმ დროინდელი საქართველოს საზღვრები გაცილებით ფართო იყო და უფრო სამართლიანად გამოსახავდა საქართველოს ისტორიულ მემკვიდრეობას. საქართველო, როგორც ასეთი არასდროს ყოფილა ტიპიური რომელიმე იმპერიის გარე პროვინცია და მეტიც, ის არანაკლებ მაღალ სახელწიფოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ სიმაღლეზე მდგარა, ვიდრე თავად დამპყობელი ქვეყნები, ეს კი ქვეყნის დიდ ინტელექტუალურ რესურსზე მიუთითებს (რესურსზე, რომელიც თავის თავში ყოველთვის, უწყვეტად ატარებდა ქართულ-ქრისტიანულ იდეას სახელმწიფოს მოწყობისა). სწორედ ეს ინტელექტიუალური და სულიერი რესურსი გახდება კიდეც მომავალში ქვეყნის საბოლოო მისიის განმსაზღვრელი და წარმმართველიც. უკვე იკვეთება სურათი, თუ როგორ მოახერხა ქართულმა სახელმწიფომ მონარქიის დაკარგვის შემდეგ, ახალი მმართველობის ფორმის შემოღება და მისი შეუცვლელად და კანონიერად დამკვიდრება მთელი ქვეყნის მასშტაბით. ეს იმას ნიშნავს, რომ მმართველობის ამ ფორმის შეცვლა და მისი მითვისება არის უკანონო და ეწინააღმდეგება ქართველი ერის ნებას! ხოლო თუ ისტორიის გარკვეულ ეტაპზე წარმოიქმნება აუცილებლობა საქართველოში მონარქიის აღდგენისა, ამის კანონიერი და მორალური უფლება ექნება მხოლოდ საქართველოს კანონიერ მთავრობას, რომელიც დაფუძნებულია მონარქიის დაკარგვის შემდეგ, ჯერ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე (1918), ხოლო შემდეგ, რესპუბლიკურ მმართველობის ფორმაზე (1991) და რომელსაც გააჩნია სამართალმემკვიდრეობა. რაც შეეხება 1991 წლის დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს, რომელიც დამყარებულია 1918 წლის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გამოცხადების აქტზე და სრულიად კანონიერია. ამ აქტით საქართველომ თავისი პოლიტიკური მდგომარეობა აღადგინა 1918 წლის მდგომარეობით. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არის საქართველოს უახლესი ისტორია გამორჩეული და რატომ ვაცხადებთ, რომ მას არა გააჩნია ანალოგი, შეგვიძლია განვმარტოთ ამდაგვარად: საქართველოს სახელმწიფო რელიგია, მონარქიული მმართველობის დროს

(IV სს-დან) ყოველთვის იყო ქრისტიანობა. რუსეთის მიერ საქართველოს სახელმწიფოებრიობის გაუქმების მერე კი დაიწყო ქრისტიანობის, როგორც ეროვნული რელიგიის დევნა მთელი ძალებით (რაც რელიგიულ ასპექტში თავად ქრისტიანობის დიდი შეურაცყოფაა რუსეთის მხრიდან და მისი, როგორც რელიგიის ბოროტად გამოყენება)... მიუხედავად ყველაფრისა, ქართულმა ეროვნულმა ორგანიზმა მოახერხა თითქმის შეუძლებელი და როდესაც მთელს მსოფლიოში მონარქიული სახელმწიფოს მმართველობის ფორმა დაემხო და ის ჩაანაცვლა უმეტეს შემთხვევაში რესპუბლიკურ-დემოკრატიულმა ფორმებმა, თავისთავად, დემოკრატიულო პრინციპებიდან გამომდინარე დამკვიდრდა რელიგიების თავისუფლება და თანასწორობა სახელმწიფო (კონსტიტუციურ) დონეზე. 1991 წელს საქართველოს კანონიერმა, ეროვნულმა და ქვეყნის მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ არჩეულმა მთავრობამ კი მიიღო სრულიად საპირისპირო გადაწყვეტილება და წავიდა მსოფლიო პოლიტიკური დინების წინააღმდეგ, არ დაემორჩილა ამაქვეყნის მთავარს მეტიც... საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტმა, ზვიად გამსახურდიამ დააყენა საკითხი, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებისა! რაც ნიშნავდა დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის ფორმის ქრისტიანიზაციას და მისი ყველა პრინციპის ქრისტიანულ მმართველობის ფორმაზე მორგებას და მასზე დამორჩილებას განსაკუთრების მორალურ ასპექტში.... ანუ პრეზიდენტმა მიიღო სახელმწიფოს მმართველობის ფორმა, ოღონდ ის ერთიანად დაუმორჩილა ეროვნულ-ქრისტიანულ იდეას და მის სამსახურში ჩააყენა. ეს კი ვისი დამარცხებაცაა კარგად მოგეხსენებათ, თანაც საკუთარივე იარაღით. პრეზიდენტს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რა შედეგი მოყვებოდა ამას, მაგრამ მან უფრო კარგად გააცნობიერა რა საბოლოო და მარადიული შედეგი მოყვებოდა მის ასეთ გადაწყვეტილებას და წავიდა კიდეც გოლგოთის გზაზე. ეს იყო ქართული ინტელექტუალური და სულიერი იდეის უდიდესი გამოვლინება, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა და საუკუნოდ განისაზღვრა საქართველოს მისია.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი არის უმაღლესი წარმომადგელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და ქვეყნის პირველი პირი. მისი ყოველი გადაწყვეტილება არის სავალდებულო ქვეყნის მთელს ტერიტორიზე. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დევნილობის პირობებში უმაღლესი მმართველი მეორე პირი ლეგიტიმური კონსტიტუციის მიხედვით არის პრემიერ მინისტრი. იგი არის საქართველოს ეროვნულ-ქრისტიანული იდეის დამცველი, წარმმართველი და მასზე პასუხისმგებელი პირი.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის – ბატონ ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებიდან გავიდა 28 წელი, დადგა აუცილებლობა ახალი ძალების მობილიზებისა. თაობათა შორის კავშირის ურღვეობა ძალიან მნიშვნელოვანია და დიდ როლს ასრულებს ქართული – ქრისტიანული იდეის არსებობის საქმეში. იდეას სჭირდება გადაცემა ახალ თაობაზე, გაზიარება და ხალხში გავრცელება. სხვაგვარად იდეას ჩვენი ერი და ქვეყანა საბოლოოდ დაკარგავს. რადგანაც ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის მატარებელი ძალა, არ არის მხოლოდ ადამიანთა გულანთებული, პატრიოტული ერთობა და ის გაერთიანებულია საქართველოს რესპუბლიკის უმაღლესი პოლიტიკური მმართველი ძალის – დევნილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის გარშემო. იქმნება აუცილებლობა, რომ ამ იდეის მატარებელ ჯგუფს გარდამავალ პერიოდში, რომელიც დამოკიდებულია საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დევნილობაში მოღვაწეობაზე, სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების სრულ აღდგენამდე მიეცეს სრული პოლიტიკური იარაღის ტარების უფლება და იმოქმედოს როგორც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ეგიდით, საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციით, ასევე სახელმწიფოს უმაღლესი პირისა და მმართველი ორგანოს დირექტივებითა და დადგენილებებით. ეს პროცესი ვალდებულს ხდის თავის მხრივ ყველა ამ პოლიტიკური იარაღის მატარებელ პიროვნებას, გამოიყენოს იგი ქართული ეროვნულ-სარწმუნოებრივი იდეის სამსახურში და ამ იდეის მატარებელი კანონიერი მთავრობის ქვეყნის ფაქტიურ მმართველობაში დაბრუნებისათვის ბრძოლაში.

ზემოთ ნათქვამიდან ჩანს, რომ დადგა აუცილებლობა ჩამოყალიბებული პოლიტიკური ფორმა მიეცეს ყოველივეს და იდეით შეკავშირებული ქართველი მამულიშვილები მოექცნენ პოლიტიკურ ჩარჩოებში, შეისწავლონ მისი მართვისა და გამოყებენის ფორმები და ერთგულად ემსახურონ ქართულ საქმეს. ასეთი პოლიტიკური ფორმა დღესდღეისობით მოცემული რეალობიდან გამომდინარე არის ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა და მისი სტრუქტურული ორგანოები: უსაფრთხოების საბჭო (ზედა პალატა) და პრეზიდიუმი (ქვედა პალატა). დევნილობაში აუცილებლობას წარმოადგენს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იყოს იერარქიული და ე. წ. ორ პალატიანი.

ასევე, აუცილებელია, იდეის გარშემო გაერთიანებული პიროვნებათა კრებულის ერთგულების მაღალი მაჩვენებლის მიხედვით იერარქიულ პოლიტიკურ ჩარჩოებში მოქცევა, რაც პოლიტიკურად პასუხისმგებლობისუნარიანს გახდის მათ. რამდენადაც პრეზიდიუმი (ქვედა პალატა) თავისი იურიდიულ-საკანონმდებლო არსით არის უფრო მრავალფუნქციული, გადაწყვეტილებისუნარიანი და მისი დამორჩილება სახელმწიფოს უმაღლეს პირზე და მთავრობის უმაღლეს ორგანოზე – უსაფრთხოების საბჭოზე (ზედა პალატაზე), მას ხდის ბრძოლისუნარიანს და ანიჭებს უფლებას მთლიანობაში მთავრობას მიიღოს ქვეყნისათვის საჭირო გადაწყვეტილება ნებისმიერ დროს და ნებისმიერ ადგილას, რომელიც კანონიერების აღდგენის შემდეგ შეიძლება მოყვანილ იქნეს სისრულეში მთელი ქვეყნის მასშტაბით. საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის უშიშროების საბჭო და პრეზიდიუმი უნდა იყოს ურყევი, გადაწყვეტილებისუნარიანი და ქართულ ეროვნულსარწმუნოებრივი იდეის მატარებელი. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრობა უნდა იგივდებოდეს სამუდამოდ თავდადებას ღვთისა და ერის სამსახურში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა იძულებულია შეუწყვიტოს უფლება-მოსილება მინისტრთა კაბინეტის (მისი ჩამოყალიბებიდან დღემდე) ყველა წევრს პრემიერ მინისტრის ჩათვლით და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ბრძანების თანახმად ჩამოყალიბდეს მთავრობის ახალი შემადგენლობა წელსვე. შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მმართველი პარტია – ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" წესდების შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობაში და პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალ საქართველოში" ახალი წარმომადგენლობის არჩევამდე, უწყვეტს უფლება-მოსილებას ადრე წარდგენილ და მომქმედ ყველა წევრს და დროებით, 2024 წლის 1 დეკემბრამდე მთავრობის ახალ წევრთა არჩევა-დამატება ხდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის უახლოესი სარეფორმო-სამოქმედო გეგმაა:

1. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ახლად არჩეული თავმჯდომარის ბრძანებულებით უნდა გაუქმდეს დღემდე არსებული მინისტრთა კაბინეტისა და მთავრობის (დევნილი) წევრების უფლება-მოვალეობები, გაყვანილ იქნან ისინი მთავრობის შემადგენლობიდან და მათ მაგივრად სახელმწიფო მეთაურის მოვალეობის შემსრულებლის (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე) წარდგენითა და ბრძანებულითვე უნდა სახელობით შეიქმნას ახალი მთავრობის წარმომადგენლობა-შემადგენლობა;

2. თანამედროვე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ახალი, შერჩეული და ბრძანებით დადგენილი წარმომადგენლების მიერ შედგენილი მთავრობა ადასტურებს, ამტკიცებს მთავრობის ახალ შემადგენლობას და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ მთავრობის წევრთა თანამემდობრივ-რანგობრივ-იერარქიულ ფორმულაციას;

3. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამტკიცებს მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეოლოგიაზე დაფუძნებულ ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ამ დღისათვის არსებულ საკანონმდებლო ბაზას და ამ ბაზაზე დაყრდნობილ სტრატეგიული დანიშნულების სამოქმედო გეგმას;

4. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ამტკიცებს მთავრობის თავმჯდომარის მიერ წარდგენილ ახალ სტრუქტურულ რგოლს – საქართველოს რესპუბლიკის რანგობრივ და მობილურ უსაფრთხოების საბჭოს (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველ და უმაღლეს პალატას), ხოლო მთავრობის მთლიანი შემადგენლობა გადაიყვანება ასევე მობილურ საპრეზიდიუმო ფუნქციონალური დანიშნულების ძირითად ტაქტიკური სამუშაო-სამოქმედო საკანონმდებლო-აღმასრულებელი ფუნქციის მატარებელ სტრუქტურულ სათაო რგოლად (საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პირველ და უმაღლეს პალატაში);

5. საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის წევრებს, საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მეთაურის წარდგინებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის უშიშროების საბჭოს გადაწყვეტილებით – დადგენილებით სახელმწიფოებრივი სტატუსისათვის მიენიჭებათ შესაბამისი სამხედრო წოდებები:

6. მომზადდეს და სრულად ამოქმედდეს კონსტიტუციისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილების (№2 ) შესაბამისად მიღებული კანონი საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის სტატუსის შესახებ;

7. საქართველოს სრული სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციისათვის შემუშავდეს და მომზადდეს შემდეგი აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა და ღონისძიებები:

ა) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ განისაზღვროს და მომზადდეს სახელმწიფოებრივი სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენის სამართლებრივ-იურიდიული-პოლიტიკური, ასევე სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციისა და სახელისუფლებო მმართველობითი სტატუსისა და ფორმების სამომავლო, თანდათანობითი, დროში გადაცემითი აუცილებელი მეთოდიკა და მექანიზმები;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ შემუშავდეს და მომზადდეს სახელმწიფოებრივი ლეგიტიმაციისათვის სამომავლოდ აუცილებელი, ეროვნულ-სარწმუნოებრივ იდეოლოგიაზე დაფუძნებული, განახლებული სახელმწიფოებრივ-სამართლებრივ-იურიდიული საკანონმდებლო ბაზა და ახალი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, რომელსაც დაამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის პრეზიდიუმი და საბოლოოდ უშიშროების საბჭო საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის - საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ მინისტრის დამტკიცებითა და ხელმოწერით;

8. სანამ არსებობს ხუნტის სამართალმემკვიდრე, არაკანონიერი ფაქტობრივი ხელისუფლებები და მათ მიერ შეკოწიწებული უკანონო სამთავრობო ხელისუფლებები, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის (დევნილი) სტრუქტურული წარმომადგენლობისა და ლეგიტიმური ხელისუფლების პოლიტიკურ პარტიათა და ორგანიზაციათა გაერთიანება ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოს" დამფუძვნებელმა და ძირითადმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და მათმა წარმომადგენლობებმა კვლავ უნდა განაგრძონ აქტიური ბრძოლა უკანონობისა და არალეგიტიმურობის წინააღმდეგ. მათი ნაწილი უნდა გადავიდეს იატაკქვეშეთში, ხოლო ნაწილმა უნდა იმოქმედოს ღია, ლეგალური მეთოდებით. სასურველია, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობამ, საჭიროებისამებრ, არამარტო საზღვარგარეთ მოღვაწეობისათვის, აუცილებლობის შემთხვევაში, შეჰქმნას თანამედროვე, აქტიურად მომქმედი ,,ახალი ლევილის" ტიპის სამთავრობო, საემიგრაციო მოღვაწეობის ფუძე-სამყოფელი (სამყოფელნი), საიდანაც განახორციელებს თავის სავალდებულო საქმიანობას, ხოლო საქართველოში მისი წარმომადგენლობა იმოქმედებს ე. წ. ,,რეზიდენტული" წესით;

9. საქართველოს რესპუბლიკის საბიუჯეტო ფონდის შექმნა-შემუშავება, თანხების სხვადასხვა წყაროების მოძიებისა და დიფერენცირების გზით მათი განსაზღვრა და ერთიანი სახელმწიფო-საფინანსო სისტემის შექმნა;

10.საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ახალი ბეჭდის შექმნა და წევრთა პირადობის დამადასტურებელი პლასტიკური ბარათების დამზადება;

11.მპგ ,,მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველოს" 1993 წლის მონაცემებით არსებული ორგანიზაციების აღდგენისათვის და ახალი ორგანიზაციების ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება;

12.ახალი იდეის - კმპგ „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი კავკასიის“ შექმნისათვის ხელშემწყობი ღონისძიებების შემუშავება;

13.საქართველოს ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობის - საქართველოს ეროვნულ-სარწმუნოებრივი მოძრაობის ერთიანი ფრონტის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განსაზღვრა, ახალი ეროვნულ ძალთა მოძიება, ერთიანობის სათანადო საფუძველის მომზადება, მათი კონსოლიდაციისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავება-ხელშეწყობა და მთავრობის მიერ დადგენილი სამოქმედო გეგმით მუშაობისა და ახალი ბრძოლის დაწყება;

14.საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სამოქმედო არეალის გაფართოებისათვის აუცილებელი ღონისიებების შემუშავება, საინფორმაციო ველის გაფართოება, მიმართვების, მემორანდუმებისა და დეკლარაციების მომზადება-გაგზავნის ღონისძიებების განსაზღვრა და საერთაშორისო მოლაპარაკებების დაწყება წინასწარ შემუშავებული და დამტკიცებული გეგმის მიხედვით;

15.საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ განისაზღვროს და მომზადდეს კანონ-პროექტი დასამტკიცებლად საქართველოს რესპუბლიკაში მართლმადიდებლურ-ქრისტიანული, როგორც სახელმწიფო რელიგიის არსებობის აუცილებლობისა და გამოცხადების წესის შესახებ.

# შურისძიება

მესხეთი. ახალციხიდან დასავლეთით, ასე, 15-20 კილომეტრის დაშორებით მდებარეობს სოფელი უდე. სახელწოდება, ჩემი აზრით, უნდა მოდიოდეს ძველი ქართული სიტყვიდან ,,ყუდე” რაც სადგომს, თავშესაფარს ნიშნავდა (მეგრულში ეს სიტყვა „სახლს“ ნიშნავს). ეს არის საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი და უძველესი სოფელი, სადაც დღესაც ნახავთ ანტიკური ხანის ციხე-სიმაგრის ნანგრევსა და IX საუკუნის, ბაზილიკური ტიპის, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიას.

ამბავი, რომელიც მინდა გადმოვცე, გასული საუკუნის დასაწყისში მოხდა. ეს ის პერიოდია, როდესაც ფაქტობრივად არ არსებობს საზღვარი თურქეთთან. თურქი და ქართველი მოსახლეობა ერთმანეთშია არეული. ორივე ენა ყველამ კარგად იცის. უდეშიც ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს მართლმადიდებელი, თუ კათოლიკე ქრისტიანი და მუსლიმანი.

„ლუკათ“ ივანე, ამ მხარეში ცნობილი კაცი იყო. ზორბა ტანის და უდიდესი ფიზიკური ძალის მქონე ვაჟკაცი, ასევე საოცრად გამრჯე გახლდათ. გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა – სოფელში საქმეს რა გამოლევს, მაგრამ ზამთარშიც კი, როდესაც მთელი სოფელი „საღათას ძილს“ ეძლეოდა, ივანე თავისი ბრიგადით ახალციხეში მიდიოდა და იქ ქვის სახლებს აშენებდა. ეკონომიურად არ უჭირდა, პირიქით: შეძლებული კაცი ეთქმოდა, მაგრამ უსაქმოდ ყოფნა არ შეეძლო.

ზაფხულის ერთ დილას, როდესაც ბინდში ჩაფლულ სოფელს ჯერ კიდევ არ გაღვიძებოდა, ივანემ სოფლის განაპირას, სათიბს მიაშურა. მზე ახლად ამოწვერილი იყო, საკმაოდ მოშორებით, ერთ ბორცვის წვერზე უცნობი კაცი რომ შენიშნა, რომელიც, როგორც მალე დაადგინა, სწორედ მას აკვირდებოდა. გახურებულ მუშაობაში, დრომ სწრაფად გაირბინა. სამხარმა მოაწია. ხის ჩრდილში სუფრა გაშალა, ცოლის მიერ გამოტანებული: მესხური პური, „ჩეჩილა” ყველი, მშრალად მოხარშული ხორცი, ჭანჭურის არაყი, მჟავეული ამოალაგა. იმ ბორცვს გახედა: უცნობი ისევ იქ იყო. ხელი დაუქნია, ანიშნა: „ჩამოდიო!“ უცნობი ჯერ თითქოს დაიბნა. მერე, როდესაც დარწმუნდა, რომ ნამდვილად მას უხმობდნენ, უარის ნიშნად თავი გააქნია.

– ჩამოდი, ჩამოდიო! – არ მოეშვა. კაცი ცოტახანს კიდევ ყოყმანობდა. მერე ზლაზვნით წამოდგა და ნელ-ნელა დაეშვა ფერდობზე. თათარი გამოდგა.

– კაცო, აქ მე ვზივარ მარტო, იქ – შენ. დამიჯექი, მე ჩემსას გეტყვი, შენ – შენსას, თანაც დავნაყრდებით! – მიიპატიჟა უცნობი.

უხმოდ სამხრობდნენ. დროდადრო არაყსაც აყოლებდნენ. ივანეს რა დაათრობდა, თათარს კი მალე შეეტყო სიმთვრალე. ახლა კი დრო იყო, გაერკვია ვითარება:

– დილიდანვე შეგნიშნე, მითვალთვალებდი. მითხარი ერთი, რა ხდება, რაშია საქმე?

– თუ არ მომკლავ, გეტყვი – ჩაიბურტყუნა თათარმა.

– არ მოგკლავ!

– ეგრე არა, სიტყვა მომეცი, მე შენი სიტყვის ფასი ვიცი!

– სიტყვას გაძლევ – თვალებში ჩახედა ივანემ. გულმა ცუდი უგრძნო.

კაცმა უბეში ხელი ჩაიყო, იქიდან ორად მოკეცილი ფულის მოზრდილი დასტა ამოიღო, სუფრაზე დადო და თქვა: – მე თურქეთიდან გადმოვედი. დაქირავებული მკვლელი ვარ. ასეთია ჩემი ხელობა: ფულს მიხდიან და ვისზეც მიმითითებენ, ვკლავ. იქ, ზემოთ, ბუჩქებში თოფი მაქვს დამალული. იმ თოფით შენ უნდა მომეკალი, მაგრამ ვერ გაგიმეტე. ასეთი რამ ჩემს ცხოვრებაში პირველად მოხდა: ვერ გაგიმეტე, რადგან, თუმცა ბევრი მსმენოდა შენზე, რაც თვალით ვნახე, ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი: მე ადამიანის შვილის ასეთი მუშაობა ჯერ თვალით არ მინახავს. ცოდვაა შენი მოკვლა!

ივანე მოულოდნელობისაგან ენაჩავარდნილი უსმენდა.

ძლივს ამოღერღა: – ვინ დაგავალა ჩემი მოკვლა?

– ეს ფული შენმა ცოლმა და იმისმა საყვარელმა მომცეს, შენი მოცილება უნდათ!

წამით თვალები დაუბნელდა. არაყი დაისხა. უსიტყვოდ გადაჰკრა.

– ვინ არის ის კაცი?

მისივე სოფლელი დაუსახელა, ერთი მარტოხელა თათარი კაცი.

ივანეს გულში ჯოჯოხეთი ბორგავდა. პირველ რიგში ამას დავახრჩობო იფიქრა, მაგრამ სიტყვა ჰქონდა ნათქვამი.

– ეგ ფული შეინახე – უთხრა თავუწევლად.

– არა, ფული არ მეკუთვნის.

– აიღე და შეინახე, რომ გეუბნები – ისეთი სახით შეხედა, თათარი უმალ დაემორჩილა.

– ჩვენი საუბრის შესახებ არსად სიტყვა არ დაგცდეს. ახლა წადი და დღესვე ამ მხარიდან გადაიკარგე. ეცადე არსად შემხვდე, აღარასოდეს, თორემ, თუ სადმე გადამეყარე, ნამდვილად მოგკლავ!

კაცი უხმოდ წამოდგა. იმ ადგილს მიაშურა, სადაც თოფი ეგულებოდა და ცოტა ხანში ბორცვის გადაღმა ჩაიკარგა. ივანემ სუფრა აალაგა, ერთხანს, ცელს დაყრდნობილი, სოფელს გაცქეროდა. მერე პირჯვარი გადაიწერა და მუშაობა განაგრძო.

სახლში მისულს მისი ლამაზი ცოლი შეეგება. გარეგნულად უნაკლო ქალი იყო, ესაა, შვილი არ უჩნდებოდა. ქმარს ხელ-პირი დააბანინა, ფეხები თავად დაბანა. მერე სუფრა გაუშალა. იქვე ჩამოუჯდა. გაუთავებლად ეტიტინებოდა. ივანე ჩუმად მიირთმევდა საჭმელ-სასმელს. მოულოდნელად კითხა: – მე რომ ფული მოგაბარე ამას წინად, სად შეინახე?

ქალი შეკრთა, სახეზე ალმურმა გადაჰკრა, მაგრამ სწრაფად უპასუხა:

– უი, ჩემს სიცოცხლესა, როგორ დამავიწყდა: ჩვენი ნათესავები იყვნენ გადმოსული ხულოდან, იმათ ვასესხე.

– ჰოო, კარგი, კარგი...

გავიდა ათი-თორმეტი დღე. თათარი მკვლელის კვალი არსად გამოჩენილა.

ერთ საღამოს ივანე სოფლის ცენტრში, „სალაყბოზე“ გავიდა. აქ დიდხანს არ დარჩენილა. საუკეთესო მეგობარს, „პეტათ“ სიმონას მიმართა: – სიმონ, წამო, შენთან საქმე მაქვს.

სიმონა უხმოდ წამოდგა და გაყვა. სოფელშივე, მყუდრო ადგილას, სუფრა გაშალეს და გვიანობამდე არაყი სვეს. სოფელს უკვე ღრმა ძილით ეძინა, როდესაც ივანემ თქვა:

– სიმონ, ამაღამ ერთი კაცი უნდა მოკვდეს!

– მოკვდეს! – იყო პასუხი.

სიმონა ამით გამოირჩეოდა, ლაპარაკი არ უყვარდა. არ უკითხავს, ვინ უნდა მოეკლათ, რატომ. მისთვის ძმაკაცის სიტყვა კანონი იყო. წავიდნენ იმ „მოსაკლავის“ სახლისკენ. უტრიალებენ სახლს და ფიქრობენ, პატრონი გარეთ როგორ გამოიტყუონ. უცებ სიბნელეში რაღაც ლანდები შენიშნეს: – ბიჭო, რომელი ხარ მანდ?

– შენ თვითონ რომელი ხარ?

– ვანო ვარ, „ლუკათი“.

– ვანო, შენა ხარ?

– ჰო, თქვენ ვინ ხართ?

– გამარჯობა! – აჭარელი ნაცნობები იყვნენ.

– გაგიმარჯოთ. აქ რამ მოგიყვანათ ამ შუაღამისას?!

– ერთი კაცი გვყავს მოსაკლავი!

– ვინა?

იგივე პიროვნება დაუსახელეს. ვანო ჩაფიქრდა: _ თქვენგან მაგის მოკვლა არ ივარგებს: უცხო ხალხს სოფელში ვინმე შეგამჩნევდათ და უცებ დაგიჭერენ. თქვენ წადით, მაგ საქმეს მე ვიზამ.

შემდეგ მეგობარს მიუბრუნდა: – სიმონ, ეს საქმე დღეს არ გამოვა. წავედით.

გავიდა კიდევ ორი კვირა. ერთ საღამოს ისევ გავიდა ივანე „სალაყბოზე“, ისევ დაუძახა სიმონს: – სიმონ, გამომყე, საქმე მაქვს!

სიმონი გაჰყვა. გვიანობამდე სვეს. როცა დრომ მოაწია, ივანემ თქვა: – სიმონ, ამაღამ ის კაცი უნდა მოკვდეს!

– მოკვდეს!

მივიდნენ. დაუძახეს. იქვე, ეზოშივე დააგდეს. ურმის მოსაკოჭი, მსხვილი თოკი შემოუჭირეს კისერზე. ერთი ბოლო სიმონს ეჭირა, მეორე-ივანეს. მასვე მსხვერპლის თავზე მარჯვენა ფეხი ედგა.

– ბიჭო, შენ და ჩემი ცოლი ერთმანეთს ყვარობთ?

– არა, ვინ გითხრა, ვინ დამაბრალა!

– სიმართლე მითხარი, თუ გინდა რომ არ მოგკლა!

– სიმართლე რომ ვთქვა, არ მომკლავ?

– არა, არ მოგკლავ,(სიტყვა არ მიუცია).

– ჰო, რა ვიცი, შევცდით როგორღაც, გვაპატიე ვანოჯან, მაპატიე...

– სიმონ, გასწი თოკი, მე ამისი დედა... !

სახლის მახლობლად ქვა-ღორღის გროვა იყო. გვამი იქ ჩაფლეს.

გავიდა ხანი. ერთ საღამოს სახლში მისულ ივანეს ცოლი ატირებული დახვდა.

– რა არი ქალო, რა გატირებს?

– ამ ერთი თვის წინ ჩვენი სოფლელი კაცი რომ დაიკარგა, თათარი, გახსოვს?

– მახსოვს, მერე?

– ის კაცი უპოვნიათ მოკლული, ქვებში ჩაფლული.

– ჰოო? მერე შენ რა გატირებს?

– რა ვიცი, მაინც, ადამიანის შვილია, შემეცოდა!

– ეგ მართალია. იტირე, იტირე. ქალის წესი ეგაა, უნდა იტიროს!

მიილია შემოდგომა. დადგა ზამთარი. ზამთარი მესხეთში ახლაც მკაცრი იცის, მითუმეტეს, როგორი იყო მაშინ! ცხონებული ბებიაჩემი იხსენებდა: „იმდროინდელი, ბანიანი სახლები თოვლით იფარებოდა, მეზობლებთან თოვლში გაყვანლი გვირაბებით დავდიოდით ერთმანეთთან. ყინვები იცოდა ისეთი, ქვას ხეთქავდაო! თუ როგორ სკდება ყინვისაგან ხე, ამას მეც შევსწრებივარ: ეს ხდება დილით ადრე, როდესაც ტემპერატურა განსაკუთრებით დაბლა ეცემა. დღისით, მზეზე დამდნარი თოვლის სისველით ხის ტანი იჟღინთება. ღამით ეს წყალი იყინება და სოლივით აპობს ხეს, რასაც თან ახლავს საშინელი ჭახანის ხმა. იგივე ემართება ქვასაც, თუკი მას ბზარები აქვს და ყინვაც საკმარისად დიდია.

მოკლედ, დადგა ზამთარი. შეკრიბა ივანემ თავისი ბრიგადა და წავიდა ახალციხეში. შრომობენ, აშენებენ ქვის სახლს. ერთ საღამოს, ივანემ ბრიგადას გამოუცხადა: _ დღეს კარგად იშრომეთ, ერთი ქეიფი თქვენზე ალალია!

მოატანინა საგანგებო პურმარილი, ბლომად არაყი, დადგა თვითონ თამადად და გახურდა ქეიფი! ივანეს ვინ გაუძლებდა, თანამეინახენი ისე დათვრნენ, ზოგმა იქვე, მაგიდაზე მიიძინა.

– ახლა კი დავისვენოთ, ხვალ ისევ სამუშაო გველოდება! – გამოაცხადა თამადამ და თავადაც გასწია დასაძინებლად. როდესაც დარწმუნდა, რომ ყველას ღრმა ძილით ეძინა, ჩაიცვა, ფეხაკრეფით გამოვიდა გარეთ და სოფლის გზას დაადგა. უკუნი ღამე, ჭელამდე თოვლი, ტყიდან ჩამოსული, დამშეული ნადირი და შორი გზა... კარზე ფრთხილად დააკაკუნა. მეორედ, მესამედ.

ცოლი შეეხმინა: – რომელი ხარ?

– მე ვარ, ივანე!

– ამ შუა ღამით რამ მოგიყვანა? – გააღო ცოლმა კარი.

– მომენატრე ქალო და წამოვედი...

ქალი დაახრჩო, კარი გამოიხურა და იმავე გზით დაბრუნდა. გამთენიას უკვე ახალციხეში, თავის საწოლში ეძინა. დილით გაიღვიძეს, ხელ-პირი დაიბანეს, ისაუზმეს და შეუდგნენ საქმეს.

ორი დღის შემდეგ: ივანე მეორე სართულის სარტყელზე დგას, ხელში შვეული უჭირავს და კედლის სისწორეს ამოწმებს. ამ დროს ქვემოთ დაინახა, რომ მისი ბიძაშვილი და ცოლისძმა ამოსულან სოფლიდან.

– ვანო, სოფელში უნდა წამოხვიდე.

– რაშია საქმე?

– შენი ცოლია ავად – ცუდი ამბავი „შეაპარეს“ ახლობლებმა. და აქ, პირველად ექვსი თვის მანძილზე, დაუშვა ერთადერთი და საბედისწერო შეცდომა:

– როგორ თუ ავად, ცოცხალია?!

ეს სიტყვები გახდა საფუძველი მისი დაპატიმრებისა. თუმცა, მიუხედავად ეჭვებისა, შეუძლებელი აღმოჩნდა მისი დაკავშირება თათარი კაცის მკვლელობასთან, ასევე წარმოუდგენელი იყო, ადამიანს შუაღამით, თოვლში, ესოდენ მცირე დროში, ფეხით გაევლო ამხელა მანძილი ახალციხიდან სოფლამდე და უკან. ამიტომ სამი თვის შემდეგ გაათავისუფლეს სამხილების არ არსებობის გამო, მითუმეტეს, რომ ამას დაჟინებით მოითხოვდნენ თანასოფლელები და თვით სოფლის პირველი პირი, დიდად პატივცემული ბეგი, პეპელ-აღა(აბულაძე).

*ნოდარ კიკნაძე*

# მესხეთის მონატრება

მტერს შელეწილი ის ჩვენი კუთხე,
ღვთსმშობლის ღაწვს რომ ცრემლად ადნება,
დღესაც სამშობლოს ღამეებს უთევს,
დღესაც სისხლს მიცემს დაუმადლებლად!

ჩვენ, დაკარგული მისი ვაჟები,
თავჩაქინდრული ჩავცქერით ჭიქებს.
გადავირევით, გავგიჟ-მაჟდებით:
რამე მესხური შემოგვრჩა იქნებ?!

იმ შავლეგოსი, თუ არა ხმალი,
სიმღერა მაინც ვიცოდეთ, ნეტავ!
ხომ არ გამქრალა შეგვრჩა იმედი ხვალის,
გული გამხმარი, ჯერ კიდევ ფეთქავს!

მუხლისმოდრეკით და პიჯვრისწერით
პატიებას ვთხოვ სევდიან ტაძარს,
დამისხით ღვინო_სისხლი და ცრემლი,
ეს ბნელი ღამე კბილებში გავცრა!

* * *

*ხმლებს უქარქაშოს*

*მტერს ვსცემდით*

*როცა,*

*წმიდა გიორგის*

*გვიძღოდა ლოცვა!*

*აწ სატანისას*

*ვმონებთ დამქაშებს*

*და თავში ვიცემთ*

*უხმლო ქარქაშებს?!*

*ნოდარ კიკნაძე*

# რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია



მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების“

ახალგაზრდული ორგანიზაციის გამგეობის წევრი

თამუნა რაზმაძე

ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისათვის სახელმწიფოს პრიორიტეტია შექმნილი ინსტიტუტების დახვეწა, განსაკუთრებით სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის პოლიტიკის განხორციელების პროცესში.

ქვეყანაში განხორციელებულმა სისხლის სამართლის პოლიტიკამ წინა პლანზე წამოსწია სასჯელის მიზნებზე მსჯელობა, განსაკუთრებით, კი მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია-რეაბილიტაციასთან მიმართებით და საკითხის აქტიალობიდან გამომდინარე, განხილულ იქნება მსჯავრდებული პირის რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მნიშვნელობა, მიზნები და ის ღონისძიებები რაც აუცილებელია აღნიშნული პროცესის ეფექტურობისთვის. აღნიშნული საკითხის რეგულირება განხილულ იქნება, როგორც მოქმედი ეროვნული კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სტანდარტებით. ამასთანავე ყურადღება დაეთმობა უცხოურ პრაქტიკას ხსენებული მიმართულებით და საბოლოოდ გაკეთდება დასკვნა, წამოჭრილი პრობლემების გადაჭრის გზების გათვალისწინებით.

ყოფილ პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისა პროგრამა ეს უნდა იყოს ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის მიმართულებით ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო პროგრამა ყოფილ პატიმართა დასახმარებლად. მისი მიზანია სასჯელაღსრულების დაწესებულებებიდან გათავისუფლებული პირების რეაბილიტაციის ხელშეწყობა, მათი დაბრუნება საზოგადოების სრულუფლებიან წევრებად და განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება.

როგორც მოგეხსენებათ, ადამიანის სოციალიზაცია ნიშნავს: ადამიანის საზოგადოების ნაწილად ქცევას, ადამიანის, ინდივიდის მიერ გარკვეული ცოდნის, ნორმების ფასეულობების სისტემის შეთვისების პროცესს, რაც საშუალებას აძლევს მას იქცეს საზოგადოების სრულფასოვან წევრად, ასევე მოიცავს, როგორც პიროვნებაზე მიზანმიმართულ ზემოქმედებას (აღზრდა), ასევე სტიქიურ, სპონტანურ პროცესებს,

რომლებიც გავლენას ახდენენ პიროვნების ფორმირებაზე. რეაბილიტაცია და რესოციალიზაცია კი, გულისხმობს დასჯილი ადამიანების სოციალურ ცხოვრებაში – საზოგადოებაში კვლავ ინტეგრირებას. შესაბამისად, დამნაშავის რესოციალიზაცია, ანუ გამოსწორება მოიაზრებს დამნაშავის პიროვნების ისეთ გარდაქმნას, როცა იგი აღარ არღვევს სისხლის სამართლის კანონს და პატივს სცემს ადამიანური თანაცხოვრების წესებს და მიზნად ისახავს საპატიმრო სასჯელის მოხდის შემდეგ, პირის თანდათან საზოგადოებაში ინტეგრაციას პედაგოგიკის, მედიცინისა და ფსიქოთერაპიის მეშვეობით.

რაც შეეხება რეაბილიტაციას, იგი გულისხმობს კონკრეტული პროგრამის მეშვეობით კონკრეტული შედეგის მიღწევას. მსჯავრდებულის რესოციალიზაცია უნდა განხორციელდეს, როგორც საპატიმრო, ისე არასაპატიმრო სასჯელების გამოყენებისას. ხოლო რესოციალიზაციის პროცესი უნდა განხორციელდეს, როგორც სასჯელის მოხდის პროცესში, ისე სასჯელის მოხდის შემდეგაც. შესაბამისად, მსჯავრდებულთა რესოციალიზაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდის პროცესს და სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის საქმიანობა მაქსიმალურად ორიენტირებული უნდა იყოს იმაზე, რომ ხელი შეუწყოს მსჯავრდებულს სასჯელის მოხდის შემდეგ საზოგადოებრივ ცხოვრების პირობებთან ადაპტაციაში. სწორედ ამიტომ, სახელმწიფოს მოვალეობას უნდა წარმოადგენდეს მსჯავრდებულის მიერ სასჯელის მოხდის პერიოდში შეუქმნას მას ყველა პირობა, რათა იგი საზოგადოებაში დაბრუნდეს უარყოფითი შედეგების გარეშე, როგორც პასუხისმგებლობით აღსავსე მოქალაქე, რომელიც ცხოვრებას დანაშაულის გარეშე გააგრძელებს.

რესოციალიზაციის მიზნის მიღწევა საკმაოდ რთული, კომპლექსური პროცესია, იგი სხვადასხვა ქმედებათა ერთობლიობით მიიღწევა. კერძოდ: პატიმრობის კანონმდებლობით ბრალდებულისათვის მინიჭებული უფლებების განხორციელება ერთ-ერთი ხელშემწყობია რესოციალისზაციისთვის. შესაბამისად, უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ბრალდებულის კანონით გათვალისწინებული ყველა უფლების რეალიზება.

პატიმრობის შესახებ კანონმდებლობით აღიარებულია ბრალდებულის უფლებები, ხოლო სახელმწიფომ აუციელებელია შექმნას ისეთი პირობები რაც გარანტირებულს გახდის ამ უფლებების განხორციელებას. როდესაც ვსაუბრობთ რესოციალიზაციაზე, აუცილებელია შენარჩუნებულ იქნეს მსჯავრდებულის კონტაქტი გარე სამყაროსთან, საზოგადოებასთან, რაც თავის თავში მოიაზრებს პაემნის უფლებას, სატელეფონო საუბრებსა და მიმოწერას, რომ მოხერხდეს ნათესავებთან და ახლობლებთან შეხვედრა და შესაძლებელი იყოს მუდმივი კონტაქტის დამყარება. მნიშვნელოვანია უზრუნველყოფილ იქნეს მსჯავრდებულის ისეთი უფლებები, როგორროცაა: საცხოვრებლით, კვებით, პირადი ჰიგიენით, ტანსაცმლით, შრომით, სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა, რათა არ მოხდეს მისი პიროვნების დეგრადირება და თავი იგრძნოს სრულფასოვან ადამიანად.

რესოციალიზაციის პროცესი ფაქტობრივად წარმოუდგენელია მსჯავრდებულისათვის კანონით გათვალისიწნებული ზოგადი და პროფესიული განათლების მიღების გარეშე, ვინაიდან განათლება არის რესოციალიზაციის პროგრამის ნაწილი და ამასთან აქვს მკაცრი აღმზრდელობითი ხასიათი. როგორც ენდროუ კოილი აღწერს, ციხეში მყოფი პირების უმეტესობას აქვე განათლების დაბალი დონე, ამიტომ სავარაუდოდ განათლების დაბალმა დონემ გავლენა მოახდინა მათ ცხოვრებაზე ციხეში მოსვლამდე და შეიძლება მათ მიერ დანაშაულის ჩადენაშიც დიდი როლი ითამაშა. შესაბამისად, განათლების მიღება აუციელბელია, რათა მსჯავრდებულს ჰქონდეთ რწმენა საკუთარი შესაძლებლობებისა, რომ განთავსიფულების შემდგომ ექნება განათლება/პროფესია, რაც დაეხმარება სამსახურის პოვნასა და შემოსავლის მოძიებაში. ამიტომ, როგორც ზოგადი,

ასევე პროფესიული განათლების მიღება ერთ-ერთი საფუძველია რომ მსჯავრდებულმა შეძლოს საზოგადოებაში ინტეგრაცია იმ მიღებული ცოდნისგან, რაც მან სასჯელის მოხდის პერიოდში შეიძინა. მსგავს გამოცდილებას კი მჯავრდებული მიიღებს, თუ ის გარდა კითხვისა, დაკავდება სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მუშაობით, ან სხვა საქმიანობით. მაგრამ აუცილებელია, მხედველბაში იქნეს მიღებული შესასრულებელი სამუშაოსა და პირის ფიზიკურ შესაძლებლობების შესაბამისობა და ჯანმრთელობის მდგომარეობაც.

მიუხედავად განათლებისა და პროფესიული ცოდნის მიღების მნიშვნელობისა, აღნიშნული მიმართულებით იკვეთება სხვადასხვა პრობლემები როგორიცაა: ბენეფიციართა ჩართვის დაბალი მაჩვენებელი, მოტივაციის ნაკლებობა, ბენეფიციართა შორის პროგრამების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, კურსების მოკლევადიანობა, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არასებობა და ა. შ. თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ შესაბამისი განათლების მიღების შემთხვევაშიც კი შემდგომ უკვე არსებობს დასაქმების პრობლემები, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორებთან, როგორიცაა: საზოგადოებაში არსებული სტიგმა, ნასამართლევის სტატუსი, სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების ჩამორთმევა ხანგრძლივი დროით (ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში) და ა. შ. შესაბამისად, ამ პრობლმების გადაჭრა მოითხოვს უფრო მეტ რესურსსა და ეფექტური გზების მოძიებას, რაც დროთა განმავლოვაში უნდა შემუშავდეს და მეტი ყურადღება დაეთმოს.

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ შესაბამისი განათლების მიღების შემთხვევაშიც კი შემდგომ უკვე არსებობს დასაქმების პრობლემები, რაც დაკავშირებულია სხვადასხვა ფაქტორებთან, როგორიცაა: ასევე, რესოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანია რეალიზებულ იქნეს მსჯავრდებულის უფლება მიიღოს მონაწილეობა რელიგიურ რიტუალებში, სპორტულ, კულტურულ, აღმზრდელობით და რელიგიურ ღონისძიებებში, ყოველდღიურად იმყოფებოდეს სუფთა ჰაერზე (ისარგებლოს გასეირნების უფლებით), რადგან ყოველივე აღნიშნული მნიშვნელოვანი ფუნდამეტია რესოციალიზაციის მიზნის მიღწევაში.

გათავისუფლებამდე ექვსი თვით ადრე დანაშაულის პრევენციის ცენტრის სოციალური სამუშაოს სპეციალისტები პენიტენციურ დაწესებულებებში უნდა ხვდებოდნენ მსჯავრდებულებს, აწვდიდნენ ინფორმაციას პროგრამისა და სერვისების შესახებ.

ყოფილ პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სპეციალურ პროგრამაში ყოფილი პატიმრების ჩართვა ნებაყოფლობითი უნდა იყოს. ცენტრის სერვისებით სარგებლობა უნდა შეეძლოთ როგორც პროგრამის ბენეფიციარებს, ასევე მათი ოჯახის წევრებს. პროგრამის ფარგლებში, სოციალური სამუშაოს სპეციალისტები ყოფილ პატიმრებთან უნდა მუშაობდნენ ასევე მათი გათავისუფლებიდან ორი წლის განმავლობაში. მათ სამიზნე ჯგუფს უნდა წარმოადგენდნენ პირები, რომლებიც წარსულში იხდიდნენ სასჯელს, ან აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებულ პატიმრობას საქართველოს, ან სხვა სახელმწიფოს პენიტენციურ დაწესებულებაში.

სოციალური სამუშაოს სპეციალისტები ბენეფიციართა საჭიროებებს უნდა გამოკვეთდნენ ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასების საფუძველზე და საჭიროებები-დან გამომდინარე, ბენეფიციარებს უნდა რთავდნენ სარეაბილიტაციო პროგრამებში.

რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბების მიზნით, ეტაპობრივად უნდა განხორციელდეს მომსახურებების მოძიება-განახლება ქვეყნის ყველა რეგიონში, რომელიც თავს იყრის მომსახურებების ბაზის ერთიან ელექტრონულ სისტემაში.

სერვისების განვითარების მიზნით უნდა არსებობდეს საგრანტო კონკურსი, რომელშიც გამარჯვებული ორგანიზაციები პროგრამის ბენეფიციარებს სთავაზობენ სხვადასხვა სახის მომსახურებას.

რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის მნიშვნელოვანია სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციის ჩართულობა, რისთვისაც ჩ ამოყალიბებულია რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის გაერთიანებული ჯგუფი.

ეს ჯგუფი ეტაპობრივად უნდა მართავდეს სამუშაო შეხვედრებს, მისი მუშაობის ფარგლებში უნდა შეიქმნეს რეაბილიტაცია-რესოციალიზაციის ერთიანი სამართლებრივი სახელმწიფო სტრატეგია.

მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის რეგულირება უნდა წარმოებდეს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

მსჯავრდებულთა შეფასება საზოგადოების უსაფრთხოების დაცვის მიზნით შემდეგი ინსტრუმენტების მიხედვით უნდა ხდებოდეს:

- მსჯავრდებულთა რისკებისა და საჭიროებების შეფასების ინსტრუმენტი – აღნიშნული ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა, ობიექტური შეფასების შედეგად დადგინდეს კონკრეტული მსჯავრდებულის რეციდივის ალბათობა;
- მნიშვნელოვანი ზიანის რისკის სკრინინგი – აღნიშნული ინსტრუმენტი ზომავს მსჯავრდებულის მიერ განმეორებით ჩადენილი დანაშაულის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი ზიანის რისკის დონეს, როგორც სხვა ადამიანების, ასევე საკუთარი თავის მიმართ;
- ძალადობის მსხვერპლი ქალების იდენტიფიცირების სკრინინგი – აღნიშნული ინსტრუმენტი საშუალებას იძლევა მოხდეს ქალ ბრალდებულების/მსჯავრდებულების იდენტიფიცირება იყო თუ არა ის ძალადობის მსხვერპლი და რა ტიპის დახმარება/მხარდაჭერას საჭიროებს.

პენიტენციურ სისტემაში სარეაბილიტაციო პროგრამები ძირითადად იყოფა სამ ნაწილად: ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამები, შრომა/დასაქმება და დამხმარე პროგრამები.

ძირითადი სარეაბილიტაციო პროგრამები შემდეგი ქვეჯგუფებისგან უნდა შედგებოდეს:

- დანაშაულზე ფოკუსირებული პროგრამები;
- დანაშაულთან დაკავშირებული პროგრამები;
- საბაზისო კლინიკური და სოციალური უნარების განვითარების პროგრამები;
- რესოციალიზაცია-რეინტეგრაციის პროგრამები;
- მოკლევადიანი ფსიქო-სოციალური ტრენინგები;
- საგანმანათლებლო პროგრამები;
- სახელობო-პროფესიული პროგრამები.

პენიტენციურ სისტემაში შრომა/დასაქმების მიმართულება სამი ტიპისგან შედგება:

- სამეურნეო საქმიანობა;
- ინდივიდუალური საქმიანობა ხელნაკეთი ნივთების შესაქმნელად;
- დასაქმების მინი საწარმოო კერები.

ამათ გარდა აუცილებელია დამხმარე პროგრამები და პროსოციალური აქტივობა. აღნიშნული მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებსაც პირდაპირი გავლენა არ აქვს დანაშაულის შემცირებაზე, მაგრამ მხარს უჭერს დაწესებულებაში ჯანსაღი გარემოს შექმნასა და პრო-სოციალური ქცევის მოდელირებას.

პიროვნების პოზიტიური ცვლილების დამხმარე საშუალებად ასევე გამოიყენება შემდეგი საშუალებები:

- ინტელექტუალური და შემეცნებითი შეხვედრები;
- კულტურული ღონისძიებები და კონკურსები;
- სარეკრეაციო პროგრამები;
- სპორტული ღონისძიებები.

ამდაგვარად, რესოციალიზაცია არის პროცესი, რომელშიც ადამიანი სწავლობს ახალ ნორმებს , ფასეულობებს და პრაქტიკას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი სოციალური მონაცემების გადაცემას მეორე პირზე. რესოციალიზაცია შეიძლება შეიცავდეს როგორც უმნიშვნელო, ისე ძირითად ცვლილებებს და შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი, ან არანებაყოფლობითი.

რესოციალიზაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც პროცესი, რომელიც ინდივიდს ანიჭებს ინდივიდუალურ ღირებულებებს, დამოკიდებულებებს და უნარებს, რომლებიც განისაზღვრება კონკრეტული დაწესებულების ნორმების შესაბამისად და პირი უნდა შეიცვალოს იმისათვის, რომ ადეკვატურად მოქმედებდეს ამ ნორმების შესაბამისად. რესოციალიზაცია არის პროცესი, რომლის დროსაც ადამიანს უნდა ასწავლოს ახალი ნორმები, ფასეულობები და პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს მათ გადასვლას ერთი სოციალური როლიდან მეორეზე. რესოციალიზაცია შეიძლება შეიცავდეს როგორც ცვლილების მცირე, ისე მნიშვნელოვან ფორმებს და შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი.

რესოციალიზაცია ასევე შეიძლება განისაზღვროს, როგორც პროცესი, რომელსაც ინდივიდი გადასცემს ამა თუ იმ დაწესებულების ნორმების შესაბამისად ადეკვატურად განსაზღვრულ ახალ მნიშვნელობებს, დამოკიდებულებებსა და უნარებს და ადამიანი უნდა შეიცვალოს, რომ ამ ნორმების შესაბამისად ადეკვატური ფუნქციონირება მოახდინოს. რესოციალიზაცია ასევე აუცილებელია იმ ადამიანებში, რომლებიც თავიდანვე არ იყვნენ სოციალიზირებულნი. ეს ასევე აქტუალურია იმ ადამიანებისთვის, რომელთაც არ უნდა მოუწიათ ქცევა სოციალურად ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, მაგალითად, პატიმრები, რომლებიც იმყოფებოდნენ მარტოობაში.

ასევე მნიშვნელოვანია ზრუნვა სპეციალურ ჯგუფებზე. პენიტენციურ სისტემაში არსებობენ მსჯავრდებულთა ჯგუფები, რომლებსაც გააჩნიათ განსხვავებული საჭიროებები, შესაბამისად, აღნიშნული საჭიროებების გათვალისწინებით, მათთან მუშაობა ხორციელდება განსხვავებული სპეციფიკით. პენიტენციურ სისტემაში შექმნილი უნდა იყოს არასრულწლოვან ბრალდებულ/მსჯავრდებულებზე ზრუნვის მაღალი სტანდარტი, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მათთან მომუშავე ყველა სპეციალისტს გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი გადამზადების კურსი. არასრულწლოვანი ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის სხვა ტიპიური მომსახურების გარდა ხელმისაწვდომი უნდა იყოს ზოგადი განათლების მიღება ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, რომლის განაყოფიც ფუნქციონირებს არასრუწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. დაწესებულებაში ხელმისაწვდომია სხვადასხვა სპორტული წრეები ჯანსაღი ცხოვრების წესის დასამკვიდრებლად, სპეციალურად არასრულწლოვნებისთვის კი, სარეაბილიტაციო პროგრამები და სხვა. მნიშვნელოვანია ქალი ბრალდებულ/მსჯავრდებულებისთვის კანონით გათვალისწინებული სპეციალური პირობებიც. პენიტენციურ სისტემაში ასევე მოწყვლადობით გამოირჩევიან ისეთი ჯგუფები, როგორიცაა: უცხო ქვეყნის მოქალაქეები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, ალკო/ნარკო დამოკიდებული მსჯავრდებულები, ხანდაზმულები და უვადო თავისუფლებააღკვეთილი პირები და სხვა.

მიუხედავად იმისა, რომ მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მზადება იწყება მასთან მუშაობის პირველივე დღიდან, პროცესი აქტიურ ფაზაში უნდა შედიოდეს, როგორც ნათქვამი იყო, ექვსი თვით ადრე, მსჯავრდებულის პირობით ვადაზე ადრე გათავისუფლების პირველი ვადის დადგომამდე.

გათავისულებისთვის მზადება დაგეგმილი პროცესია, რომელიც მოიცავს შემდეგ ასპექტებს:

- ოჯახური კავშირების გაუმჯობესება;
- მსჯავრდებულის პრაქტიკული ცხოვრებისეული უნარების გაუმჯობესება;
- კავშირები განათლების და დასაქმების შესაძლებლობებთან;
- მსჯავრდებულის მიერ მსხვერპლის/დაზარალებულის პერსპექტივის გააზრება;
- რეინტეგრაციის შესაძლებლობები.

უმნიშვნელოვანესია გათავისუფლების შემდგომი მხარდაჭერა და ზედამხედველობა, რადგან სწორედ გათავისუფლებიდან ერთიდან ორ წლამდე ყველაზე კრიტიკული პერიოდია დანაშაულის განმეორებით ჩადენის კუთხით. გარდამავალი მენეჯმენტი უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას და კოორდინირებულ მუშაობას პენიტენციური და პრობაციის სისტემების, დანაშაულის პრევენციის ცენტრის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტებს შორის. ასევე პირის წარმატებულ რესოციალიზაცია-რეინტეგრაციის პროცესს და დანაშაულის პრევენციას მსჯავრდებულისა და სხვა აქტორების ჩართულობით გათავისუფლებისთვის მზადებისა და შემდგომი პერიოდის კონსტრუქციული გეგმის შედგენა განსაზღვრავს.

ამავდროულად მთავარი მიზანი უნდა იყოს პენიტენციური დაწესებულებებიდან გათავისუფლებულ ყოფილ პატიმართა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაციის გზით დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკის შემცირება, კერძოდ, ისეთი აქტივობების განხორციელება და მომსახურების შეთავაზება, რომელთა არარსებობა შესაძლებელია ზრდიდეს დანაშაულის განმეორებით ჩადენის რისკს, ხოლო მათი მიწოდება ხელს უწყობს ამავე პირებს რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის სირთულეების დაძლევაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მსჯავრდებული პირის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია მეტად მნიშვნელოვანია დანაშაულის რეციდივის პრევენციისა და მსჯავრდებულის საზოადოებაში სრულფასოვან წევრად დაბრუნებისთვის. კანონთან კონფლიქტში მყოფი პირის წარმატებული რეაბილიტაცია-რესოციალიზაცია კი მრავალი ფაქტორის ერთობლიობაზეა დამოკიდებული: ლიბერალური სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა, სახელმწიფო უწყებათა ეფექტიანი ფუნქციონირება, საზოგადოების წევრების მხარდაჭერა და სხვა. საჭიროა კანონმდებლობის დახვეწა, ბენეფიციართა პროგრამებზე ხელმისაწვდომობისა და შესაბამისად აღნიშნული მიმართულებით ბიუჯეტის გაზრდა, ასევე ფსიქოლოგებისა და სოციალური მუშაკების მეტი ჩართულობა და მათი რაოდენობის გაზრდა. მნიშვნელოვანია სასჯელის მოხდის პერიოდი მსჯავრდებულის მიმართ არ მოხდეს სხვა უფლებების არაკანონიერი შეზღუდვა ან/და წართმევა და სასჯელის მოხდის პირობები ემსახურებოდეს მის პიროვნულ განვითარებას. ეფექტური კომპლექსური პროცესების წარმართვით კი საბოლოოდ შესაძლებელია მსჯავრდებულის რესოციალიზაცისა და რეაბილიტაციის მიზნის მიღწევა და პირის საზოგადოებაში სრულფასოვად წევრად დაბრუნება, რაც დადებითად აისახება და მკვეთრად შეამცირებს ქვეყანაში დანაშაულთა მაჩვენებელს.

პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია და მხარდაჭერა შემთხვევის მართვის მეთოდის მიხედვით მიმდინარეობს, რომელიც აქტიურად გამოიყენება სოციალურ მუშაობაში. პენიტენციურ სისტემაში აღნიშნული მეთოდით ხორციელდება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვა, რომელიც მოიცავს შეფასების, ინდივიდუალური გეგმის შედგენის, მომსახურების მიწოდებისა და მონიტორინგის ეტაპების უწყვეტ ციკლს. მსჯავრდებულის მიერ დანაშაულის ჩადენის ალბათობისა და მნიშვნელოვანი ზიანის რისკის პროგნოზირება შესაძლებელია შეფასების ეტაპზე. განახლებული შეფასების ინსტრუმენტების შედეგად ასევე ხდება კრიმინოგენური ფაქტორების განსაზღვრა, საჭიროებებისა და ძლიერი მხარეების გამოკვეთა, რომლის გათვალისწინებითაც დგება სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმა და შესაბამისი სარეაბილიტაციო მომსახურებების მიწოდება, რეციდივის რისკის შესამცირებლად და სამართავად.

ამდაგვარად, რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია არის პროცესი, რომელშიც ადამიანი სწავლობს ახალ ნორმებს, ფასეულობებს და პრაქტიკას, რომლებიც ხელს შეუწყობს მათი სოციალური გადაცემების გადაცემას მეორეზე. რესოციალიზაცია შეიძლება შეიცავდეს როგორც უმნიშვნელო, ისე ძირითად ცვლილებებს და შეიძლება იყოს ნებაყოფლობითი, ან არანებაყოფლობითი. პროცესი მერყეობს მხოლოდ ახალი სამუშაოს, ან სამუშაო გარემოზე მორგება.

რესოციალიზაცია და რეაბილიტაცია შეიძლება განისაზღვროს როგორც პროცესი, რომელიც ინდივიდს ანიჭებს ინდივიდუალურ ღირებულებებს, დამოკიდებულებებს და უნარებს, რომლებიც განისაზღვრება კონკრეტული დაწესებულების ნორმების შესაბამისად და პირი უნდა შეიცვალოს იმისათვის, რომ ადეკვატურად მოქმედებდეს ამ ნორმების შესაბამისად, რომლის დროსაც ადამიანს ასწავლიან ახალი ნორმებს, ფასეულობებს და პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს მათ გადასვლას ერთი სოციალური როლიდან მეორეზე. რესოციალიზაცია შეიძლება შეიცავდეს როგორც ცვლილების მცირე, ისე მნიშვნელოვან ფორმებს და უნდა იყოს ნებაყოფლობითი.



# გარემოს დაცვა - ადამიანის კეთილდღეობის გარანტი



## მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - - ეროვნული აღორძინების“

## ახალგაზრდული ორგანიზაციის წევრი

## ლუკა ენჯიბაძე

ტერმინი „ეკოლოგია“ ზოგჯერ ცნება გარემოს დაცვის აღსანიშნავადაც გამოიყენება, თუმცა ბოლო წლებში ამ ორი ტერმინის გამიჯვნის ტენდენცია მნიშვნელოვნად შეიმჩნევა, სადაც „ეკოლოგია“ აღნიშნავს ბიოლოგიის დარგს, ხოლო „გარემოს დაცვა“ - ადამიანის საქმიანობის შედეგად მისი გარემოს დეგრადაციასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ასევე, ცნობილია, რომ მდგრადი განვითარება — საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემაა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის კეთილდღეობას, ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შექცევადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი. მდგრადი განვითარება გულისხმობს ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოების კეთილდღეობას მოკლე, საშუალო და, რაც მთავარია, ხანგრძლივი ვადით. იგი ეფუძნება პრინციპს, რომლის თანახმად, დღევანდელობის მოთხოვნილებები უნდა დაკმაყოფილდეს ისე, რომ საფრთხე არ შეექმნას მომავალ თაობებს. მდგრადი განვითარება გულისხმობს პირობების შექმნას გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისათვის გარემოს დაცვის საკითხების მაქსიმალური გათვალისწინებით.

ბუნებრივი რესურსები — ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ბუნებრივი ელემენტებია, რომლებსაც იყენებენ საწარმოო ძალთა განვითარების მოცემულ ეტაპზე ადამიანთა საზოგადოების მატერიალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

ბუნებრივი რესურსების ძირითადი სახეობებია:

წიაღისეული, კლიმატური, წყლის, ნიადაგის, მცენარეული, ფაუნისტური რესურსები, ატომური პლანეტურ-კოსმოსური რესურსები - ბირთვული, გეოთერმული, ზღვის მიმოქცევისა და სხვა ენერგიის წყაროები. ჩვენს ეპოქაში ბირთვული ენერგეტიკული, რაკეტული ტექნოლოგიური, რადიოელექტრონიკის სწრაფმა განვითარებამ ბუნებრივი რესურსების უმნიშვნელოვანეს სახეობად აქცია რადიოაქტიური, ლითონური და არალითონური ელემენტები. ტექნიკური პროგრესი ზოგჯერ თიშავს კიდეც ამა თუ იმ ბუნების ელემენტს ბუნებრივი რესურსების შემადგენლობიდან, მაგალითად, მცირე საბადოებმა, წყლის ნაკადებმა, მიწის პატარა სავარგულებმა და ა. შ. თანამედროვე ტექნიკურ პირობებში დაკარგეს თავიანთი პირვანდელი მნიშვნელობა. მატერიალური დოვლათის წარმოების პროცესში ადამიანი აქტიურად ზემოქმედებს ბუნების ცალკეულ ელემენტზე და ცვლის ბუნებრივი რესურსების მთელ კომპლექსს. ბუნებრივი რესურსების ერთი ნაწილი გამოულეველია, რადგან მათი სწორი ექსპლუატაციის კვალდაკვალ თვითგანახლებაც ხდება. არის ისეთი ბუნებრივი რესურსებიც, რომელთა მარაგი თანდათან კლებულობს და საბოლოოდ ამოიწურება.

ამიტომ ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება კაცობრიობის უპირველესი საზრუნავია. თანამედროვე სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუცია კიდევ უფრო აფართოებს ბუნებრივი რესურსების გამოყენების სფეროს და საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ბუნებრივი რესურსების ახალ-ახალი სახეობები. სწრაფი ეკონომიკური ზრდა საქმის ერთი მხარეა, მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ და აუცილებლად გავითვალისწინოთ, რომ ეკონომიკურ განვითარებას თან მოსდევს საწარმოო და სამომხმარებლო – ორგანული, არაორგანული, ქიმიური და მრავალი სხვა სახის – ნარჩენების ზრდა. როდესაც სწრაფ ეკონომიკურ განვითარებაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ ის შესაძლო თანამდევი ნეგატიური გავლენა, რაც სწრაფმა ეკონომიკურმა ზრდამ შეიძლება მოახდინოს საქართველოს ეკოლოგიურ გარემოსა და ბუნებრივ რესურსებზე. ნებისმიერი ქვეყანა ფასეულია იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნის მოსახლეობა უფრთხილდება გარემოს და თავის ბუნებრივ რესურსებს. თუ არ ხდება გარემოს მოვლა და დაცვა, მაშინ ამ ქვეყნის ფასეულობა მკვეთრად მცირდება, რადგან ასეთი ქვეყანა, უპირველეს ყოვლისა, სიცოცხლისთვის და შემდგომ ეკონომიკური აქტივობისათვის უვარგისია. თუ საქართველოს უახლეს ისტორიას გადავხედავთ, არა მარტო ახლა, არამედ საბჭოთა დროსაც ინდუსტრიული წარმოება არ იყო განვითარებული, გარდა რამდენიმე სამრეწველო ქარხნისა. ცხადია, საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად ამ ქარხნებმაც თითქმის სრულად შეწყვიტეს ფუნქციონირება. გარემოზე ზემოქმედების კუთხით ამ ქარხნების უმრავლესობას არ ჰქონდა დიდი საწარმოო ნარჩენი და, შესაბამისად, ნაკლები იყო გარემოზე ზემოქმედება, რადგან ამ ქარხნების უმრავლესობაში საწარმოო პროცესების უდიდესი ნაწილი დამზადებული შემოსული ნაწილების აწყობაში მდგომარეობდა. ამ თვალსაზრისით ქვეყანას საწარმოო ნარჩენების დიდი რაოდენობა არ ჰქონდა. თუმცა, მეორეს მხრივ, სწორედ ამიტომ, ქვეყანაში არ იყო განვითარებული ინდუსტრიები და შესაბამისად, დასაქმების დიდი ბაზა.

დღეს საქართველოში არა გვაქვს ბევრი ინდუსტრიული საწარმო და ნულიდან ვქმნით მათ. ახალი საწარმოები უნდა დაიგეგმოს და შეიქმნას ეკოლოგიური ფაქტორებისა და სტანდარტების დაცვით, ხოლო ეკოლოგიური საკითხები კი, იმთავითვე, წარმოების შექმნისთანავე უნდა გადაწყდეს. საქართველოში სუფთა და სასიცოცხლოდ შესაძლებელი გარემოს მოთხოვნის უფლება უნდა ჰქონდეს ყველას, ვისაც ამ ქვეყანაში სურს ცხოვრება, ხოლო სუფთა გარემოზე ზრუნვა და მისი შენარჩუნება უნდა იყოს ვალდებულება ყველასათვის, ვისაც ამ ქვეყანაში სურს ეკონომიკური აქტივობა და გარემოზე ზემოქმედებით ეკონომიკური სარგებლის მიღება. სამწუხაროდ, დღეს ჩვენთან ეს უფლება-ვალდებულებები აღრეულია. აუცილებელია გონივრული და გააზრებული საკანონმდებლო რეგულაციის შემოღება, რომელიც, ერთისმხრივ, უზრუნველყოფს გარემოს დაცვას, მასზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირებას და, მეორესმხრივ, კი, წაახალისებს შესაბამის ინვესტიციებსა და ეკონომიკურ აქტივობებს. ამავდროულად, თუ არ იქნება საკანონმდებლო ბაზა, არც ერთი ინვესტორი თავისი ინიციატივით ეკოლოგიური საშიშროების რისკებს არ გაითვალისწინებს. ეკოლოგიური სტანდარტები და შესაბამისი საბაჟო რეგულაციები უნდა გავრცელდეს იმპორტირებულ პროდუქტებზეც, ისე როგორც ეს ხდება ევროგაერთიანების ქვეყნებში საქონლის ექსპორტის დროს. მნიშვნელოვანია, რომ საკანონმდებლო რეგულაციები შემუშავდეს და დაინერგოს არა ხისტად და ფორმალურად, არამედ თანამიმდევრულად და შედეგზე ორიენტაციით. მნიშვნელოვანია ასევე ნარჩენების საკითხი. დაბინძურებული ჰაერის პარალელურად ნარჩენების მართვა ყველაზე პრობლემატური საკითხია ჩვენს ქვეყანაში. ადამიანის ფუნქციონირებისას წარმოქმნილი მზარდი ნარჩენების გადამუშავება საქართველოში ძალიან არაეფექტიანად არის ორგანიზებული. არაგვაქვს ნარჩენების სორტირებისა და ნაგავსაყრელებზე მათი გადამუშავებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა. სამომხმარებლო, თუ საწარმოო ნარჩენი არ ნიშნავს იმას, რომ ის უფასოა. მისი გადამუშავება ორგანიზებასა და ხარჯებთან არის დაკავშირებული. ნებისმიერ დიდ, თუ პატარა ქალაქში ნარჩენების მართვა კარგ შემთხვევაში შემოიფარგლება მათი შეგროვებითა და ქალაქგარეთ მათი ტრანსპორტირებით. უმეტეს შემთხვევაში ნარჩენები კონცენტრირებულია ღია ცის ქვეშ და ქარის დროს ეს ნარჩენები დიდ მანძილზე მიმოიფანტება. მეორეს მხრივ ჩვენთან მიიჩნევა, რომ თუ ნარჩენი მიწაში დაიმარხა –

პრობლემა მოგვარდა. ის, რომ ნარჩენი მიწაში დავმარხეთ და მის არსებობას ყნოსვით ვერ ვგრძნობთ და ვერ ვხედავთ, არ ნიშნავს, რომ პრობლემა მოგვარდა. პირიქით, ნარჩენების დამარხვით იწყება ყველაზე სავალალო ეკოლოგიური პრობლემა. ნარჩენის დამარხვით ზიანდება და იწამლება ნიადაგი და, რაც ყველაზე მთავარია, ბინძურდება ჩვენი ერთ-ერთი ყველაზე დიდი სიმდიდრე – მიწისქვეშა წყლები და არა მარტო მიწისქვეშა წყლები, არამედ მიწისზედა წყლებიც – მდინარეები და ტბებიც – სერიოზული საფრთხის წინაშე დგანან, რადგან მათთან განუკითხავად მიერთებულია საკანალიზაციო და საწარმოო გამდინარე ნარჩენების მილები. შედეგად იწამლება როგორც მიწისზედა, ასევე მიწისქვეშა წყლები – ჩვენი საუკეთესო აქტივი და სიმდიდრე.

ასევე, მნიშვნელოვანი და აქტუალურია ტყე და ეკოსისტემა: მიუხედავად ყოველწლიური განხილვებისა და დოკუმენტურად გაწერილი რეფორმებისა, სატყეო პოლიტიკა არა გვაქვს, რამდენადაც ტყის მართვის, მომსახურებისა და ადმინისტრირების კუთხით ვართ იქ, სადაც ვიყავით ოცდაათი წლის წინ. აუცილებელია, არსებობდეს ტყის ადმინისტრირების, მომსახურებისა და მართვის კონცეფცია. საკანონმდებლო დონეზე საჭიროა ტყის პოლიტიკის შემუშავება და კანონმდებლობის ეფექტიანი აღსრულებისათვის შესაბამისი ფუნქციების დანერგვა. ტყის კონცეფცია და პოლიტიკა მიზნად უნდა ისახავდეს ტყის რესურსების რეკრეაციული გამოყენების წახალისებას, სამონადირეო მეურნეობების განვითარებას, რეგიონალური განვითარებისათვის ტყეების ფუნქციის გაზრდას, სატყეო ტურიზმის განვითარებას, სოფლებში ტყის რესურსის ენერგიის წყაროდ გამოყენების შემცირებას, ადგილობრივ და ცენტრალურ დონეზე სატყეო მეურნეობებიდან შემოსავლების გაზრდასა და რეგიონალურ განვითარებას, სატყეო წყალშემკრებების მართვას, კატასტროფებისა და ხანძრების რისკების შემცირებას, ტყის მერქნული და არამერქნული რესურსის ეფექტიან მართვასა და ტყის ბიომასის გამოყენებას. მას შემდეგ, რაც შემუშავდება ეფექტიანი და გრძელვადიანი სატყეო კონცეფცია. მთავარი ვალდებულება უნდა იყოს ტყის განახლება, განვითარება და შენარჩუნება. უნდა შემუშავდეს ტყის განახლებისა და მისი შენარჩუნების რეალური გეგმები და მყარი გარანტიები. უნდა აღინიშნოს, რომ ტყის ნაწილის განკერძოება არ ნიშნავდეს იმას, რომ იქ შესვლას მფლობელის გარდა ვერავინ შეძლებს. ტყე შეიძლება იყოს კერძო, თუმცა საზოგადოებისათვისა და სახელმწიფოსათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს. არ უნდა დავუშვათ ის შეცდომა, რომელიც მოხდა ჰიდროელექტროსადგურების ასაშენებლად გაურკვეველი და ხშირ შემთხვევაში საეჭვო რეპუტაციისა და შესაძლებლობების „ინვესტორებთან“ მემორანდუმების გაფორმების დროს. ტყის მფლობელის შერჩევა უნდა მოხდეს სახელმწიფოს მაღალი სტანდარტების მიხედვით, ნათლად გაწერილი საინვესტიციო ვალდებულებებითა და ამ ვალდებულებების შესრულების ეფექტიანი მონიტორინგის სისტემით. ტყე საქართველოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და ეკოლოგიური აქტივია. მას, უპირველეს ყოვლისა, დაცვა-შენარჩუნება, შემდეგ კი, სწორი პოლიტიკისა და განკერძოების გზით განახლება და განვითარება სჭირდება. სახელმწიფოს სწრაფი ეკონომიკური ზრდა-განვითარება ყველაზე აქტუალური ამოცანაა სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით, თუმცა, მიუხედავად ამ საკითხის პრიორიტეტულობისა, სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიღწევა გარემოს დაბინძურების ხარჯზე დაუშვებლად უნდა მიიჩნეოდეს. ამავე დროს, ბევრი ქვეყნის გამოცდილებით დასტურდება, რომ სწრაფი ეკონომიკური ზრდა სუფთა ეკოლოგიურ გარემოს არ გამორიცხავს. საჭიროა თანამიმდევრული მიდგომა და არსებული გამოცდილებების გამოყენება. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ცხოვრებისათვის ჯანმრთელი და სასიამოვნო ეკოლოგიური გარემოს შექმნა ისევ და ისევ ჩვენთვის და არა კონკრეტული საერთაშორისო შეთანხმებებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისათვის.

გარემოს დაცვითი მეცნიერება ყოველთვის ყურადღებას უნდა ამახვილებდეს გარემოს ურთიერთქმედების ფიზიკურ, ქიმიურ და ბიოლოგიურ კომპონენტებს შორის, მათ შორის ყველა ორგანიზმზე. გარემოს დაცვითი მეცნიერებები ასევე უნდა მოიცავდეს ადამიანის მოსახლეობის გავლენას ეკოსისტემაზე, გლობალური დათბობის დიდ გავლენას დიდ მასშტაბზე, ურბანული ცხოვრების გავლენას გარემოსდაცვითი ცვლილებებისა და მდგრადობის ზომებზე. ეკოლოგიაში ჩართული უნდა იყოს ურთიერთქმედება, ადაპტაცია, ეკოსისტემებში ცვლილებები და გარე

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ მოსახლეობაზე. გარემოს დაცვის მეცნიერები უნდა აანალიზებდნენ პროცესებს მსოფლიოში, აფასებდნენ ალტერნატიული ენერგიის სისტემებს.

გარემოს დაცვა გულისხმობს ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მიზნად ისახავს ადამიანის და ბუნების სასიცოცხლო საფუძვლების მთლიანობაში შენარჩუნებას და გარემოს არსებული დაზიანებების აღმოფხვრას. აქ წინა პლანზე დგას ადამიანის მიერ გამოწვეული ზიანის შეზღუდვა და გარემოზე ზემოქმედება. ცხოველთა და ბუნების დაცვისაგან განსხვავებით, გარემოს დაცვა კონცენტრირდება არა გარკვეული ლანდშაფტების, ან ცალკეული საფრთხეში მყოფი ცხოველებისა თუ მცენარეების დაცვაზე, არამედ ზრუნავს ბუნებრივი სასიცოცხლო საფუძვლების ერთი მთლიანობის შენარჩუნებაზე ყველა ცოცხალი არსების კეთილდღეობისათვის. ადამიანი ცხოველებისა და მცენარეებისაგან განსხვავებით არ არის შეგუებული რომელიმე გარკვეულ გარემოს, იგი გარემოს ტექნიკის დახმარებით თავისი მოთხოვნილებების მიხედვით აფორმირებს, მას შეუძლია ბუნებრივად მოცემული საცხოვრებელი პირობები შეცვალოს რითაც ხშირად არღვევს ეკოლოგიას. გარემოს დაბინძურება წარმოიშვება არა მარტო ინდუსტრიული წარმოებისას, არამედ გარემოს საყოფაცხოვრებო პირობებში ენერგიის გამოყენებით, გათბობის მოწყობილობათა გამონაბოლქვებით, ისევე როგორც ნაგვითა და ქიმიური ნივთიერებებით და სასმელი წყლის გაფლანგვით. ერთ-ერთ ყველაზე ძნელად გადასაჭრელ პრობლემას წარმოადგენს წყლის და ჰაერის დაბინძურება, ენერგიის და ფართობის გადამეტებული გამოყენება, ისევე როგორც ტრანსპორტით გამოწვეული ხმაურის პრობლემა. ამ დროს, მნიშვნელოვანია, გარემო და ადამიანის უფლებები, რომელიც უშუალოდ მიმართულია ჯანმრთელი გარემოს უფლებისკენ, რამეთუ ჯანმრთელობისთვის უვნებელ გარემოში ცხოვრება ადმიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. ამ უფლების დაცვა კი, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

როგორც ცნობილია, ადამიანის ჯანმრთელობისთვის რისკის შემცველ გარემო ფაქტორებს ასევე მიეკუთვნება: ქიმიური და ბიოლოგიური რეაგენტებით დაბინძურებული ჰაერი, წყალი და ნიადაგი; ულტრაიისფერი მაიონიზირებელი გამოსხივება; ხმაური და ელექტრომაგნიტური ველი; პროფესიულ საქიანობასთან დაკავშირებული რისკები; ადამიანის ზემოქმედების შედეგად გამოწვეული კლიმატის ცლილება; ეკოსისტემების ცლილება და სხვა. ეკოლოგიური და ფიზიკური სისტემების სტაბილურობისთვის გვჭირდება მდგრადი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული გარემოსდაცვითი პოლიტიკა. მხარდაჭერილი უნდა იყოს ყველა ის საკანონმედებლო ინიციატივა, თუ სამთავრობო ქმედება, რომელიც მიმართული იქნება ადამიანზე გარემოს ზიანის მიმყენებელი რისკების შემცირებაზე: განახლებადი ენერგიების ფართოდ გამოყენების ხელშეწყობა; ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემცირება; წყლისა და ნარჩენების მენეჯმენტის გაუმჯობესება; ქალაქებში მწვანე ნარგავების კვოტების დადგენა; მწვანე საფარის აღდგენა და ახლის გაშენება; დაცული ტერიტორიების სისტემის გაძლიერება; კერძო სექტორისთვის სამოტივაციო სისტემების შექმნა და სხვა. სიჯანსაღესთან ერთად საჭიროა საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა, რისთვისაც აუცილებელია სტიქიური მოვლენების პროგნოზირების, თავიდან აცილების, მათთან გამკლავების, მოსახლეობის ინფორმირების და განათლების ეფექტური სისტემის ქონა. ეფექტურად და ეფექტიანად უნდა გამოვიყენოთ ბუნება ისე, რომ მას ნაკლები ზიანი მიადგეს.

უნდა შემუშავდეს ელექტროენერგეტიკისა და განვითარების სტრატეგია, უარი უნდა ითქვას გიგანტური ჰესების მშენებლობაზე და დაიწყოს არსებული ჰესების რეაბილიტაცია-გაწმენდის პროგრამა, რაც გაზრდის ენერგიის გამომუშავებას. ჰესების მშენებლობისას გათვალისწინებული უნდა იყოს რეგიონის ბუნებრივი გარემო და იქ მცხოვრებთა ინტერესები. სახელმწიფომ უნდა დაიწყოს ენერგორესურსის თვითგამომუშავების სტიმულირება, რისი პოტენციალიც საქართველოში მაღალია. ასევე, უნდა დაიწყოს ალტერნატიული ენერგიის წყაროების ათვისება. ქვეყანაში უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შესაქმნელად აუცილებელია კომპლექსური ღონისძიებების გატარება. პირველ რიგში, საკანონმდებლო დონეზე უნდა დაიხვეწოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ლიცენზიების გაცემის ტყის, ბიომრავალფეროვნების დაცვის, ნარჩენების მართვის, წყლის, სივრცითი დაგეგმვის და სხვა კანონმდებლობები. სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა და მისი აღორძინება არის უპირველესი გარანტი, რომ საქართველოში არ გაიჩეხება ტყეები, არ შემოვა ტყვიის შემცველობის

სახვავი, არ მოხდება წიაღისეულის მოპოვება ღია, დამანგრეველი მეთოდით და მოგვარდება სხვა მრავალი პრობლემები.
საქართველოში ერთ-ერთ გარემოსდაცვით პრობლემა - გარემოს დაბინძურება ნარჩენებითა და ქიმიური ნივთიერებებით კომპლექსურია და მოიცავს გარემოს დაბინძურებას საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, მოუწესრიგებელი ნაგავსაყრელებიდან, ასევე სახიფათო და აკუმულირებული ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს. უკონტროლოდ დაყრილი საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების ძირითად მიზეზს ნარჩენების შეგროვების სისტემის მოშლა წარმოადგენს. გარემოს დაბინძურების მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს აგრეთვე ვადაგასული სასოფლო-სამეურნეო ქიმიკატები, განსაკუთრებით პესტიციდები. აუცილებელია აღნიშნული ნარჩენების გაუვნებელყოფის საკითხის გადაწყვეტაც.

საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობით, რელიეფით, ჰიდროგრაფიული ქსელით და გარემო პირობებით, მოწყვლადია როგორც ბუნებრივი (მიწისძვრა, მეწყერები, ღვარცოფები, გვალვები, ზვავები და წყალდიდობები), ისე ანთროპოგენული კატასროფებისადმი (სატრანსპორტო და საწარმოო ავარიები). ამას ემატება ბუნებრივ რესურსებზე მაღალი ანთროპოგენული ზეწოლა, რაც ქმნის ხელსაყრელ პირობებს ბუნებრივი კატასტროფების პროვოცირებისთვის.

ზემოგანხილულ პრობლემებს მნიშვნელოვნად აერთიანებს ერთი ფაქტორიც, ესაა საზოგადოების ჩართულობისა და გარემოსდაცვითი პრობლემებით დაინტერესების დაბალი დონე. ეს უმეტესად გამოწვეულია ორი მიზეზით – მექანიზმების არარსებობითა და ქვეყანაში მონაწილეობითი დემოკრატიის სუსტი განვითარებით.

ამრიგად, მოცემულიდან გამომდინარე, საქართველოში აუცილებელია გაჩნდეს პოლიტიკური ნება, რომ დაიწყოს „მწვანე ეკონომიკის“ ისეთი პრინციპების ადაპტირება, როგორიცაა მდგრადი განვითარება, სიღარიბის აღმოფხვრა, დოვლათის სამართლიანი გადანაწილება და ა. შ. აქედან გამომდინარე საჭიროა საფუძვლიანად გადაიხედოს და შესწორდეს საქართველოს სამართლებრივი სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, გაკეთდეს პროექტების ხარჯთსარგებლიანობის ანალიზი. აუცილებელია სახელმწიფომ გაზარდოს განათლების საბიუჯეტო დაფინანსება, ხელი შეუწყოს კვლევით მეცნიერებასა და ტექნოლოგიურ პროგრესს, რაც შექმნის მყარ ფუნდამენტს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და სამოქალაქო საზოგადოების გასაძლიერებლად, მოსახლეობის მხრიდან პრობლემების ადეკვატურად, სიღრმისეულად აღსაქმელად და რაც მთავარია გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მათ დასაბრუნებლად. პარალელურად აუცილებელია მედიისა და კომუნიკაციის სხვადასხვა მეთოდების გამოყენება გარემოს დაცვის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად.

საქართველოს უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას საფრთხეს უქმნის როგორც კლიმატის ცვლილება, ასევე ბუნებრივი რესურსების გადაჭარბებული მოხმარება, გარემოს დაცვის საკითხებში თანმიმდევრული პოლიტიკის ნაკლებობა, ურბანული განვითარებისა და ნარჩენების მართვის თანამედროვე მოდელების დანერგვის შეფერხება და გარემოსდაცვით საკითხებში საზოგადოებრივი ცნობიერების დაბალი დონე. ენერგეტიკის სექტორში საქართველოს მიზანია გრძელვადიანი ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღწევა, თუმცა ქვეყანა კვლავ დამოკიდებულია იმპორტირებულ რესურსებსა და წიაღისეულ საწვავზე. პრობლემად რჩება განახლებადი ენერგიის არასაკმარისი გამოყენება და ენერგორესურსების ნაკლებ ეფექტიანი მოხმარება და წარმოება.

იმედია, საქართველოს სახელმწიფო დაძლევს ზემოთ თქმულ ეკოლოგიურ და გარემოსდაცვით პრობლემებს და გარემოს დაცვის საკითხი ნამდვილად გახდება ადამიანის კეთილდღეობის გარანტი.



# მოგონებები მომავალზე



**„საქართველოს ჰელსინკის კავშირი –**
**– ეროვნული აღორძინების"**
**იურიდიული დეპარტამენტისა და**
**ადამიანის უფლებების**
**დაცვის კომიტეტის წევრი**

**არასამთავრო ორგანიზაცია**
**„ღირსება = თავისუფლება"**
**თავმჯდომარე**

**ქალბატონი ნინო რაზმაძე**

თანამედროვე ქართული სამართლის საკითხები კვლავაც სამართალმცოდნე საზოგადოებრიობისა და პოლიტიკოსების ცხოველ ინტერესს იწვევს. ეს მოვლენა გამოწვეულია არა მარტო ქართველ სამართალმცოდნეთა და პოლიტიკოსთა დამახასიათებელი ცოდნის წყურვილით, არამედ თვით ქართული სამართლის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის დაჩქარებული განვითარებით, რომელიც, თავის მხრივ, ზოგადი ვითარების გამოძახილია, რაც სამართლის მეცნიერებისაგან მოითხოვს პასუხი გასცეს თანამედროვეობის გამოწვევებს. როგორ ვითარდება თანამედროვე ქართული სამართალი, როგორ ცდილობს იგი დასძლიოს წარსულის უარყოფითი მემკვიდრეობა, შეავსოს უცხო იდეოლოგიური ტერორით გამოწვეული ხარვეზები, ნათელი გონებით, შემოქმედებითი განწყობით შეეგებოს კონტინენტური, თუ თანამედროვე მსოფლიოს სამართლის ნოვატორულ შემოღწევას საქართველოში?!

სწორედ, ამ კითხვებზე პასუხის გაცემას ისახავს ამოცანად ეს სტატიაც.

ისტორიულად, დამპყრობლებისა და მტრების შემოსევების ყველა ეტაპს, საქართველოში თან ახლდა ტერიტორიების დაკარგვა, ეროვნული ცნობიერებისა და სარწმუნოების დევნა, გარეშე, თუ შიგა მტრების მიერ ყოველთვის გააფთრებული თავდასხმები და აგრესია ხორციელდებოდა ქართული ეროვნული იდეოლოგიის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და ეროვნული ცნობიერების წინააღმდეგ.

ეს აგრესია განსაკუთრებით გამძაფრდა და გაძლიერდა ჯერ ანტიეროვნული, სამხედრო-კრიმინალური, სახელმწიფო გადატრიალებისა და შემდგომ ანტიეროვნულ-გლობალისტურ-კომპრადორული რეჟიმის ზეობისას. ამას ქართველი ხალხი, სამშობლოსა და ქართველი ერის გადასარჩენად, ქვეყანაში ლეგიტიმური, კონსტიტუციური, სამართლებრივი ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობის დაწყებით პასუხობდა და იმარჯვებდა. ქვეყანაში შექმნილი ვითარება კრიტიკულ ზღვარს გადასცდა. საქართველოსთვის ამ ავბედით ეტაპზე სამართლებრივი და კონსტიტუციური ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საყოველთაოდ დაწყება ქვეყანას ისე სჭირდება, როგორც არასდროს.

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეობის ისტორიულობა და მისი ეგზისტენციალური დრო კი, არ შეწყვეტილა. იგი გაგრძელდება მანამდე, სანამ საქართველო არ განმტკიცდება თავის თავისუფლებაში ყველა — პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გეოპოლიტიკური ასპექტით. შესაბამისად

უწყვეტია მისი ისტორიულ-თემატური დრო და ამ დროში მის მიერ დატოვებული კვალიც, რომელიც მომავალშიც გაგრძელდება.

აი, სწორედ ამისთვის ოცდაათ წელზე მეტია, დღემდე კვლავ ბრძოლის ველზეა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა თავისი ინსტიტუციებითა და სტრუქტურებით. მიღებულ იქნა და გამოქვეყნდა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მანიფესტი, მემორანდუმი, ქარტია, დეკლარაცია, მიმართვები და განცხადებები, რომელთა საშუალებით არაერთხელ გაცხადებულა, რომ უმნიშვნელოვანესია საქართველოში ლეგიტიმურობის აღდგენის, ეროვნული ხელისუფლებისა და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ურთიერთდამოკიდებულების შესახებ საკითხები.

აქედან გამომდინარე კი, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დღევანდელ ერთ-ერთ მიზანს, ეროვნულად მოაზროვნე ძალების გადარჩენა, კონსოლიდაცია და საქართველოს გადარსაჩენად დარაზმვა წარმოადგენს.

ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას სიცოცხლეში და დღესაც საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საბრძოლო იარაღია ორლესული მახვილი მხილებისა, რამეთუ ლეგიტიმურობის აღდგენისათვის ბრძოლას გამუდმებით თან უნდა ახლდეს დღემდე არსებული ფაქტობრივი რეჟიმებისა და მათი ანტიეროვნული, გლობალისტური, კომპრადორული პოლიტიკის მხილება.

ასევე უნდა გვახსოვდეს, რომ ლეგიტიმაციის აღდგენის გარეშე ქართული სახელმწიფოს გადარჩენა და აღორძინება შეუძლებელია, რამეთუ, „ხელისუფლება” ნიშნავს ლეგიტიმურ ხელისუფლებას, კანონიერ ხელისუფლებას და არა უკანონო, ყაჩაღურ, უზურპატორულ ხელისუფლებას, რომელიც ეშმაკისაგან არის და არა ღვთისაგან“ (ზვიად გამსახურდია).

ასევე, საქართველოს ეროვნულ-განმათავისულებელი მოძრაობის მიზანია დაამკვიდროს ქვეყანაში მშვიდობა, ურთიერთგაგება, მონანიებისა და მიტევების გზით ხელი შევუწყოთ ეროვნული თანხმობისა და შერიგების პროცესს. მხოლოდ სახელმწიფოებრივი აღდგენა-აღორძინებისა და განვითარების ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით მიღწეული სრული, ჭეშმარიტი ეროვნული თანხმობა და შერიგება წარმოადგენდეს ერთადერთ სავალდებულო პოზიციას სახელმწიფოს ყველა მოქალაქისათვის, პოლიტიკური, თუ არაპოლიტიკური ორგანიზაციებისათვის და ეს ბრძოლა გავაგრძელოთ უნდა მანამ, სანამ ქართველ ხალხს არ ეყოლება ერის ნების გამომხატველი სამართლებრივი, კანონიერი, ეროვნული, ლეგიტიმური ხელისუფლება და მიგვაჩნია, რომ სხვა გზა არის გათიშულობის, დაპირისპირების და კონფრონტაციის გზა.

აუცილებელია სახელმწიფოებრიობის სამართლებრივი წყვეტის აღმოფხვრა და მომავალი ლეგიტიმირებული, სამართლებრივი საყოველთაო არჩევნების დანიშვნა, რამეთუ სწორედ ასეთ არჩევნებში მონაწილეობის მიღებასა და გამარჯვებას აქვს აზრი. მხოლოდ მას შემდეგაა რეალური და უცილობელი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ემიგრანტთა, ლტოლვილთა და დევნილთა მშობლიურ კერაზე დასაბრუნებლად ხელსაყრელი პირობების შექმნა.

ასეთ ვითარებაში, საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლეგიტიმური საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ ამახვილებს მამულიშვილთა ყურადღებას ქართული ეროვნული იდეოლოგიისა და ეროვნული მოძრაობის, ეროვნული ცნობიერების დაცვის, აპოლოგიის აუცილებლობაზე და მოუწოდებს მათ მჭიდროდ ითანამშრომლონ ამ მიმართულებით სამართლებრივ და ლეგიტიმურ საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საკოორდინაციო საბჭოსთან.

საქართველოს ეროვნულ-გამანთავისულებელი მოძრაობა და მის ინსტიტუციებთან - საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან და მმართველ პოლიტიკურ პარტიასთან „საქართელოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინებასთან“ ერთად არის პოლიტიკური საფუძველი ლეგიტიმური ხელისუფლებისა.

ამდენად, ჩვენ ვერ ვიბრძოლებთ დამპყრობელთა კარგი ხელისუფლებისათვის. ჩვენი მიზანია ქართველი ერის ნების გამომხატველი ხელისუფლება, რომლის მოსვლაც შესაძლებელი გახდება ეროვნული თანხმობის პირობებში.

შეიძლება დღეს ფანტასტიკურად ჩანდეს, მაგრამ როცა ჩვენ მთელი ერის ძალას შევკრებთ და ფაქტობრივ ხელისუფლებას ვაიძულებთ თავიანთი უცხოელი „უფროსების" ნებართვის გარეშე, ან თუნდაც ნებართვით დასხდნენ მოლაპარაკებაზე ლეგიტიმურ ხელისუფლებასთან საქართველოს საკეთილდღეოდ, ეს ყოველივე რეალობად იქცევა. სწორედ ამ მხრივ წარვმართავთ ჩვენს ძალისხმევას და სხვასაც იმავეს მოვუწოდებთ.

ამავე დროს –– საჯაროდ უნდა ვაღიაროთ, რომ იმათი შესაძლო უმეტესობა –– ვინც 1990–იან წლებში ქართველმა ერმა ეროვნულობის დაცვის მიზნით სახელმწიფოს სამართლებრივი სადავეებისა და ორგანიზაციული სისტემით სამართავად აირჩია და დანიშნა (საკანონმდებლო, აღმასრულებელსა, თუ სასამართლო სფეროებში) –– საკუთარ მოვალეობებს გაემიჯნენ, ხალხის არჩევანს უღალატეს, თითს თითზე არ აკარებენ, რათა ეროვნულობის წინააღმდეგ ქართველი ერის მტრის გააფთრებული თავდასმებს შეეპასუხონ, დაიცვან ეროვნული იდეალები –– მეტიც, ძალზე ხშირ შემთხვევაში, ეს „ხალხის რჩეულები“ შეერწყნენ, შეეთვისენ ანტიეროვნულ–გლობალისტურ–კომპრადორულ რეჟიმს და მასთან აქტიურად თანამშრომლობენ – კოლაბორანტობენ.

მიგვაჩნია, რომ მათი ყველანაირი გაერთიანებები, პოლიტიკური პარტიები და სხვა მსგავსი ერთობები, რომლებიც საქართველოს პოლიტიკურ ნაწილს ეხება და კანონიერ ეროვნულ ხელისუფლებას არ ცნობენ, თავისთავად ამით თვით უკანონობას ამტკიცებენ, ხოლო თუ სცნობენ, მაშინ მასთან უნდა შეათანხმონ საქართველოს რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკური გეზი.

იმათ შორის კი დიდი უმეტესობაც, ვინც თვალთმაქცურად ვითომ იცავს ეროვნულ იდეალებს, შეფარული მტრები, შემრყვნელები და სიმართლის გამყალბებლებია. ისინი ცდილობენ დააშორონ ერთმანეთს, გამიჯნონ ეროვნულობის შემადგენელი ცნებები, ეროვნულობას ჩამოაშორონ სარწმუნოებრივი საკითხები, სავსებით უგულველყონ მოდგმითი, გენეტიკური შემადგენელი და ეროვნულობა მხოლოდ კულტურის თვისებად წარმოაჩინონ.

სამწუხაროდ –– ქართული საზოგადოებრიობაში აფხაზეთში და შიდა ქართლში ომის სამართლებრივი საკითხები, პრობლემები სავსებით მიჩქმალულია და პრაქტიკულად არაა ინფორმაციულ მიმოქცევაში. ამავე დროს, აფხაზეთისა და შიდა ქართლის (ცხინვალის რეგიონის) შემოერთების ნებისმიერ პრაქტიკულ მცდელობები ვერაფრით ვერ აუვლის გვერდს, ვერ აიცილებს თავიდან სამართლებრივ ასპექტს, რამედანადაც, აფხაზეთისა და შიდა ქართლის (ცხინვალის რეგიონის) დაკარგვის ერთ–ერთი უმთავრესი მიზეზი იყო მისი სამართლებრივი დაუცველობა!

გარკვეული, თუ გაურკვეველი მიზეზებით, კანონიერ ხელისუფლებას ჩამოშორებული წევრები, რომელთაც ცხოვრების მიზნად აირჩიეს მედროვეობა და კოლაბორაციონიზმი, არ არიან ღირსნი თავიანთი ყოფილი სტატუსებისა და საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობაში ყოფნისა.

გამოდის, რომ საქართველოს ეროვნულ–განმათავისუფლებელი მოძრაობის ის წარმომადგენლები, რომლებიც კანონიერების აღდგენას არ მოითხოვენ სამართლებრივად, თავის თავს ამ მოძრაობის გარეთ აყენებენ!

ხოლო, თუ ვინმეს ნამდვილი მონანიება სურს კეთილი ინებოს და უწინარეს ყოვლისა საჯაროდ მისცეს აღსარება ქართველ ერს, ვისგან ფინანსდებოდნენ და იღებდნენ სხვადასხვაგვარ დახმარებას, რომელსაც ორპირნი იყენებდნენ დესტრუქციული ქმედებებისათვის. მხოლოდ ამის შემდგომ გახდება შესაძლებელი მათ სანდოობაზე საუბარი და თუ ვინმეს მართლა გააჩნია პრეტენზია ეროვნულობაზე და სამართლიანობაზე, დიდი სიამოვნებით დავიყენებთ გვერდით.

მაგალითისათვის, ასევე შეგვიძლია გავიხსენოთ თუნდაც ის სულგაყიდული ე. წ. „წითელი ინტელიგენციის“ წარმომადგენლებიც, რომლებიც ებრძოდნენ საქართველოს თავისუფლების იდეას?! უდაოა ამგვარი მწერლებისა და ე. წ. „წითელი ინტელიგენციის“ პოლიტიკური როლი სახელმწიფო – სამხედრო–კრიმინალურ გადატრიალებაში.

გავიხსენოთ, КГБ-ს მიერ ე. წ. „წითელი ინტელიგენციის“ დაინსტრუქტაჟებული სამკაციანი ჯგუფები როგორ მიდიოდნენ წარმოება–დაწესებულებებში, უმაღლეს სასწავლებლებში, სკოლებში და ეწეოდნენ შევარდნაძის ხელისუფლების პროპაგანდას, აძაგებდნენ დამხობილ საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ამართლებდნენ სახელმწიფო გადატრიალებას და თვით მანიფესტაციების დახვრეტებსაც, ეგზეკუციებსაც საქართველოს სხვადასხვა ქალაქებსა, თუ რაიონებში, განსაკუთრებით კი, სამეგრელოში. ეს შევარდნაძის კარის მწერლები გამოდიოდნენ

რადიოთი, ტელევიზიით და მთელ აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობას სამეგრელოს წინააღმდეგ გალაშქრებისაკენ მოუწოდებდნენ.

ხუნტის სახელმწიფო საბჭოს წევრი ნაირა გელაშვილი, 1992 წლის იანვრის თვის გაზეთ „მამულში”გამოქვეყნებულ ინტერვიუში ასე აფასებს სახელმწიფო გადატრიალებას, რომ ეს „იყო მამაკაცური ღირსების ამბოხი ყველაზე დედაკაცური ხელისუფლების წინააღმდეგ ...“

პოეტი ლია ბედოშვილი 1991 წლის ზაფხულში ჰყვედრიდა ოპოზიციას: „რა გახდა ერთი კაცის გაგორება?!“ ...

ე. წ. „წითელი ინტელიგენციის“ წარმომადგენელი მწერლები სრულ მხარდაჭერას უცხადებდნენ ედუარდ შევარდნაძეს. აი, ზოგიერთი მათგანიც: გურამ ფანჯიკიძე, თამაზ წივწივაძე, რევაზ ჯაფარიძე, იზა ორჯონიკიძე, ჯუმბერ თითმერია, ელგუჯა მაღრაძე ... კიდევ უფრო მძაფრი რეპრესიებისაკენ მოუწოდებდნენ შევარდნაძეს კანონიერი ხელისუფლების მომხრეთა წინააღმდეგ.

ამგვარი მტრული დამოკიდებულების გამო, ცნობილი მწერლების, მსახიობებისა და მეცნიერების მიმართ ხალხში გაჩნდა აგრესია და ისინი, მრავალი წლის განმავლობაში, ქუჩაში თავისუფლად სიარულს უფრთხოდნენ, რათა პატრიოტი თანამემამულეებისაგან „მოღალატე” და „სისხლიანის” ეპითეტები არ მიეღოთ. მწერლებმა და კულტურის მუშაკებმა, რომ თითქმის სრულად დაკარგეს ხალხის სიყვარული და ავტორიტეტი, ყველაზე ნათლად ვლინდებოდა მათი გარდაცვალების დღეებში, როცა მათ ცხედარს, პანთეონებებამდე, მხოლოდ ოჯახის წევრები და ახლობლები მიაცილებდნენ.

ჯანსუღ ღვინჯილიას, პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ, დიდი ამაგი დასდო – სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით საზღვარგარეთ გაამგზავრა გულის მძიმე ოპერაციის გასაკეთებლად და როცა მოღონიერდა, ისიც ხუნტის მწერლების ავანგარდში ჩადგა ...

რევაზ ჯაფარიძე, 1977 წელს, ზვიად გამსახურდიას მწერალთა კავშირიდან გარიცხვას კენჭისყრის გარეშე, დაჩქარებული წესით ითხოვდა.

ჯანსუღ ჩარკვიანი, თავისი მგზნებარე სიტყვებით, ტრიბუნებზე და მიტინგების გარდა, ჟურნალ-გაზეთებშიც სისტემატურად ბეჭდავდა ეროვნული ხელისუფლების სიძულვილით გაჟღენთილ სტატიებს. მისი სიძულვილი და შეურიგებლობა დამოუკიდებელი საქართველოს პრეზიდენტისადმი იქამდეც მიდიოდა, რომ ზვიად გამსახურდიას უმაღლეს სახელისუფლო სტატუსს – პრეზიდენტს, ბრჭყალებში სვამდა. „ბუნკერში“ ჩამძვრალ „პრეზიდენტად”, „შერეკილად” და „ფაშისტ-ფიურერად” მოიხსენიებდა, ხოლო გაზეთ „იბერია-სპექტრს” კი - „იმპერია-სპექტრად”. 1993 წელს, სახელმწიფო ტელევიზიით ჯანსუღ ჩარკვიანმა კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენის” სასკოლო პროგრამიდან ამოღება მოითხოვა: „ჭიაბერ ერისთავის მოწამვლა კათოლიკოსის მიერ, მოზარდებში სულიერ გადაგვარებას იწვევსო". მისი ეს განცხადებაც ზვიად გამსახურდიას სიძულვილით იყო ნასაზრდოები. ვისაც არ ახსოვს, შეუძლია სახელმწიფო ტელევიზიაში მოიპოვოს ჯანსუღ ჩარკვიანის მუდარა შევარდნაძისადმი: „არ გადადგეთ, თორემ დავიღუპებით!”. დაღუპვაში, ჯანსუღ ჩარკვიანი ხუნტის მხარდამჭერ ინტელიგენციას გულისხმობდა, ცხადია, და არა საქართველოს.

ეხლა, ზოგიერთი მათგანნი, ბედის უკუღმართობით, როგორც ადრე ჯალათი კომუნისტები ქართველ მამულიშვილთა გვერდით განისვენებდნენ (შემდგომ კი ხალხმა ამოთხარა მათი საფლავები), მთაწმინდის პანთეონიდან გადმოჰყურებენ ქვეყანას და ამაყობენ თავიანთი „ნამოქმედარით“, ესეც დროებითია, მთაწმინდა არ არის მკვლელისა და მოკლულის ერთობლივი არც სულიერი და არც ხორციელი განსვენების ალაგი.

სამწუხაროა, რომ კოლაბორაციონისტი მწერლების მხარეს, პუტჩის დღეებში, მწერალი და რეჟისორი გოდერძი ჩოხელიც აღმოჩნდა, მაგრამ მოგვიანებით მან წრფელი წუხილით მოინანია თავისი შეცდომა: „... ზვიადს, მართლაც ურწმუნო, არაქრისტიანი ქართველები ეომებოდნენ. ზვიადს, როგორი შეცდომაც უნდა დაეშვა, მხარი მაინც უნდა დაგვეჭირა, ჩვენ კი ურწმუნოდ მოვიქეცით”, თქვა გოდერძი ჩოხელმა ჟურნალ „სარკისთვის” მიცემულ ინტერვიუში და ზვიადის გარდაცვალების შესახებ წინასწარი ხილვებიც გაიხსენა.

არავინ და არაფერია დავიწყებული „პატივცემულო“ ე. წ. „წითელი ინელიგენციის“ მებაირაღეებო! ...

ცხადია, იყვნენ მწერლების დიდი რაზმები, რომლებიც აქტიურად უჭერდნენ მხარს საქართველოს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობასა და თავისუფლებას, საქართველოს სუვერენიტეტის გარანტს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებას. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მსასოებელი გახლდათ სრულიად ახალგაზრდა პოეტი ტატო (რატი) ნინუაც. ტატო ნინუამ ძალზედ მტკივნეულად განიცადა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ხელისუფლების დამხობა, კლასიკური გიმნაზიისა და უზენაესი საბჭოს შენობის გადაწვა, რასაც მძაფრი ლექსი უძღვნა სათაურით „გადამწვარი ღრუბლები“. ამ ლექსში, შექმნილი პოლიტიკური ვითარება, ასოცირებულია ილიას იდეურ მკვლელობასთან, ხოლო ზვიადის ახალწლის ღამის მკვლელობას კი ამგვარად გამოეხმაურა იგი: „ყოველ ახალ წელს ჩემს ნაძვის ხეზე სათამაშოებს შორის ერთი ჰკიდია ცრემლი“. ტატო ნინუამ, 23 წლის ასაკში, უნივერსიტეტის ერთ-ერთ აუდიტორიაში თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე, უიმედობით შეპყრობილმა თოფით მოისწრაფა ჟამი და დატოვა დიდებული ლექსების წიგნი 9 აპრილსა და სამშობლოზე, სიყვარულზე, ლიტერატურული და ფილოსოფიური გამოკვლევები.

განსაკუთრებით საყურადღებოა გზააბნეულ ადამიანთა – უზენაესი საბჭოს დეპუტატების, მდგომარეობაც. მივმართავთ ამ კატეგორიის ადამიანებს:

„ – ვადასტურებთ რა თქვენი, როგორც უზენაესი საბჭოს დეპუტატის, პიროვნებისადმი პატივისცემას, შეგახსენებთ საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 103-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი დეპუტატი ვალდეულია:

,,ანგარიში ჩააბაროს თავის ამომრჩევლებს, მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანებებს, რომლებმაც იგი დეპუტატობის კანდიდატად წარადგინეს", ან უარი უნდა თქვან დეპუტატობაზე ნებით (ამდაგვარად მოიქცა კიდეც ზოგიერთი მათგანი).

ზემოთქმულიდან გამომდინარე და ლეგიტიმური კონსტიტუციის გათვალისწინებით, ,,მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველოში" შემავალი პარტიებიდან ერთადერთი მმართველი პარტია ,,საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინება" კვლავაც განაგრძობს ბრძოლას დასახული მიზნისათვის. თუ ის პარტია, რომლის წევრიც თქვენ იყავით, ფაქტობრივად აღარ არსებობს, გთხოვთ წერილობით დაგვიდასტუროთ საკუთარი პოზიცია თქვენი, როგორც უზენაესი საბჭოს დეპუტატის ამჟამინდელი უფლებამოსილების შესახებ.“

დღეს, საქართველო, მისი თითოეული მოქალაქე იმყოფება, ერთის მხრივ, ექსტრემისტების ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ, მეორეს მხრივ, ფსევდოდემოკრატია-მოჩვენებითი კეთილდღეობის სივრცეში და ეს ყველაფერი არსებული გაუსაძლისი რეალობის ფონზე იმდენად ამაზრზენია, რამეთუ, ამ დროს, პიროვნება გადაჰყავს რეაქციულ, ან ილუზიურ სამყაროში. ქართული საზოგადოებისათვის ორივე ვითარება დამღუპველია. ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ ვერ გამოვიდა კოლონიური აზროვნების ტყვეობიდან და სამწუხაროდ, როგორც დამოუკიდებლად მოაზროვნე თავისუფალ ერსა და საზოგადოებას შეეფერება, ჯერ კიდევ ვერ ჩამოვყალიბდით სრულ სახელმწიფოდ.

მთავარი კი ისაა, რომ ყველა უბედურება, რაც საქართველოს დაატყდა თავს 1992 წლიდან ლეგიტიმურობის დარღვევითაა გამოწვეული და დღესაც არ ძალუძთ ლეგიტიმურობაზე დაბრუნება. გამოსავალი აღნიშნული რთული მდგომარეობიდან არის ერთადერთი – რეალობიდან გამომდინარე, საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმური მთავრობის მიერ 2014 წლის 26 მაისის სამართლებრივი, პოლიტიკური და იურიდიული შეფასების თანახმად, რომელშიც შეფასებულია 1991-1993 წლების სახელმწიფო გადატრიალება და მისგან გამომდინარე ქვეყნის შემდგომი პროცესები დღემდე, მთლიანად საქართველოს სახელმწიფოსათვის უნდა შემუშავდეს ახალი სამართლებრივი და იურიდიული საკანონმდებლო ბაზა და შესაბამისი აქტები, სადაც გათვალისწინებული იქნება და იურიდიულად აღსდგება 1992 წლის 2 იანვარს შეჩერებული საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია მთლიანად და მისი შესაბამისი მუხლები საზღვრების ურღვევობის, ტერიტორიული მთლიანობისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის პრინციპების შესახებ, რაც სრულიად აღადგენს სამართლებრივ საფუძველს ტერიტორიული მთლიანობისათვის. 1991-1993 წლებისა და 2008 წლის ომები დაკარგავს თავის პოლიტიკურ შინაარსს და ის ტერიტორიები, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების იურისდიქციის გარეთ დარჩნენ, კანონიერად მოექცევიან მისი გავლენის ქვეშ.

ამის შემდეგ ტერიტორიული მთლიანობის ფაქტობრივად აღდგენისათვის წარმოებული ყოველგვარი ღონისძიება საერთაშორისო სამართლის დამატებითი სტატუსითაც იქნება განმტკიცებული.

საქართველოს სახელმწიფოებრივ, სამართლებრივ სივრცეში არ უნდა არსებობდეს შავი ხვრელები, რომლებიც არამარტო ზედმეტად ტვირთავს ენერგიას, არამედ სწორედ ასეთი არასამართლებრივი, არაკანონიერი და არაკონსტიტუციური ორგანოების მეშვეობით ზიანს აყენებენ ქვეყნის იმიჯს.

გავიხსენოთ, შევარდნაძის ჩამოსვლისთანავე „სამხედრო საბჭოს“ ბაზაზე და მის სამართალმემკვიდრედ შეიქმნა ე. წ. სახელმწიფო საბჭო ედუარდ შევარდნაძის, თენგიზ კიტოვანის, ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ სიგუას შემადგენლობით. სახელმწიფო გადატრიალების შემდგომ საქართველო და მისი მოსახლეობა სიღატაკის უფსკრულში ჩავარდა, რომლიდანაც ამოყვანა შემდგომ პერიოდში არცერთ პოსტ-შევარდნაძისტულ ხელისუფლებასაც კი არ უცდია, არამედ, პირიქით, ინერციით გააგრძელეს საქართველოს ჩაძირვა. ქვეყანაში დაიწყო, ლუკმა-პურის მაძიებელთა აქტიური შიდა და საზღვარგარეთ მიგრაციის კატასტროფული პროცესი.

შევარდნაძეზე რომ არაფერი ვთქვათ, ყველასათვის ისედაც ცნობილია და ბევრი დოკუმენტალური მასალა არსებობს მისი „შემოქმედების“ შესახებ, თენგიზ სიგუა თავად იქცა „პრივატიზაციის“ კანონშემოქმედად (რასაც ხალხმა უმალ უწოდა „პრიხვატიზაცია“) და სერიული დადგენილებების გამოცემით მიზერულ ფასად გაყიდა მრავალმილიონიანი საწარმო-დაწესებულებები და ქარხნები.

სახელმწიფო-კრიმინალურ გადატრიალებაში უზადოდ დიდია ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის როლებიც. მთელი სამხედრო-ძალისმიერი მეთოდების გამოყენება სახელმწიფო გადატრიალებაში სწორედ მათი მეშვეობით მოხდა.

სამმა მათგანმა „თავს უშველა“, დატოვა ამქვეყნიური „სოფელი“ და უკუღმართი ისტორიის ლაბირინთებში მიიმალა, თუმცა იქ უფალია მათი განმკითხველი და აქ კი, ხალხი იმედია მაინც გაასამარლებს და მიუჩენს საკადრის ადგილს.

ზემოთჩამოთვლილ „გმირთაგან“ ცოცხალი მხოლოდ თენგიზ კიტოვანია, რომელიც მოსკოვიდან საქართველოში დაბრუნდა და „ძველი დამსახურებებისათვის“ საქართველოს მოქალაქეობის მიღების მოლოდინშია. სწორედ თენგიზ კიტოვანია დღეს ცოცხალი პასუხისმგებელი ყოველივესი. მას ნამდვილად შეუძლია მონანიება-შერიგების გზით პიროვნული, თუ ჯგუფური გადაცდომებისა, თუ სახელმწიფო დანაშაულის იმდაგვარად გამოსწორება, რომ სახელმწიფო გადატრიალების სამართლებრივი შედეგების ვექტორი უკან დაატრიალოს, არანაკლები სახელმწიფო დამნაშავეები მშრალზე დატოვოს და ქვეყანა კვლავ სამართლებრივ რელსებზე დააბრუნოს. მაშინ, მან „გმირობა“ ჩაიდინა სახელმწიფო-სამხედრო გადატრიალებაში, რითაც მაშინდელი მომხრეების კეთილგანწყობა დაიმსახურა, მაგრამ ბოლოს ესეც არ დაუფასეს, დაიჭირეს, შემდგომ გააქციეს და ეხლა ქვეყნად „სამართლის“ ძიებაშია.

*ბატონო თენგიზ, კარგად დაფიქრდით და ეხლა მაინც, უკვე სამართლებრივი და ლეგიტიმური საქართველოს რესპუბლიკისათვის გააკეთეთ სიკეთე – აღიარეთ, რომ საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი კონსტიტუციის შეჩერება 1992 წლის 2 იანვარს იყო უდიდესი შეცდომა, თუ არა დანაშაული და თქვენივე ბრძანებიდან გაიტანეთ თქვენი ხელმოწერა.*

აი, ნამდვილად, ქვეყნის სამართლებრივ სივრცეში დაბრუნების ასეთი გზა ისახება მხოლოდ თქვენი დღევანდელი შესაძლო პოზიციის გამოხატვიდან გამომდინარე. აი, სწორედ თქვენს მიერ ეს გადასადგმელი ნაბიჯი ჩაითვლება ცოდვათა გამოსყიდვის, ნამდვილი გმირობის, ქვეყნის სამართლებრივ და ლეგიტიმურ ჩარჩოში დაბრუნების გზად.

არავინ და არაფერია დავიწყებული ... და მაინც, რა არის დღეის ამოცანა?

მუდამ უნდა გვახსოვდეს: „თუ ეროვნულ-პოლიტიკური აზროვნება არ დაეფუძვნა ღვთის ჭეშმარიტ რწმენას, ეროვნულ-სარწმუნოებრივი და ჰუმანისტური აზროვნების მსოფლმხედველობისა, თუ ტრადიციების აღორძინება-დამკვიდრების შეუვალ სურვილს, ზნეობრივ ფასეულობათა ერთგულებას, სამართლიანობისა და კანონის უზენაესობის პრიორიტეტს, ვეჭვობთ მივაღწიოთ ერის, ბერისა, თუ პიროვნების მიერ დარღვეული შინაგანი წონასწორობის, სახელმწიფოებრივი ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველობის, იდეოლოგიის, ტერიტორიული მთლიანობის, კანონიერების, სამართალმემკვიდრეობის

აღდგენას, პოლიტიკურ-სოციალური სამართლიანობის დამკვიდრებას, კულტურისა და ეკონომიკის აღმავლობას!“

მომავალი თაობა აუცილებლად გადაშლის ისტორიის ჭეშმარიტ მატიანეს, გაიგებს სიმართლეს, მოახდენს ჩვენი დროის შეფასება-გადაფასებას და სწორედ მაშინ, ჩვენ, ცოცხლად დარჩენილები დავრჩებით პირისპირ უფალთან, ჩვენს შვილებთან და მომავალთან განსასჯელად!

ჩემს თემასაც სწორედ ამიტომ დავარქვი „მოგონებები მომავალზე“, რომელიც არ ექნებათ მხოლოდ მათ, მათ მიმდევრებსა და ნაშიერთ, რომელთაც არ ექნებათ უფლება ღვთის წინაშე, განსასჯელად წარდგენისაც კი, სიცოცხლეში არაადამიანური და სამშობლოს წინაშე ჩადენილი სამართლებრივი დანაშაულებრივი ქმედებებისათვის, რომლებიც ასევე სიცოცხლეშივე დარჩათ მოუნანიებელი.

ეროვნულ-სარწმუნოებრივი და სახელმწიფოებრივი იდეოლოგიის მატარებელთა პატრიოტული სულისკვეთების მამულიშვილნი, გონიერნი და თავდადებულნი, ერთგული ადამიანებით დაკომპლექტებულნი, სამართლებრივ და ბედნიერ მომავალზე ორიენტებულნი კი გავზრდით და დავტოვებთ ღირსეულ მომავალს იმისთვის, რომ ის ცუდი და ბოროტება, რაც ჩვენ ვნახეთ, არასოდეს არ განმეორდეს და ნახოს საქართველომ.

თუ გვსურს ბედნიერი გავხადოთ ჩვენი მომავალი, ჩვენი ერის არსებობა, აუცილებლად გამოგვივა, ამით კი, მუდამ თბილი, ტკბილი და ბედნიერი მოგონებები გვექნება მომავალზე.

ილიას სიტყვებს თუ მოვიშველიებთ: „ბედს თვითონ კაცი ჰქმნის და არა ბედი კაცს“!
ადამიანო, თუ შენც მიხვედი გზაგასაყართან, ყველაფერი შენზეა დამოკიდებული!

აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა ზნეობისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და სიწმინდისა, და აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა!

შენც ერთან ერთად აირჩიე შენი გზა ადამიანო!

„ჩვენ ვდგავართ პირისპირ სატანასთან, გველეშაპთან. ან ჩვენ დავამარცხებთ მას წმინდა გიორგის ძალისხმევით, ან ის შთანთქავს ჩვენს ისტორიულ ბედ-იღბალს და გაგვთელავს ჩვენ ეს კოსმიური გველეშაპი, ეს პლანეტარული მხეცი – ანტიქრისტე.

აირჩიე ქრისტეს გზა და კეთილის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგიყვანს! და ვინც წავა წარწყმედის გზით, ბარაბას გზით, შეჩვენებული იქნება უკუნისამდე!“ (ზ. გ.)

საქართველოსთვის ამ ავბედით ეტაპზე, ეროვნულ-სარწმუნოებრივი ცნობიერებით ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლეგიტიმურ-კონსტიტუციური გაგრძელება ქვეყანას ისე სჭირდება, როგორც არასდროს. მის დღევანდელ მიზანს, ეროვნულად მოაზროვნე ძალების გადარჩენა, კონსოლიდაცია და სამშობლოს გადასარჩენად დარაზმვა წარმოადგენს. საქართველოს კეთილდღეობისათვის დღეს ჰაერივით საჭიროა ერთიანობა და სიმტკიცე, შემწყნარებლობა და მიმტევებლობა, ნებისმიერ პარტიულზე, თუ პირადულ ამბიციებზე მაღლა ეროვნული ინტერესების დაყენება. სახელმწიფოს სამართალმემკვიდრეობისა და კანონიერების აღდგენა და მომავალი ხელისუფლების სამართლიანი, ლეგიტიმური გზით არჩევა, „ამისტებად" და „იმისტებად" დაყოფილი საქართველოს ერთხელ და სამუდამოდ გამთლიანება, რეალური ეროვნული თანხმობის მიღწევის შესაძლებლობა. ამასთან, ეს გზა, დაკარგული ტერიტორიების დაბრუნების, ქვეყნის საბოლოო, საერთაშორისოდ აღიარებული სამართლიანობისა და გადარჩენის ერთადერთ გზად რჩება.

ლოზუნგი ,,დამოუკიდებლობიდან თავისუფლებისაკენ" კვლავ ძალაშია.

და, როცა ქართველი ერი დგება ახალი, უკანონო, არასახელმწიფოებრივი და არასახალხო ფიქტიური არჩევნების ნაირსახეობის წინაშე . . . კვლავაც ომახიანად, ხმამაღლა, ისმის ჭეშამარიტად მამულიშვილური სიტყვა:

,,აი. მოდის ახალი არჩევანი, წარმოგიდგათ უფალი, დანო და ძმანო, წარმოგიდგათ უფალი და გეუბნებათ: ქართველო ერო, შენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა კვლავ მივიდა გზაგასაყართან. შენს წინაშე არის ორი გზა, აი, გზა ილია მართლისა, აი, გზა სიწმინდისა, ზნეობისა. აი, გზა დემოკრატიისა, აი, გზა ჭეშმარიტებისა და უმანკოებისა და, აი, გზა ყაჩაღობისა და მზაკვრობისა, აი, გზა ტერორიზმისა! აირჩიე, ქართველო ერო, აირჩიეთ, ქართველებო, აირჩიეთ ქრისტეს გზა და კეთილის გზა, აირჩიეთ ილია მართლის გზა, რამეთუ ეს გზა განსაწმენდელთან მიგვიყვანს!"

ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი მთავრობის წარმომადგენლები, საქართველოს რესპუბლიკის სამართალმემკვიდრე და კანონიერი ხელისუფლების ინსტიტუციები და წარმომადგენლები, კვლავაც ვადასატურებთ ჩვენს ერთგულებასა და მხარდაჭერას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და სახელმწიფოებრიობის მიმართ! მოვუწოდებთ, უცხოეთში და საქართველოში მცხოვრებ ჩვენს მამულიშვილებს, საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციებს და სხვა ერების ღირსეულ შვილებს, ბევრ შემცდარ, ნებით, თუ უნებლიეთ ცხოვრებაგაუკუღმართებულ პიროვნებას, ლეგიტიმური ხელისუფლების აღდგენის გზით, მტკიცედ დაადგნენ, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აღორძინების სამართლებრივ გზას საქართველოში. ეს გზა, საქართველოს სახელმწიფოებრიობის რეალური დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სამართლებრივად სწორ გზაზე დაყენების ერთადერთი მექანიზმია, მიზანი კი, საქართველოს ყველა მამულიშვილისთვის სამშობლოს გადარჩენა, ეროვნული თანხმობის მიღწევა და ქვეყნის განვითარების სწორი ვექტორის არჩევაა.

ჩვენ აუცილებლად გავიმარჯვებთ! დაე, ადამიანმა ამხილოს სხვა და მოინანიოს თავის ცოდვები, უფალმა კი განსაჯოს ყოველივე, რამეთუ, ყველა გზა უფალთან მიდის განსაკითხველად სიმართლისა და სიცრუისა!

კვლავ ვიმეორებთ: მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ მთელი ამ ჩვენი მსჯელობების მიზანია დავასაბუთოთ და განვმარტოთ, რომ პირველადია სამართლებრივად კონსტიტუციური საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ეროვნული მოძრაობის პოლიტიკური ორგანიზაციები, ხოლო ეროვნული მოძრაობის მიერ შექმნილი სახელმწიფოებრივი სტრუქტურები – პარლამენტი იქნება ეს, თუ მთავრობა კი მეორეულია, დაქვემდებარებულია, ინსტრუმენტია და მეტი არაფერი და თუ ეს ასეა, მაშინ ეროვნული ხელისუფლებისა და ზოგადად ჩვენი კანონიერებისა და ჩვენი სამართალ-–სიმართლის აღდგენა შეუძლებელია მთლიანად საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის, მისი ორგანიზაციის ხელახალი და მძლავრი აღმავლობისა და მომძლავრების გარეშე.

ამავე დროს, ლეგიტიმური ხელისუფლების საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და კანონიერი ხელისუფლების ერთად-ერთი მპგ „საქართველოს ჰელსინკის კავშირი – ეროვნული აღორძინების“ მიერ ერთობლივად შექმნილი არსებული სამართლებრივ-პოლიტიკური ბაზა არის ნამდვილი საშუალება და გასაღები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენადაც. ეს მომენტი უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური ფსიქოლოგიის თვალსაზრისითაც, აუცილებელია, მოხდეს სამართლებრივი, კანონიერი და კონსტიტუციური წყვეტის აღდგენა და შემდგომ ქვეყანამ უნდა აირჩიოს ახალი ლეგიტიმური ხელისუფლება. კანონიერმა ხელისუფლებამ, მთავრობამ უნდა დანიშნოს და ჩაატაროს არჩევნები. მხოლოდ ამ არჩვენების შედეგად მოსული ხელისუფლება იქნება სამართლებრივი, კანონიერი, ლეგიტიმური, ასევე უფლებამოსილი და ვალდებულიც, რომ იხელმძღვანელებს ლეგიტიმური, სამართლებრივი ბაზით.

კიდევ ერთი ფუძემდებლური მომენტი: ქართული მართლმადიდებელი ეკლესია აუცილებლად უნდა დადგეს ერის გვერდით. მან მთელი თავისი სულიერ-ზნეობრივი ძლიერებით უშუალო მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთო-ეროვნული აღორძინების პროცესში, რითაც უნდა გამოიკვეთოს ჩვენს ეპოქაში შექმნილი სულიერი ვაკუუმის ქრისტიანული რწმენით შევსების ტენდენცია. „იბერია – საქართველო გაბრწყინდება!" – ქართული სახელმწიფოებრიობის ფაქტობრივად ერთადერთი ,,პოლიტიკური დოქტრინაა'', რომელიც პოლიტიკური მართლმადიდებლობისა და ქართული ეროვნულობის ჰიბრიდმა წარმოშვა და უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში ქართულ პოლიტიკურ ცნობიერებაში დომინირებს. თუ ჩვენ ერთ მთლიანობაში გავიაზრებთ ისტორიულ, ეროვნულ და მართლმადიდებელ-ქრისტიანულ ტრადიციებს, მხოლოდ მაშინ აღმოვაჩენთ ეროვნული ღირებულებების ჭეშმარიტ ფასეულობათა სამართლებრივ სისტემას.

საქართველოს ნამდვილ მამულიშვილს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს და სჯეროდეს, რომ უნდა ემსახუროს ქართველი ხალხის უზენაესობას, მარადიული ჭეშმარიტების მოთხოვნებს. გამარჯვების გარანტი სწორად საქართველოს ჭეშმარიტი თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვაა.





# გურამ შარაძე

**(1940-2007)**

გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი, ისტორიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის და რამდენიმე სხვა დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის, ჟურნალისტთა კავშირის და პარიზის ეროვნული საბჭოს წევრი, საქართველო-უნგრეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საზოგადოების პრეზიდენტი, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, აგრეთვე, სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნდობით აღჭურვილი პირი.

## ბ ი ო გ რ ა ფ ი ა

გურამ შარაძე დაიბადა 1940 წლის 17 ოქტომბერს ოზურგეთის რაიონის სოფელ გურიანთაში.

1958 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ქ. მახარაძის N3 საშუალო სკოლა და იმავე წელს შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე.

1963 წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ასპირანტურაში ძველი ქართული მწერლობისა და რუსთველოლოგიის სპეციალობით.

1966 წელს დაიცვა დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ხოლო 1975 წელს გახდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

1967 წელს დაიწყო მუშაობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 1968 წელს – შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში, სადაც გაიარა გზა მეცნიერთანამშრომლისა და სწავლული მდივნის თანამდებობებიდან, ლიტერატურულ ურთიერთობათა განყოფილების ხელმძღვანელამდე.

1991–92 წლების მიჯნაზე, იყო საქართველოს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორი, ხოლო 1994 წლიდან, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მის მიერვე დაარსებული ქართული ემიგრაციის მუზეუმის დირექტორი.

1997 წელს აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად. ამას გარდა, იყო საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის

აკადემიის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის და რამდენიმე სხვა დარგობრივი აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის, ჟურნალისტთა კავშირის და პარიზის ეროვნული საბჭოს წევრი.

გურამ შარაძე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოღვაწეობას: წლების მანძილზე იყო „საქართველო-უნგრეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საზოგადოების“ პრეზიდენტი, „ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის“ ვიცე-პრეზიდენტი, აგრეთვე, „ივანე მაჩაბლის სახელობის საზოგადოების“ თავმჯდომარე.

1991-1992 წლების სახელმწიფო გადატრიალებისა და პრეზიდენტ გამსახურდიას მთავრობის დამხობის შემდეგ, გურამ შარაძემ მხარი დაუჭირა საქართველოს კანონიერ პრეზიდენტს. ამავე პერიოდში, იყო კონსტანტინე და ზვიად გამსახურდიების კოლხური კოშკისა და არქივების დაცვის კომისიის თავმჯდომარე, ხოლო გროზნოდან, 1992 წელს გამოგზავნილი ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე, გახდა პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ნდობით აღჭურვილი პირი.

1992-1994 წლებში გურამ შარაძე იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის, ასლან აბაშიძის მრჩეველი მეცნიერების, განათლებისა და კულტურის დარგში.

1995 წელს აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად და მიგრაციისა და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეების საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარედ. ამ პერიოდში იყო საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) სამთავრობო არქივის კომისიის თავმჯდომარე. სწორედ, მისი უშუალო ხელმძღვანელობით, 1996-1997 წლებში, პარიზიდან და ჰარვარდიდან ეროვნული არქივი სამშობლოში დაბრუნდა. 1999 წელს მეორედ აირჩიეს საქართველოს პარლამენტის წევრად და უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა საქმეებისა და საზღვარგარეთ არსებულ ეროვნულ ფასეულობათა დაბრუნების საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარედ.

1999 წელს გურამ შარაძემ შექმნა ზეპარტიული ეროვნული მოძრაობა „საქართველო უპირველეს ყოვლისა", ხოლო 2001 წელს მოძრაობა „ენა, მამული, სარწმუნოება".

გურამ შარაძეს მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემიის, ნიკო ბერძენიშვილისა და მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიების ლაურეატის წოდება. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის ორდენით და უნგრეთის რესპუბლიკის ოქროს მედლით „უნგრეთის ინტერესების დაცვისათვის მთელ მსოფლიოში".

2007 წლის 20 მაისს, გურამ შარაძე თბილისის ცენტრში, მელიქიშვილის გამზირზე მოკლეს.

* * *

მრავალფეროვანია გურამ შარაძის მეცნიერულ-პედაგოგიური მოღვაწეობის სფერო: ძველი ქართული მწერლობა და რუსთველოლოგია, ახალი ქართული მწერლობა, ქართული ემიგრანტული მწერლობა, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკა, კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობანი (ქართულ-უნგრული, ქართულ-ინგლისური, ქართულ-ფრანგული, ქართულ-რუსული), ბიბლიოგრაფია, რედაქტორულ-საგამომცემლო, პედაგოგიური (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სალექციო კურსი, ასპირანტების ხელმძღვანელობა – მისი ხელმძღვანელობით და მეცნიერული კონსულტანტობით მომზადდა ათეულობით სადოქტორო და საკანდიდატო დისერტაცია), იყო მრავალი სამეცნიერო საბჭოს წევრი.

გურამ შარაძეს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე ათეული წიგნი და გამოკვლევა. მნიშვნელოვანი გამოცემებია:

- „თეიმურაზ ბაგრატიონი, ცხოვრება და მოღვაწეობა“ (მონოგრაფია სამ ტომად), 1972-1974;
- „არქეოგრაფიული ძიებანი", 1973;
- „მიხაი ზიჩი და ქართული კულტურა“, 1978;
- „პლატონ იოსელიანი, რუსთველოლოგი“, 1980;
- „ბელა ვიკარი, „ვეფხისტყაოსნის" უნგრულად მთარგმნელი“, 1981;
- „დავით ჩუბინაშვილი, რუსთველოლოგი“, 1982;

- „მიკლოშ კიში ტოტფალუში და ქართული სტამბა“, 1982;
- „მარი ბროსე და ვეფხისტყაოსანი“, 1983;
- „ბედნიერებისა და სათნოების საუნჯე“ (უორდროპები და საქართველო), 1984;
- „საქართველოს მზე და სიყვარული ალბიონის კუნძულზე“, 1986;
- „პეტრე დიდიდან ლევ ტოლსტოიმდე“, 1986;
- „ილია ჭავჭავაძე, ცხოვრება და მოღვაწეობა“ (მონოგრაფია), 1987–1990;
- „უცხოეთის ცის ქვეშ“ (ქართული ემიგრაციის ისტორია), სამ ტომად, 1991–1993;
- „მემედ აბაშიძე“, 1995;
- „ზვიად გამსახურდიას სიკვდილი და დასაფლავება“, 1995;
- „ერის ისტორიული მეხსიერების დაბრუნება“, 1998;
- „ეს მეორე საქართველოს დაკარგვა იქნებოდა“, 1998;
- „ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია,“ ტომი I–II, 2001; ტომი III, 2003; ტომი IV, 2003; ტომი V, 2004; ტომი VI, 2005; ტომი VII, 2005; ტომი VIII, 2005;
- „ისტორიული რელიკვიების დაბრუნება“, 2001;
- „ასე იწყებოდა წმ. ექვთიმე ღვთისკაცი – თაყაიშვილი“, 2005;
- „აკაკი წერეთელი, ცხოვრება, მოღვაწეობა, შემოქმედება“, ტომი I, 2006;
- „აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“, 2006.
- „აკაკის იუბილე“, 2006;
- „აკაკის სიკვდილი და დასაფლავება“, 2007.

## საქართველოს რესპუბლიკის მთავრობისა და „საქართველოს ჰელსინკის კავშირი - ეროვნული აღორძინების" ერთობლივი დადგენილება საქართველოს გმირის წოდების მინიჭებისა და „საქართველოს გმირის ორდენით“ დაჯილდოვების შესახებ



საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი კანონმდებლობების თანახმად, საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებით (№ GRG-021021/2) საქართველოში საგანგებო პერიოდში სამშობლოსთვის გამოჩენილი მამაცობისა და თავგანწირვისათვის, საქართველოს გმირის წოდება მიენიჭოს და „საქართველოს გმირის ორდენით“ დაჯილდოვდეს (ტრაგიკულად დაღუპვის შემდეგ) გამოჩენილი ქართველი მეცნიერი, ფილოლოგი, ისტორიკოსი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, საქართველოს ლიტერატურათმცოდნეობის აკადემიის, აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის (და რამდენიმე სხვა დარგობრივი აკადემიის) აკადემიკოსი, საქართველოს მწერალთა კავშირის, ჟურნალისტთა კავშირის და პარიზის ეროვნული საბჭოს წევრი, საქართველო-უნგრეთის მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობების საზოგადოების პრეზიდენტი, ყოველთა ქართველთა მსოფლიო კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, აგრეთვე, სრულიად საქართველოს ივანე მაჩაბლის სახელობის საზოგადოების თავმჯდომარე, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას ნდობით აღჭურვილი პირი

# გ უ რ ა მ   შ ა რ ა ძ ე



# ნოდარ იმნაძე

